ივერია

1882

№ III, მარტი.

თბილისი.
ეკვთიმე ხელაძის სტამბა.
1882

შინაარსი:

I Ციხე შიგნიდამ გატეხილი, რომანი სოფსე მარ-
მოლისა (ორგმანი) 3

II «ძალი-აყვანა» (ლეგენდა), თ. რაიკ. ერისთავისა. 67

III ისტორიული სურათები, მ. დიმ. ჯანაშვილისა. 69

IV *** (ლექსი), ი. ბაქრაძისა 101

V რა არის ერი (ნაცია)? (Qu'est-ce qu'une na
tion)? ერნესტ რენანისა. 103

VI *** (ლექსი), ვ. ო-სა. 130

VII შინაური მიმოხილვა. რა უნდა ჰქონდეს საგნად წესთა
ცვლილებასა ჩვენში—სამართველო წესთა ცვლილების კომ-
ისია რით არის ჩვენთვის საყურადღებო—ჩვენი შუამდგო-
მელობა—ვინ ითავებს—ჩვენი დიდ-ყაცობა—კანონიერი სახ-
სარი. 133

VIII ახალი წიგნები, «თამარ-დედოფალი», სახალხო
სკოლებში საკითხავი წიგნი, შედგენილი კ. ბ—შვი-
ლისაგან, მ. დ. ჯ-ისა. 142

IX სხვა-და-სხვა ამბავი. 152

X ბანცხადებანი. 157

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო
ჟურნალი.

6007

წელიწადი მეექვსე.

№ III

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ა. ბრეგაძეების
სახელობის
ბიბლიოთეკა-ფონდი
Библиотека-Музей
имени
акад. И. Грашвили
Академия наук ГССР

თბილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.
1882

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Марта 1882 г.

ციხე შიგნიდამ გატეხილი.

რომანი

ხოზე მარმოლეისა.

ხუთ ნაწილად.

ნაწილი პირველი.

თავი პირველი.

ღალატი.

ოთხს მაისს 1840 წელსა, დამის მეთერთმეტე საათის ნახევარზედ, ეძვსმა კაცმა გაიარა ერთის პატარა სასლის ეზო და გავიდა ქალაქ ბუენოს-აირესის ქუჩაში, ბელგარინოში. ჩუმს მიბნელებულს ადგილს ერთი მათგანი შესდგა და უთხრა სხვებს:

— ერთი სიოერთხილე კიდევ გვმართებს.

— ჩვენ სიოერთხილეზედ დაპირაკს ვგონებ მთელს დამესაც ვერ გავათავებთ, მიუგო მეორე ამხანაგმა, რომელიც შესდგომლობით უველა ამხანაგებზედ უმაწვილსა ჰგავდა. ამას ეკრა წელზედ პატარა ხმალი, მანტიის კალთებ-ქვეშ ამოთავრებული.

— რაც უფრო ფერთხილად ვიქნებით, ის უკეთესია, უთხრა

პირველმა,— ყველანი ერთად ვერ წავალთ. ჩვენ ექვსნი ვართ: ჯერ სამნი წავიდეთ წინ, პირდაპირ ქუჩისაკენ, მერე დანარჩენი სამნიც წამოვალენ სხვა გზით და შეკიყრებით ბალკარსეს ქუჩაში.

— ეგ კარგი მოფიქრებაა.

— კარგი, თქვენი ნება იყოს, უთხრა ხმლიანმა ყმაწვილმაკაცმა,— მე, თქვენა და მერლო წინ წავიდეთ. ეს რომ სთქვა, ყმაწვილი-კაცი კარგად გაესვია მანტიაში და ხსენებულ ამსანაგებთან ერთად წავიდა ბელკარინოს ქუჩაზედ, წყლისაკენ.

ორის წუთის შემდეგ დანარჩენნი სამნიც სხვა გზას გაუდგნენ, რომ დანიშნულს ადგილს შეჰყროდენ თავიანთ ამსანაგებს.

მერლო, მანტიაში გასვეული, წინ მიდიოდა. იმის უკან მამაკაცმა ამსანაგმა უთხრა მესამე ახალ-გაზდა ამსანაგს:

— რა საამწუსარო, მეგობარო, რომ ვფიქრობ—იქნება უკანასკნელადაც დავდიგართ ჩვენის დედა-ქალაქის ქუჩებში. ჩვენ მიგდიგართ აქედამ, რომ შეკუერთდეთ ჯარს, რომელსაც ბევრი ბრძოლა და სისხლის-ღვრა მოელის და ერთმა ღმერთმა იცის—რა მოგველის ამ ბრძოლაში.

— ყველა ეგ მეც თვითონ კარგად ვიცი, მაგრამ მაინც უნდა წავიდეთ... თუმცა, განაგრძო ჭაბუკმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ,— მე ვიცი ერთი კაცი, რომელიც სხვა რიგად ფიქრობს.

— რაგორ თუ სხვა-რიგად?

— ის ამბობს, რომ ჭეშმარიტნი ძმულის-შვილნი ისინი ჰრიან, ვინც ბუენოს-აირესში დარჩებიანო.

— თუნდ რაზასაც იქ იყოს?

— დიაღ.

— ჯართან შეერთებაზედ რაღას ჰფიქრობს?

— არ გვირჩევს.

— ეგრე მსოლოდ მხდალი და მოღალატე იფიქრებს.

— არც მხდალია და არც მოღალატე. პირიქით, იმის ვაჟკაცობა სანდისსან თავ-სედობამდის მიაღწევს, იმის წმინდა ღ ქეთილშობილურს გულს სომ ქება აღარ უნდა.

— მაშ რა უნდა იმას ჩვენგან?

— იმას უნდა, სთქვა სმლიანმა ჭაბუკმა,— რომ ყველანი ბუენოს-აირესში დავრჩეო, ამისთვის რომ მტერი, რომელთანაც ბრძოლა მოგველის, აქ იმყოფება და არა ჯარშიო. იმ კაცის აზრით, აჯანყების დროს, ქუჩებში უიარო ნაკლები სალსი დაისოცება, ვიდრემდის სუთის-ექვსის თვის განძავლობაში ბრძოლის ველზედ,—და გამარჯვებაც სომ საეჭვოა. მაგრამ თავი დავანებოთ ამისთანა ლაპარაკს, თორემ ბუენოს-აირესში ჩვერსაც სმენა აქვს, სინათლესაც თვალები ასია, ქვები და ქუჩების მტვერიც ი ჩვენს სიტყვებს ჩვენის თავისუფლების ჯალათებს გადასცემს.

ყმაწვილმა-კაცმა აღაპყრა ზეცისადმი დიდრონი შავი თვალები, რომელნიც სრულიად შეესამებოდენ იმის მშვენიერ ფერ-მკრთალ სახეს.

მოგზაურები დაუსლოვდენ წყლის-პირას მდებარე სევს. მერლომ მოუკლო სიარულს და სანდისსან უკან რჩებოდა მინტიის გასასწორებლად.

როდესაც ბალკარსეს ქუჩასთან მიეიდნენ, მერლომ წარმოსთქვა:

— აქ ჩვენს ამხანაგებს უნდა მოვუცადოთ.

— შენ ხომ ბეჯითად იცი წყლის ნაპირას ის ადგილი, სადაც ნაკით გველიან?

— მაშ არ ვიცი, უთხრა მერლომ,—მე აღგითქვით იმ ადგილას მიუვანა და იმედი მაქვს, რომ ჩემს აღთქმას შეკასრულებ ისე, როგორც თქვენ შეასრულეთ და დამითვალეთ გარიგებული თვასი. ღმერთმა ხომ იცის, ჩემთვის ეს თუული დიდს არას შეადგენს: მეც ისეთივე პატრიოტი კარ, როგორც უველა სხვა, მაგრამ იმათ უნდა მივცე, რომელნიც წყალს გაგიუვანენ და თქვენც დაინახავთ, ბატონებო, რა ბიჭებიც არიან თქვენი გამუვანები.

უმაწვილი-კაცი იჭვნეულებით დაატქერდა მერლოს. ამ დროს სამნი ამხანაგნიც მოვიდნენ ამათთან.

— ახლა ჩვენ ერთმანერთის აღარ უნდა დავშორდეთ, სთქვა ერთმა იმათგანმა. აბა, მერლო, გაგვიძელ წინ და გვიჩვენე გზა.

მერლო დაემორჩილა, გაუძღვა წინ და ჩაიყვანა წყალზედ, რომლის ზვირთებიც მორბოდენ ⁄ მოუთმაშებდენ თვის გარშემო ატეხილს ჭალებს.

მშვიდობიანი მუედრო ღამე იყო; ცა კარსკვლავებით იყო მოჭედილი. ნიშნად ზამთრის მოახლოვებისა დასავლეთის ქარიც მოსისინებდა. არე-მარე მიწყნარებული იყო; არსაიდამ არავის ხმა არ ისმოდა, მხოლოდ ტალღების შხაპუნი არღვევდა მუედრობას.

ჩვენი მოგზაურები დაფიქრებულნი დასტქერიდენ კარსკვლავების შუქით განათებულს წყალს. ისინი ამ ღამეს ან უნდა მტრისგან დახოტილიყვნენ და ან გამოსალმებოდენ მამულს, ჯალაბს, ველას, რაც კი კაცისათვის ძვირფასია, დასანანი და შეერთებოდენ ჯარს, რომელიც მტარვალებს ებრძოდა.

იმ დროს, რომელზედაც ჩვენა ვლაპარაკობთ, ველა შიშისა-

გან ხაგ-ზარ-დატემული იო. ისეთი საზარელი საქმეები ჭხდებოდა ბუენოს-აირესში, რომელნიც თვით მტარვალების მომსრეებსაც კი შეზარავდა. დატუსაღება, ჩუმად წვალება და დასკრეტა თითქმის ყოველ დღიური მოკალენა იო და აი ეს აიძულებდა ჩვენს მოგზაურებსაც გაქცეულიუვნეს სამშობლოდამ და შეერთებოდენ ჯარს მტარვალებთან საბრძოლველად.

ჩვენი მოგზაურები მიდიოდენ ჩუმად. ეხლა კი შეგვიძლიან გავაცნოთ იგინი მკითხველს.

უველაზედ წინ მიდიოდა სუან მერლო, უბრალო კაცი. მერლო, როგორც უკვე ვიცით, მოგზაურების გზის მაჩვენებელი იო.

იმის უკან მიდიოდა ჰოლკოვნიკი ფერანტისკო ლინჩი, კაცი განათლებული და გულადი. 1813 წელს ის სამსასურიდამ გამოვიდა.

ამას მისდევდა ჭაბუკი ედუარდო ბელგრანო, საკმაო შეძლების პატრონი; ეს იო ვაკ-კაცი, ჭქონდა კეთილი გული ⁄ ბუნებრივი ნიჭი, განვითარებული მეცნიერებით.

ამათ უკან მოდიოდენ ოლიდენი, რიგლოსი და მაისონი, სამივე არგენტინელები.

ამ რიგით ჩავიდნენ წყლის ნაპირზედ. აქედამ ასლო იო სასლი, რომელშიაც ბრიტანიის რეზიდენტი მანდეკილლი იდგა.

აქ მერლო შესდგა და სთქვა:

— ამ ადგილას მოაყენებენ ნავს.

უველამ წყალს დაუწყო ცქერა; უნდოდათ სიბნელეში ნავი დაენახათ.

მაგრამ მერლო, ეტყობოდა, ნავს ხმელეთზედ ელოდა. უველანი რომ წყალს დასცქეროდენ, ის უფრო ხმელეთისკენ იყურებოდა.

— არა, აქ არ არის, სთქვა მერლომ,— ცოტა წინ უნდა წავიდეთ.

ეკვლანი გაჰყვნენ მერლოს; ორმა წუთმა არ გაიარა, რომ პოლკოვნიკმა ლინხმა, რომელიც მერლოს უკან მიდიოდა, ოცდა-ათ ნაბიჯზედ შავად რაღაც დაინახა, და როდესაც მოუბრუნდა ამსანაგებს ამის სათქმელად, უეცრად ვიღაცამ დაიძახა «ვინ მოდის!» მოგზაურები შეძრწუნდენ.

— ხმას ნუ გასცემთ: მე წინ წავდგები, რომ გავიგო რამდენნი არიან, სთქვა მერლომ. პასუხს აღარ მოუცადა და წადგა წინ; მერე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა ხეკისაკენ და დაუსტვინა.

იმის სტვენაზედ ცხენების თქარი-თქური მოისმა. ორმოცდა-ათი ცხენოსანი უეცრად მოცვივდენ და შემოერტყენ გარს მოგზაურებს. პოლკოვნიკმა ლინხმა დამბაჩის ამოღება კი მოასწრო, მაგრამ გასროლით კი არ გაუსროლია, რადგან ერომა ცხენოსანმა ცხენი ზედ შეაგდო და წააქცია იგი.

მაისონმა და ოლიდენმა თითო-თითოჯერ გაისროლეს დამბაჩა, მაგრამ ისინიც ისე წაიქცნენ, როგორც პოლკოვნიკი ლინხი.

რიგლოსს უნდოდა სანჯალი ჩაეცა გულში იმ ცხენისთვის, რომელიც ზედ-შედგომას უპირებდა, მაგრამ ვერ შეუძლო ცხენის ძალას და წაიქცა; ცხენიც და მხედარიც ზედ დაეცნენ. მაგრამ მხედარი იმავ წამსვე წამოსტა ზეზე, ჩაურჭო რიგლოსს გულში სანჯალი და სამჯერ დაატრიალა. რიგლოსი გახდა პირველი მსხვერპლი ამ ჯოჯოხეთის ღამისა.

ლინხი, მაისონი, ოლიდენი ეყარნენ მიწაზედ გასისხლიანებულნი და ცხენებისგან გაქცეულნი, ჭრჭინობდენ, მტრები როგორ თმებით ათრევდენ მათ, ეძებდენ სანჯლის წვერით იმათ

ულებს გამოსაღადრავად. უბედურნი დაცურავდენ მიწაზედ, ეწინააღმდეგებოდენ, ეკვირებოდენ, დაკრილ ხელებს იფარებდენ ულზედ, მაგრამ ამაოდ! სანჯლისგან ეკრებოდათ ხელები, ესხვიბებოდათ თითები, ელადრებოდათ ულები ტანჯვით ოხოცებოდენ.

იმ დროს, როდესაც მკვლელნი გადმოსტენენ ცხენებიდამ და დაუწყეს მკვდრებს ცარცვა, ეს ნაბიჯზედ კიდევ სხვანი მოჩანდენ, რომელნიც სან გაიოვნტებოდენ ს სან მოგროვდებოდენ. აქ ედუარდო იბრძოდა ოთხს ცხენოსანთან.

რა წამსაც ბოლოვნიკი ლინხი წაიქცა, ედუარდო, რომელიც იმის უკან მიდიოდა, გაიქცა სეკისაკენ და იქ გამაგრდა. მერე მოიხსნა მანტია და დაისვია მარცხენა ხელზედ, მარჯვენით ხმალი ამოიღო და დადგა.

ედუარდო თუმცა ცხენების გაქელვას გადარჩა, მაგრამ შენიშვნით კი მაინც შენიშნეს. ოთხმა ხმალ-ამოღებულმა ცხენოსანმა ედუარდოს ზედ მიარეკეს ცხენები, ის ორ ცხენ შუა ჩაჯდა, მარცხენა ხელით იფარავდა თავს, ხოლო მარჯვენით ერთს ცხენოსანს ტარამდის გულში ხანჯალი ჩაურჭო. მოკლული ჯერ არ გადმოვარდნილიყო ცხენიდამ, როდესაც ედუარდომ ათს ნაბიჯზედ უკან დაიწია, ქალაქის მხარეს.

ამ დროს სამი ცხენოსანი კიდევ მოეშველა მოკლულს ს ხელასხლად დაეტნენ თავს ედუარდოს.

ედუარდომ წინა ცხენს საშინლად დაჭრა თავში, ასე რომ წაბარბაცა. მხედარს ეგონა, რომ ცხენი დაეჭრა და გადმოსტა; იმის მიხედვით სხვა მხედრებიც გადმოსტენენ ცხენებიდამ.

ედუარდომ ათ-თორმეტ ნაბიჯზედ კიდევ დაიწია უკანჯერ მოინდომა გაქცევა, მაგრამ მოიფიქრა, რომ გაქცევა მას უფრო დაღალავს და დაუძლურებს და მტრები კი შესხდებიან ცხენებზე და დაეწევიან.

ამ ფიქრის დროს კიდევ დაესხნენ თავს. ედუარდომ არ შისცა მათ ნება გარშემო შემორტყმისა, სან ერთს ებრძოდა, სან მეორეს აუჩქარებლად და ვაჟ-კაცურად.

დიდ სანს ებრძოდა ედუარდო მტრებს, მაგრამ თან-და-თან კი სუსტდებოდა. ბოლოს ერთმა მსედარმა მარცხენა გვერდში დასჭრა იგი.

— ბოროტნო! წამოიძახა ედუარდომ,—თქვენ ვერ წაუღებთ ჩემს თავს თქვენს უფროსს, ვიდრე ლუკმა-ლუკმა არ ამკუწავთ!—ედუარდომ უკანასკნელად შემოიკრიბა რაც ძალი ღ ღონე ჰქონდა და დაუწყო ბრძოლა მტრებს. ერთი მტერი კიდევ დასჭრა სასიკვდილოდ და გადმოვარდა ცხენიდამ. მაგრამ თვითონაც ვეღარ გაუძლო დაჭრილობას და დაეცა.

ორი მსედარი კიდევ მივარდა მას.

— კიდევ ცოცხალი ვარ! დაიუკირა ედუარდომ,— წამოიწია და დაებჯინა მარჯვენა ხელზედ.

ამ დროს ერთი მსედართაგანი მიეპარა უკანიდამ და ძლიერ დასჭრა ხმლით მუხლში. მეორე მსედარიც მოეშველა, წაავლო ედუარდოს თმაში ხელი და უსალა მიწაზედ თავი, მერე წააქცია და მუხლი გულზედ დააჭირა.

— აჰა, ესლა კი დაგიჭირე, უნიტარო! ვეღარსად წამიხვალ,—უკიროდა მტერი. მერე მიუბრუნდა ამხანაგს და სთხოვა დანა მიეწოდებინა ედუარდოს ყელის გამოსაჭრელად. ამხანაგმა მისცა დანა. მარცხენა ხელი სტაცა ედუარდოს თმებში, აბრუნა გულ-აღმა და დაბჯინა ყელში დანა. იმ დროს, როდესაც ედუარდოს ყელის გამოჭრას უპირებდა, უკანიდამ გიოლცამ დაჭკრა მსედარს თავში და ზედ დაეკლა ედუარდოს.

— დამცა, შენთანაც მოვალ! დაუძახა მეორეს უცნობმა კაც-

მა, თითქოს ზეციდამ მოვლენილმა ედუარდოს საშველად ჭაჩალი იმავ წამსვე წულისკენ გაიქცა.

უცნობი კაცი მივიდა ედუარდოსთან, გადაგდო იმის გულიდამ მკვდარი მსედარი, მოსვია სელი და მიადო თავი გულზედ.

— ჯერ კიდევ ცოცხალია! სთქვა იმან. მერე მოსვია ედუარდოს წელში სელი, გაიდო მსარზედ და წაგიდა ასლო ხეკისაკენ, საიდამაც უფრო ასლო იყო მასდევილის სასლი. ბეჯითი სიარული უცნობის კაცისა ამტკიცებდა, რომ ამ ადგილას ნაგალი იყო.

— აი უბედურება! მწუსარის სმით წარმოსთქვა მან,—ასი ნაბიჯი აღარ დარჩა და მე კი ღონე გამომელია. ედუარდო გავარდა მას სელიდამ და ჭრილობიდამ გადმოსადენმა სისხლმა ორნიგ შელება.— ედუარდო! ჩასძასოდა ყურში,— ედუარდო! ეს მე ვარ დასიელ, შენი მეგობარი, შენი ამსანაგი, შენი ძმა დასიელ!...

დაჭრილმა ტოტათი გაასილა თვალები. ღამის გრილმა ნიავმა მოასულიერა ედუარდო.

— გაიქეტ... თავს უშველე, დანიელ! უთხრა ედუარდომ დანიელს, რა წამს მოსულიერდა. დანიელმა მიიკრა ის გულში.

— ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, ედუარდო! ნუ გეშინიან. ნუ... მარტსენა სელი მომსვიე კისერზედ და სსვა მე ვიცი... ეს რას ნიშნავს?! განა მარტსენა სელითაც იბრძოდი, რომ სმალი გიჭირავს?.. იქნება იმ უაჩალებმა მარჯვენა სელში დაგჭრეს!.... ოჰ, მე რომ არ მოგშველებოდი!...

ასე იმისთვის ელაპარაკებოდა, რომ უნდოდა სმა ამოედებინებინა. დანიელმა კიდევ შეიდო მსარზედ ედუარდო და წაოუვანა. ედუარდო უფრო და უფრო მოსულიერდა.

— კმარა, დანიელ, მე ვგონებ, რომ ასლა კი შემიძლიან სიარული, ოღონდ სელი დამიჭირე.

— ასლა ნუღარაფერის კაცვრი გაქვს, მიუგო დანიელმა და დასვა მიწასედ.—ჩვენ სწორედ იქა ვართ. სადაც შენი მიუვანა მინდოდა.

— ედუარდო ტოტა სანს დადგა ფესზედ; მაგრამ მარცხენა ფესი თითქმის ძვლამდის იყო გაჭრილი ს საშინელ მტკივნეულობას გრძნობდა.

— მე ვიცოდი, რომ ფესზედ ვერ დადგებოდი, უთხრა დანიელმა ძალად დამშვიდებულის ხმით,— შიშისაგან სისხლი გაგშრობია, რაკი ძლიერ დაჭრილი ბგონებია თავი.

— მადლობა გადგუსადოთ ჩვენს ბედსა, განაგრძო დანიელმა,—ამ ადგილას მიუვანისათვის; აქ შემიძლიან უშიშრად დაგტოვო, ვიდრე სხვა უფრო უშიშარ ადგილას წაუვანას მოგისერხებდე.

ამ ლაპარაკის დროს კიდეკ შეისვა მსარზედ თავის მეგობარი და მიმართა ერთს ღრანტეს. ეს ღრანტე ბრიტანიის რესიდენტის მანდევილის სახლის ასლო იყო.

დანიელმა ჩაიყვანა თავის მეგობარი ღრანტეში და დასვა ძირს. მერე ჰკითხა, რაში სარ დაჭრილიო.

— არ ვიცი, მაგრამ აქ კი... აი აქა ვგრძნობ ტკივილს, უთხრა ედუარდომ, გამოართვა დანიელს სელი და მიიდო მარჯვენა მსარეთან და მარცხენა მუსლთან.

— თუ მარტო აქა სარ დაჭრილი, საშიში არაფერია, მეგობარო,—უთხრა დანიელმა და ჩაიკრა იგი დიდ სანს გულში.

— ვგონებ აქაც... დიაღ, აქაც დაჭრილი ვარ, სთქვა მან და მიიდო დანიელის სელი მარცხენა გვერდზედ,—მაგრამ უფრო ძლიერ ფესში ვარ დაჭრილი... მარცხენა ფესი ძლიერ მაწუხებს.

— მოიცა, სთქვა დანიელმა, ამოიღო ჯიბიდამ ხელსახოცი ან შეუსვია დაჭრილი ფეხი,— ეს სისხლს მაინც დაიჭერს. ახლა სადღა გტკივა... აქ ხომ არა გტკივა?

— ჰო, მანდაცა.

— აი, ჩემი ყელსახვევი, წარმოსთქვა მან და შეუსვია გულზე. ყოველს ამას დანიელ ლაპარაკობდა და აგეთებდა დამშვიდებით, თუმცა კი დამშვიდებული არ იყო, რაკი ნახა, რომ ედუარდო გულშიაც იყო დაჭრილი. ეს მოხდა ბნელს ღამეში, ლონტეს ძირში. თანაც ფორტოპიანოს ხმა ისმოდა ამ ღამის სიჩუმეში მანდეკილის სახლიდამ. ამ ღამეს იმას წვეულება ჰქონდა.

— ეჰე! სთქვა დანიელმა, რაკი ჭრილობა შეუსვია, ამაღამ მისი უმაღლესობა ინგლისის რეზიდენტი მსიარულობს...

— იმ დროს, როდესაც იმის სასლის წინ კაცებსა ჰკლავენ! სთქვა ედუარდომ.

— სწორედ იმიტომაც მსიარულობს. ინგლისის რეზიდენტი მხოლოდ მაშინ იქნება კარგი როდესაც ის ინგლისის ნამდვილი წარმომადგენელი იქნება. იმის ქალიც მკვდრების ახლოს თამაშობს და მღერის, როგორც ჰოტტენტოტის ქალიკები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სიმღერით ისინი მწუხარებას აცხადებენ, ეს კი სიმსიარულეს.

დანიელის მახვილმა სიტყვამ ედუარდოს ღიმილი მოჰგვარა. უნდა იმასაც რაღაც ეთქვა, მაგრამ დანიელმა უეცრად ტუჩებზედ ხელი დააფარა.

— სუ, რაღაც სმაურობა მესმის, სთქვა იმან ჩუმად,— ჩემი ხმალი უნდა ვიპოვნო.

მართლაც არ მოსტუვდა. ცხენების თქარა-თქარი ნამ-

დვილად მოისმა, რამდენიმე წუთის შემდეგ ორივემ კაცის ხმაც გაიგონეს.

თანდათან უფრო გაარჩიეს ხმა. ბოლოს ეს ლაპარაკიც მოესმათ.

— გამიგონე, სთქვა ერთმა, — ღრანტეში პაპიროსებს მოვუკიდოთ, იმის სინათლეზედ უფრო კარგად დავთვლით ამ-ლამის ნაშოვარს. ამას გარდა მე შინ წასვლას ვაპირებ.

— კარგი იქნება გადმოვხტეთ ცხენებიდამ, — მიუგო მეორე ამხანაგმა. ორივენი გადმოხტენ ცხენებიდამ.

თავ-თავიანთ ცხენის აღვირებს მოჭიდეს ხელი და დასხდენ ღრანტეს ნაპირზედ დანიელისა და ედუარდოს სიახლოვეს.

ერთმა იმათგანმა მოუკიდა პაპიროსს ცეცხლი ლ უთხრა თავის ამხანაგს:

— აბა ამოალაგე ქაღალდები.

იმანაც ამოიღო ბანკის ბილეთები ლ მისცა თავის ამხანაგს. ამანაც ერთი ბილეთი პაპიროსის ბოლოსთან მიატანა.

— ათიანია? უთხრა ბილეთის მიმცემმა კაცმა ლ თვითონაც თავი წინ წაიღო, რომ ორივეს ერთად გაესინჯათ მართლა რამდენისა იყო ის ბილეთი.

— ათიანია! უთხრა პაპიროსიანმა.

ამ ნაირად გასინჯეს უკელა ოც-და-ათი ბილეთი იმავე თასისა. როდესაც გაიუკეს თუღი და თითო-მ ეს ორმოც-და-ათ-ათი თუმანი მიიღო, ერთმა იმათგანმა სთქვა:

— მე უფრო ბევრი მეგონა! ჩვენ რომ ის ერთიც არ გაგვიმტეოდა, მაშინ უფრო ჯიბეს ავიგსებდით.

— ნეტა სად ეშბაკებში მიდიოდენ ის უნიტარები, ლაკალეს ჯარში სომ არ?

— მაშ სხვაგან სად წავლენ?! რატომ ყოველ-დღე არ იშვრებიან, მაშინ სულ ამისთანა საშოკარში გიქნებოდით.

— აქ რომ ლავალე მოვიდეს და ჩვენ დაგვაბეზღოს ვინმე, მაშინ რაღას ვიზამთ.

— არაფერიც არ იქნება! ჩვენ, ძმაო, ბრძანების ქვეშა ვართ... და თუ მოხდა რამე, განა არ შეგვიძლიან უბრალოდ ვაჩვენოთ თავი. მანამ კი ლუკმა-ლუკმა ასაჩუსად არ დავინდობ არც ერთს როზასის წინააღმდეგს.

— ახლა კი შინ წავალ, სთქვა ბილეთების ამოღებმა და შეკდა ტხენზედ. მეორე ისევ იქ დარჩა.

— კარგი, უთხრა დარჩომილმა,—წადი სანა გინდოდეს, მე კი სანამ შინ წავიდოდე, მინდა ერთი პაპიროსი კიდევ მოვსწიო. ხვალ ადრიანად გიპოვნი და ორივე ერთად წავიდეთ კაზარმაში.

— მაშ მშვიდობით, უთხრა ტხენზედ მჯდომმა და გასწია.

რამდენიმე წამის შემდეგ, დარჩენილმა კაცმა ამოიღო უბიდამ რაღაც ნივთი და პაპიროსის სინათლეზედ გასინჯა.

— ოჰო, ოქროს საათი ეოფილა! სთქვა იმან, — ვერავინ ვერ დაინახა, უბიდამ როგორ ამოვაცალე. ამას გავიდი და ფულს მარტო ჩემთვის შევინახავ.

ის დიდ ხანს სინჯავდა საათს პაპიროსის შუქზედ.

— ვგონებ, მუშაობს! სთქვა იმან და მიიტანა ყურთან.— მაგრამ უბედურება ეს არის რომ შეტეობა არ კიცი. მგონი, ახლა მეთორმეტე საათი უნდა იყოს.

— და შენის სიცოცხლის უკანასკნელი საათიც, მურალო!— წამოიძახა კიდაცამ; რაღაც დაჭერა თავში და იქვე გაანთხევინა სული.

ეს ის ადრალი იყო, რომლითაც წინად ედუარდოს მე-

ბრძოლი მოჰკლა. სწორედ ზარბაზნის ტყვიის ძალა ჰქონდა ამ იარაღს, თორემ ორივე ყაჩაღს ხმის ამოუღებლად როგორ მოჰკლავდა.

დანიელ ღრანტედამ ამოვიდა, დაუჭირა ცხენს აღვირი, ძიიყვანა ღრანტეს ნაპირზედ ლ იქ დაბა. მერე ჩავიდა ღრანტეში და მოესვია თავის მეგობარს.

— გამხნევდი, ედუარდო! ახლა შენ თავისუფალი ხარ... გადარჩი, თვით ზეცამ გამოგიგზავნა ცხენი, რომელიც ჩვენთვის ძლიერ საჭირო იყო.

— მე კარგად ვარ, მაგრამ მაინც დამიჭირე, ფესვზედ დგომა არ შემიძლიან.

— ნურც ძალას დაატან შენს თავს, უთხრა დანიელმა,— კვალად შეისვა ედუარდო მხარზე, ამოიყვანა ღრანტედამ და შესვა ცხენზედ; თვითონაც აიღო ედუარდოს ხმალი, შემოუჯდა უკან, მოხვია წელზედ ხელი, გამოართვა აღვირი და გაემგზავრენ.

— დანიელ, ჩვენსა მისვლა არ შეიძლება, კარები დაკეტილი იქნება, მოსამსახურისთვისაც ნათქვამი მაქვს, ამაღამ შინ არ იყოს.

— რასაკვირველია არ შეიძლება, რადგანაც რატუშის ქუჩაზედ მოგვიხდება გავლა და იქ შეიძლება მტარვალის მოხელეებმა გვიცნონ.

— ჰო, მაგრამ არც შენთან შეიძლება წამოსვლა.

— ჩემთან უფრო არ შეიძლება. ჯერ ჩემს სიცოცხლეში მაგისთანა სისულელე არა ჩამიდენია-რა და შენი ჩემს სახლში წაყვანა სისულელეზედ მეტი სისულელე იქნება.

— მაშ სად დავიმალოთ?

— ეგ ჯერ ჩემი საიდუმლოებაა. მაგრამ ჭითხოვ ბუკრს ნუ შელაპარაკები. რაც შეიძლება, ცოტა ილაპარაკე.

პატარა ხანი რომ იარეს, დანიელმა შეაყენა ცხენი, მიაესედ-მოიხედა და, რა დარწმუნდა, რომ არსაიდამ არავერი ისმოდა და არავერი სჩანდა, ნელ-ნელა წაიყვანა ცხენი და უთხრა ედუარდოს:

— ახლა კი გადავრჩით, მაღე მივალთ იმისთანა სახლში, სადაც შეგიძლიან თავისუფლად იწამლო.

— სადა? ჰკითხა ედუარდომ დასუსტებულის ხმით.

— აი აქა, მიუგო დანიელმა და წაიყვანა ცხენი ერთის სახლისაკენ, რომლის ფანჯრებიდამაც სანთლის შუქი გამოდიოდა.

დანიელმა მიაყენა ცხენი ფანჯარასთან, გადაჭერა სელი ს ფანჯარა დაუკაკუნა. არავინ ხმა არ გამოსცა. დანიელმა კიდევ დაუკაკუნა. ესლა კი ქალის ხმა მოისმა.

— ვინა ხარ?

— მე ვარ, ამალია, შენი დანიელ.

— დანიელ! გაიმეორა ქალმა და იმავ წამსვე ვიღაც მოვიდა ფანჯარასთან.

— ჰო, დანიელ.

იმავ წამსვე გაიღო ფანჯარა, ფარდა აიწია და შავებში ჩაცმულმა ყმაწვილმა-ქალმა გადმოიხედა. მაგრამ, რაკი ერთს ცხენზედ ორი კაცი დაინახა შეკრთა და უკან დაიწია.

— ნუ თუ ვეღარა მცნობ, ამალია!... გამიგონე; ღვთის გულისათვის მაღე გააღე ეზოს კარი, მხოლოდ მოსამსახურეს ნუ გააღვიძებ, შენ თვითონ გააღე.

— რა არის, რა მოხდა, დანიელ?

— გენაცვა, ამალია, ნუ გვაგვიანებ, ახლავე გააღე, სანამ

ქუჩაში არავინ არის. ჩემს სიტოტხლეზედ არის საქმე მიმდგარი, გესმის თუ არა?

— ოჰ, ღმერთო ჩემო! სთქვა უმაწვილმა-ქალმა, მოხურა თვანჯარა, წავიდა, გაალო ეზოს კარი და უთხრა დანიელს:

— შემოდი!

— არა, მოიცა პატარა, უთხრა დანიელმა, გადმოხტა ცხენიდამ და ცალიის ხელით კი ედუარდო ეჭირა.

— მიშველე, ამალია, დამიჭირე ეს უმაწვილი-კაცი. თვითონ სიარული არ შეუძლიან.

ამალიამ მოჭიდა ხელი ედუარდოს, რომელიც მიეყრდნო კარებს და რაც ძალი და ღონე ჭქონდა, ცდილობდა მარცხენა თვესის გადადგმას.

— მადლობელი ვარ, ბატონო, მადლობელი! უთხრა მან ტკბილის ხმით და ნაზის გრძნობით.

— თქვენ დაჭრილი ხართ?

— დიაღ, ცოტათი.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! სთქვა ამალიამ, როდესაც სისხლში ხელი გაისვარა.

ამ ლაპარაკში დანიელმა გამოიუვანა ცხენი შუა გზაზედ, თავი ხიდისაკენ მიუღო, ალვირი უნაგირზედ გადაგდო და დაჭერა, ედუარდოს ხმალის ყუა. ცხენი, რაც ძალი და ღონე ჭქონდა ხიდისკენ გაიქცა.

— ეხლა კი მალე შეკიდეთ შინ! სთქვა დანიელმა, წაავღო ედუარდოს ხელი, შეიყვანა სასლში და დაუწვინა დივანზედ.

თავი მეორე.

პირველი წამლობა.

როდესაც დანიელმა ედუარდო დივანზედ დააწვინა, ამალიამ შეირბინა მეორე ოთახში, გამოიტანა ლამპა ფანაში და დასდგა რგვალ სტოლზედ, რომელზედაც წიგნები ეწყო.

ამალია იყო ოცის წლისა: წაბლის ფერი თმები უურებს უკან ჭქონდა გადაურილი; დიდი შუბლი და დიდი თვალები უმშვენებდენ კაცის მომხიბლავ სახეს. ედუარდომ უკელა ეს კარგად შეიშნა. იქნება იფიქრა კიდეც, რომ ამალიას შავი კაბა, მის გულ-მკერდის სისუტეკეს გამოსახენად უფრო ეცვა, თუმცა კი ეს შავი კაბა მგლოვიარობის ნიშანი იყო.

როდესაც ამალიამ ლამპა დასდგა, დანიელ მივიდა სტოლთან, დაუკრა ბაწია ხელები და უთხრა:

— ჩემო კარგო ამალია, როდესაც ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, ყოველთვის ერთს უმაწვილ-კაცზედ გელაპარაკებოდი, რომელიც მე ძმასავით მიყვარს. ეს უმაწვილი-კაცი ედუარდოა და აი ესლა დაკრილია ჯ შენს ბერ-ქვეშ იმყოფება. ამის ცრიალობა დე-რობასის ჯილდო არის. მაშ უნდა ვეცადოთ ამის მოარჩენას, დამალვას და დახსნას.

— მე რა შემიძლიან, დანიელ? ჰკითხა ამალიამ და დაშტერდა დივანს, რომელზედაც ედუარდო იწვა და რომლის გაყვითლებული სახე უფრო მკვდრისას ჰგავდა, ვიდრე ცოცხლისას. მაგრამ იმის მკვირცხლი შავი თვალები ამტკიცებდენ, რომ ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

— შენ შეგიძლიან და უნდა მოიქმედო კიდეც ერთი რამ,

ძვირფასო ამალია: — შენ იცი, რომ მე დასავით მიყვარ-ხარ.

— ვიცი, დანიელ, მე მაგის ეჭვი სრულებით არა მაქვს.

— კეთილი, სთქვა დანიელმა და გადუკოცნა ხელები.—მე შენ მხოლოდ ამასა გთხოვ: ამალამ ხმის ამოუღებლად ყველა-ფერში მე დამემორჩილე. სვალ, ძველებურად, შენის სახლის ბატონი ისევ შენ იქნები.

— განაგე, როგორც გინდოდეს და ისე მოიქეცი, როგორც გსურდეს. მე ამ ამბისაგან ჯერ კიდევ თავ-ბრუ-დასხვეულსა-ვითა ვარ.

— პირველად ამასა გთხოვ, მოსამსახურების გაუღვიძებლად, შენ თვითონ მამიტანო ერთი სტაქანი ტკბილი ღვინო.

ამალია გატრიალდა და გაიქცა სხვა ოთახში. დანიელ მი-ვიდა ედუარდოსთან, რომელსაც ცოტა არ იყო მტკივნეულო-ბა დაჭყუჩებოდა.

— ეს ქალი, უთხრა დანიელმა,—ის ქვრივი ქალია, რომელ-ზედაც ხშირად გელაპარაკებოდი და რომელიც, რაც ტუკუმა-ნიდამ გადმოსახლდა, ამ სახლში მარტოკა სცხოვრობს.

— ჩვენ ამ ქალს უსამართლოდ ვეძებეთ, უთხრა ედუარ-დომ,—ვაი თუ ჩემის გულისთვის რაიმე სათაბალაში გაეს-კიოს.

— სათაბალაში?

— დიახ, სათაბალაში. ხომ იცი, რომ დე-როზასის პო-ლიციას ბევრი აგენტები ჰყავს: ქალი თუ კაცი, ბატონი თუ მოსამსახურე—ყველა ჯაშუშებად გადაიქცნენ, რომ ამით თა-ვიანთ თავი გადირჩინონ. სვალ დე-როზასს ეცოდინება, რომ მე აქა ვარ და მაშინ ამ ქალის ბედი ჩემს ბედთან იქნება შე-კავშირებული.

— მაგასაც ვნახავთ, როგორ გაიგებს, უთხრა დანიელმა ლ გაუსწორა ედუარდოს აბურძგნული თმები. სომ იცი, რომ გაჭირებიდამ თავის გამოძურენა ჩემი სელობაა. შენ რომ ჩემთან წერილის მოწერის მაგიერად პირად მოგელაპარაკნა, გარწმუნებ ესლა შენი ტანი გაკაწრულიც არ იქნებოდა.

— შენ როგორ მოაგენ იმ ადგილს, სადაც ჩვენ უნდა გავსულიყავით.

— მაგას სხვა დროს გეტყვი, უთხრა დანიელმა ღიმილით.

ამ დროს შემოვიდა ამალია ლ შემოიტანა სენზედ ღვინით სავსე სტაქანი.

— ოჰ, ჩემო მშვენიერო ამალია, როგორსაც ესლა მე შენა გხედავ, ისე რომ ოლიმპის ღმერთებმა დაგინასონ — თავიანთ მერიქიოლედ დაგაყენებდენ! აბა, ედუარდო, ცოტა ღვინო შესვი. ეს ღონეს მოგიმატებს, ვიდრე ექიმი მოვიდოდეს.

დანიელ რომ თავის მეგობარს ღვინოს ასმევდა, ამალიამ პირველად დაინახა ედუარდო. იმის ფერ-მკრთალი, ტანჯული სახე იზიდავდა კაცსა. ესლა დაინახა ამალიამ, რომ ორივე მეგობარნი სისხლში და ტალახში ამოსვრილნი იყვნენ.

— ერთი ეს მითხარ, ამალია, პედრო შინ არის თუ არა, ჰკითხა დანიელმა.

— დიახ, შინ არის.

— წადი იმის ოთახში, გაალვიძე და უთხარ აქ მოვიდეს.

ამალიამ დააპირა ზალის კარების გაღება, მაგრამ დანიელმა შეაჩერა:

— მოიცა, ამალია, მე მინდა ერთს დროს ორი საქმე გაკარიგო: სად არის ქაღალდი და საწერელი.

— კაბინეტშია, უთხრა ამალიამ და უჩვენა ზალის გვერდით ოთახი.

— ეხლა წადი და ჰედრო გაადვიძე. დანიელ შეკიდა კაბინეტში, აქედან აიღო სანთელი, გაიარა ამალიას ძვირფასად მოჭოთული ოთახი და მეორე ოთახში შეკიდა.

— ჟმ! წაიბუტბუტა იმან, როდესაც ჩაისედა სარკეში და დაიწყო გასისხლიანებულ ხელების ბანა, — თელორენსიამ რომ ამ ოთახში მნახოს, ეგონებოდა, ეს იმავე სიჩქარით გამოგქცევულვარ ჯოჯოხეთიდან, როგორც ის გაიქცევა სოლომე, როდესაც კოცნას დავუპირებ.

დანიელმა დაიბანა ხელები, შეკიდა კაბინეტში და ორი წერილი დასწერა. შემდეგ დაბრუნდა ისევ ზალაში, სადაც ამალია და ედუარდი ლაპარაკობდენ. ცოტა ხანს უკან შემოვიდა სამოტის წლის მოხუცი, თეთრ-წვერ-ულვაშიანი. იმან ძლიერ გაუკვირდა, როდესაც დანიელ შუა ზალაში მდგომარე დაინახა და დიანზედ გასისხლიანებული უმაწვილი-კაცი.

— მე ვგონებ, ჰედრო, უთხრა დანიელმა, — შენ იმითგანი არა ხარ, რომელთაც სისხლის დანახვა აშინებს. ეს ჩემი მეგობარია და ყაჩაღებმა დასჭრეს. შენ რამდენ ხანს ეშინოდა ბიძა-ჩემს, პოლკოვნიკს სიენტოს, ამალიას მამას?

— თოთხმეტი წელიწადი, ბატონო, პოლკოვნიკმა კარეთ ომში ჩემს ხელში დაღია სული.

— გენერლებში რომელი უფრო გიყვარდათ ბელგარნო, სან-მარტინო, თუ ბოლივარი?

— გენერალი ბელგარნო, ბატონო, მიუგო მოხუცმა.

— კარგი, ჰედრო. შენ ხომ იცი, რომ ამალია ქალია და მე ძმის-წული შენის პოლკოვნიკისა. ეს უმაწვილიც გენერალ ბელგარნოს ძმის-წულია. შენ ამისთვის ისლა ძლიერ საჭირო ხარ.

— მე მხოლოდ ჩემის სიცოცხლის შემოწირვა შემიძლიან,

ბატონო. ჩემი სიცოცხლე ყოველთვის იმათ ეკუთვნით, რომელთ ძარღვებშიაც ჩემის გენერლის და ჩემის პოლკოვნიკის სისხლი სდუღს.

— მჯერა, პედრო, მჯერა, მაგრამ ესლა ჩვენთვის მარტო ვაჟ-კაცობა კი არ არის საჭირო, სიფრთხილე უფრო გვეჭირვება.

— მესმის, ბატონო.

— სხვა არაფერი, პედრო. მე ვიცი რომ შენ პატიოსანი კაცი სარ, მხდალი არა სარ და ამასთანავე პატრიოტიც ხარ.

— დიაღ, ბატონო, ძველი პატრიოტი გახლავარ, სთქვა პედრომ და ამაყად აიღო მაღლა თავი.

— კეთილი, განაგრძო დანიელმა,—წადი ესლა, სხვა მოსამსახურებს ნუ გააღვიძებ, ისე შეჭამაზე ერთ-ერთი ცხენი, გაიყვანე გარეთ, შეისხი იარაღი და ისევ აქვე მოდი.

პედრო წავიდა ბრძანების ასასრულებლად.

პატარა ხანს უკან მოისმა ცხენის ფეხის ხმა, მერე ზალის კარებიც გაიღო და შემოვიდა შეიარაღებული პედრო.

— შენ ხომ იცი, პედრო, საცა ექიმი ალკორტა ცცხოვრობს?

— სანხუანის ქუჩაზედ?

— სწორედ იქ.

— ვიცი, ბატონო.

— წადი იმასთან, კარები გააღებინე, ეს წერილი თვითონ იმას მიეცი და უთხარი, რომ შენ სხვა საქმეზე მიდიხარ და ისევ შეიკვლი იმასთან. მერე წადი ჩემს სახლში, გამოიხმე ჩემი მოსამსახურე და ეს მეორე წერილიც გადაეცი.

— მესმის, ბატონო.

— აბა რა კიდევ: შენ მიგაქვს წერილი ექიმ ალკორტასთან,

შეიძლება სხვა-და-სხვა დაბრკოლება დაგხვდეს გზაზედ, მაგრამ ეს წერილი არავის არ უნდა დაანებო, სანამ ლუკმა-ლუკმა არ აგკუწვენ.

— მესმის ბატონო.

— ეგ იყო. ესლა თერთმეტის საათის ნახევარია, დაუმატა დანიელმა,—ორის ნახევარზედ შენ და ექიმ ალკორტას მოგელოდებით. ჰედრომ თავი დაუკრა და გავიდა.

ჰატარა ხანს უკან ჰედროს ცხენის ფეხის ხმა მოისმა ქუჩიდამ.

დანიელმა ანიშნა ამალიას შესულიყო კაბინეტში; ედუარდოსაც სთხოვა დოქტორის მოსვლამდის გული დაემშვიდებინა.

— შენ ხომ იცნობ, ვინც დავიბარე. თუ არ იმას, სხვას ვერავის ვენდობით.

— ექიმის ალკორტას საათაბალაში გარეკა-და გვაკლდა!... ნაღვლიანად წარმოსთქვა ედუარდომ,—რა ფიქრში მოგივიდა, დანიელ, ჩემს უბედურ ბედთან დაგეკავშირებინა ბედი მშვენიერის ქალისა და ჭკვიანის კაცისა. ჩემი სიცოცხლე იმათ არა ღირს, რომ განსაცდელში ჩაჭყარო ისეთი ქალი, როგორც ამალია ან ისეთი კაცი, როგორც ჩვენი მასწავლებელი ექიმი ალკორტა.

— შენ ამაღამაც იმავე აზრისა ხარ, საყვარელო ედუარდო, რა აზრისაც წინად იყავი. შენის ჭრილობიდამ თუმცა ბევრი სისხლი დაიღვარა, მაგრამ ეჭვიანობა და დაუნდობლობა მაინც არ მოგშორებია. არც ალკორტას და არც ამალიას განსაცდელში არ ჩაგყრით. ესლა იმისთანა მდგომარეობაში ვართ, რომ ჰატიოსანი კაცი ჰატიოსანის კაცისთვის ხმალ-ამოღებული უნდა იდგეს, როგორც ბორბოტი კაცი ბორბოტის კაცისთვის თავ-

დადებულია. ჩვენი საზოგადოება ესლა ორად იყოფა: მკვლელებად და მსხვერპლებად. ჩვენ არ გვინდა მკვლელები ვიყოთ და ჩვენდა უნებურად უნდა მსხვერპლებად გადვიქცეთ.

— მერე ალკორტა ჯერ შენიშნული არ არის და აქ მოსვლით კი შეინიშნება.

— შენი ლაპარაკი არ მომწონს, ედუარდო. გამიგონე, მე, შენ და ყველა წყვრი იმ თაობისა, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით და რომელნიც ბუენოს-აირესის უნივერსიტეტში აღვიზარდენით—არის იგივე ალკორტა. ჩვენ იმის აზრები გვამოქმედებს. ჩვენა ვართ განმასორციელებელნი იმის სვინიდისისა, იმის ფილოსოფიურ აზრებისა. კათედრიდამ ის ბგიქადაგებდა თანაგვეგრძნო კეთობრიობის კეთილ-დღეობისა, თავისუფლებისა და სიმართლისათვის. ჩვენი მეგობრები, რომელნიც ესლა ლავალეს დროშის ქვეშა სდგანან, იგივე ალკორტანი არიან. ფრიასიც—ექიმი ალკორტაა სამხედროს მუნდირში; ყოველნი მსურველნი კეთობრიობის წარმატებისა—ექიმნი ალკორტანი არიან. თვითონ შენც, სისხლით შელებილი, რომელმაც სამშობლოდამ გაქცევა არჩიე მტარვალობის ატანას, თვითონ შენც, საყვარელო ედუარდო — განმასორციელებელი სარ ჩვენის ფილოსოფიის პროფესორის პრინციპებისა, აზრებისა და.... მაგრამ რას ბიგედ-ოვედები,—შესწვიტა ლაპარაკი დანიელმა, რადგანაც დაინახა, რომ ედუარდოს თვალებიდამ ცრემლები გადმოსცვივდა—კმარა, კმარა ამაზედ ლაპარაკი. შენ ყველაფერი მე მომანდე და თუ დაგიღუპებით, ყველანი ერთად დავიღუპოთ... იცი, ედუარდო, მე არა მგონია, რომ ჯოჯოხეთში მეტი ტანჯვა იყოს, ვიდრე ბუენოს-აირესში. ესლა, შენ ცოტა მოისვენე, მე ამალიას მინდა ერთ საქმეზედ მოველაპარაკო.

დანიელ კაბინეთისკენ წავიდა თვალების წმენდით; ამასაც, მეგობრის ცრემლების დანახვაზედ ცრემლები მოერია.

— დანიელ, უთხრა ამალიამ შესვლის უმალვე,—არ ვიცი ღმერთმანი, როგორ გიშველოთ: ოქვენ ორივე გასისხლიანებულები ხართ, ტანისამოსის გამოცვლა გინდათ და მე კი ქალის ტანისამოსის მეტი არა მაქვს-რა.

— რომელიც ძლიერ მოგვისდება, თუ ცოტა ოდენს შენს სიალამაზესაც გვაჩუქებდი, ჩემო მშვენიერო ამალია. მაგრამ ნუ სწუსარ: მალე ტანისამოსიც გვექნება და საჭირო საცვალიც. ახლა სხვა რამეზედ ვილაპარაკოთ.

დანიელმა მიიყვანა ამალია დივანთან, დაისვა თავის გვერდით და ჰკითხა:

— მითხარ, ამალია, შენს მოსამსახურებში რომელზედ უფრო გენდობა გული?

— პედროზე, ტერეზა-გოგოზე, რომელიც ტუკუმანიდამ მოვიყვანე და პატარა ლუიზაზე.

— სხვა რომელი მოსამსახურე გყავს კიდევ?

— კუჩერი, მზარეული და ორიც ზანგი, რომელნიც სელზედ მემსახურებიან.

— ხვალ დიღეით კუჩერიც, მზარეულიც და ის ორი ზანგიც უნდა დაითხოვო.

— განა ეს საჭიროა?

— საჭიროა, რადგან ეჭვი გაქვს. გამიგონე, ამალია, შენს მოსამსახურეებს ძლიერ ეუკარებით, რადგან კეთილის გულისა ხარ, მდიდარი ჯ უხვი. მაგრამ, როგორც ჩვენს მდაბიო სალხს ვიცნობ, შენ რომ ერთი გაუკვირდე, ან მაღალი სიტყვა უთხრა, მაშინვე საშიშარ მტერად გადაგექცევიან.. მაბეზღარობას ეს ლა დიდი გასაკვალი აქვს და შებეზღებულს სახლობას

როზასის ერთის ბრძანებით ცხრა ათასი ჯალათი დაუცემს თავსა.

— კარგი, მე იმათ სვალვე დავითხოვ.

— ასე უნდა მოვიქცეთ; თუ კი გვინდა, რომ მე, შენ და ედუარდო ყველა განსაცდელს გადავრჩეთ, მაშინ სასწაურად არ გაგიხდება ის სტუმრის-მოყვარეობა, როგორითაც მიიღე ეს უბედური და...

— არა, დანიელ, მაგას ნუ მეტყვი! ჩემი სახლი და ოჯახი, რაცა მაქვს, შენ გეკუთვნის და შენს მეგობარს.

— დიახ, სასწაურად არ გაგიხდება, მაგრამ, რაც შეგიძლიან უნდა ეცადო, რომ ჩვენმა მტარვალებმა არ შეგვსიშნონ. ედუარდოც იმდენ ხანს დარჩება შენს სახლში, რამოდენსაც ექიმი საჭიროდ დაინახავს იმის მოსარჩენად,—მაინც და-მაინც ორის-სამის დღის მეტი არ დარჩება.

— ეგრე სდრე! არა, ეგ შეუძლებელია! მაგის ჭრილობანი იქნება ისე საშიშნი არიან, რომ ლოგინიდამ აყენება და სიკვდილი ერთი იყოს. მე თავისუფალი ვარ, განმარტოებული ვცხოვრობ, ეს ჩემის ხასიათის თვისებაა. ჩვენ შეგვიძლიან ედუარდო უშიშრად დავაწვინოთ ერთ-ერთს ჩემს ოთახში.

— მადლობელი ვარ, მადლობელი. ჩემო ამალია. მაგრამ იქნება თვითონ ედუარდომაც არ მოინდომოს აქ დარჩენა. ეს იმაზედ იქნება დამოკიდებული, რასაც სვალ შევიტყობ. ესლა ქვეშაგებზედ ვიზრუნოთ, რომ ავად-მყოფი ჭრილობების შესვეის შემდეგ ჩავაწვინოთ.

— წამოდი აქა... მამუ! აიღო სასთნელი ამალიამ ლ დანიელთან ერთად შევიდა თავის საწოლში, აქედამ მოსართავ ოთახში გავიდა. ამალიამ უბვენა დანიელს მდიდრულად და გემოვნებით მორთული თავის ოთახები. ბოლოს შეიუვანა ტკბილად

და მშვიდად მძინარე ლუიზას ოთახში, გაიღო კარები და გავიდა ტალანში. ტალანიდან ერთს მებელით მოჩთულს ოთახში შეავიდნენ.

— აქ სამის დღის წინად ჩემის ქმრის ნათესავი იყო ჩამოსტარი. მე ვგონებ ედუარდოტ კარგად მოთავსდება აქა.

ამალიამ გაიღო შკაფი, ამოიღო ლოგინი და დაგო.

— ეს თანჯარა საით გადიუერება? უთხრა დანიელმა ამალიას და უჩვენა იმ ოთახის თანჯარაზედ, რომელიც ედუარდოსთვის მზადდებოდა.

— ეს თანჯარა ტალანში იუერება.

— ჭო... ჭო... ესლა კი მომაგონდა... მოიცა... ცხენის თეხის ხმა არ გესმის?

— როგორა?

— ეს...

— სწორედ ცხენის თეხის ხმაა—ამალიას შიშისგან გულმა დაუწეო ცემა.

— იქნება... აი კიდეც დადგნენ ჩვენს სახლის კარებთან, სთქვა დანიელმა. მერე აიღო სანთელი, გადასწია ფანჯრის თარდაბ და გადიხედა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ვინ უნდა იყოს! წარმოსთქვა თერმკრთალმა ამალიამ.

— ისინი იქნებიან, სთქვა დანიელმა და გადიხედა თანჯარაში.

— ვინ ისინი?

— ალკორტა და შედრო... ოჰ, კეთილო, პატიოსანო და სულ-გრძელო ალკორტა!

დანიელ სანთლით გაეგება, თუმცა კი მისს შუქს ხელებს ათბრებდა.

მართლაც ისინი იყვნენ: ჩვენი ნაცნობი პედრო და სწავლული პროფესორი ფილოსოფიისა ალკორტა, რომელმაც ექიმობაც იცოდა.

— პედრომ შემოიყვანა ალკორტა ეზოში, ცხენები დააბინავა სავენიბოში და მერე გაუძღვა წინ და შეიყვანა სასლში.

— ოჰ, რა მადლობელი ვარ, ბატონო! უთხრა დანიელმა ლ ჩამოართვა სელი.

— დროით შემიყვანეთ ბელგარნოსთან, უთხრა ალკორტამ.

— ერთს წამს მოიცადეთ, უთხრა დანიელმა, და შეიყვანა ოთახში, სადაც ამალია იყო. ამათ უკან პედროს საექიმო იარაღებით სავსე ყუთი მიჰქონდა.—სომ ყველა იარაღი წამოიღეთ, რაც კი საჭირო პირველის ოპერაციისთვის და რასაც წერილშიაც გწერდით?

— მე ვგონებ, რომ ყველაფერი წამოვიღე, მხოლოდ არტასები დაგვჭირდება, სთქვა ალკორტამ და დაუკრა ამალიას თავი.

დანიელმა შესედა ამალიას და ის საჩქაროდ გავიდა თავის ოთახში.

— აი ეს ოთახია, სადაც ედუარდო უნდა დავაწვინოთ. როგორ ჰფიქრობთ, ვიდრე საქმეს შეუდგებოდეთ, აქ არ გადმოვიყვანოთ?

— დიაღ, ეგრე უნდა მოვიქცეთ, მიუგო ალკორტამ, გამოართვა პედროს იარაღების ყუთი და დასდგა სტოლზედ.

— შენ ჯარეთ მოიცადე, პედრო, უთხრა დანიელმა, — ან არა და წადი ამალიასთან და არტასების დაჭრას უშველე ჭრილობების შესაკრავად: ეს შენც კარგად გეცოდინება. ესლა, ბატო-

ნო ექიმო, ერთი რამ უნდა გითხრათ, რაც წერილში ვერ მოგწერეთ: ედუარდო მმართებლობისაგან არის დაშრილი.

მწარე ღიმილმა გადურბინა ალკორტას ფერ-მკრთალს და დაფიქრებულს სახეზედ. ალკორტა ოცდა-თვრამეტის წლისა იყო.

— შენა გგონია, მაგას წინადვე ვერ მიგხვდი? მიუგო ექიმმა.—წამიყვანე ბელგარნოსთან, დანიელ. უთხრა ექიმმა ტოტასნის ფიქრის შემდეგ.

დანიელმა ექიმი ზალაში შეიყვანა.

ფეხის ხმა რომ გაიგონა ედუარდომ, მტკივნეულობით წამოიწია თავი და, რა დაინახა ალკორტა, წამოდგომა მოინდომა.

— დამშვიდდი, ბელგარნო, დამშვიდდი, უთხრა ალკორტამ ბულ მტკივნეულად.—მე ახლა აქ ექიმი ვარ და არა მასწავლებელი.

ალკორტა შოუდა ედუარდოს გვერდით და რამდენსამე ხანს იმის მაჯის ცემას უგდებდა ყურს.

— კარგი, სთქვა იმან,—ახლა იმ ოთახში გადავიყვანოთ.

ამ დროს ზალაში ამალია და ჰედრო შემოვიდენ. ემაწვილმა-ქალმა შემოიტანა ტილოს არტახები.

— გამოდგებიან ესენი, ექიმო? ჰკითხა ამალიამ.

— გამოდგებიან, ბატონო. ახლა მე მინდა ტაშტი, სუფთა წყალი და ლრუბელი.

— ეგ უკვალ იმ ოთახში არის.

— მალიან კარგი, უთხრა ექიმმა და გამოართვა არტასები.

ალკორტამ და დანიელმა ედუარდო დიდ სელზედ დასვეს და ჰედროს დახმარებით, იმ ოთახში გადაიყვანეს, რომელიც იმისთვის იყო მომზადებული; ამალია კი ზალაში დარჩა.

გაცრეცილი, მშვენიერი, იმ ლამის ამბებით აღელვებული ამალია დაჯდა სელზედ ⁄ დაიწყო თმების გასწორება, თითქოს ამით უნდოდა თვიქრები გაექარვებინა. სტუმრის-მოყვარეობა, განსაცდელი, სისხლი, თავის-გამეტება, სიბრალული, თანაგრძნობა—იბრძოდენ იმის გულში. ეს მეტის-მეტი იყო უმაწვილის ქალისათვის, რომელსაც წუთის სოფელში ჯერ არაფერი გამოეცადა.

ამალია რომ ფიქრებში იყო გართული, ამ დროს სხვა ოთახში ედუარდოს რის ტანჯვითა და წვალებით გახადეს ტანისამოსი, რადგანაც სისხლისგან დაგრობილი ჰქონდა ტანზედ. ალბერტამ გასინჯა ედუარდოს დაჭრილობა.

— ეს კიდევ არაფერია, სთქვა იმან, — ხმალი ასცურებია გვერდზედ და გულს არ მიჰკარებია.

— არც ეს არის საშიშარი, განაგრძო იმან, რადესაც დაჭრილი მარჯვენა ფსარი გაუსინჯა,—აქ მსხვილი ძარღვებია და ამისთვის სელი არ დაშავებია.

— ასლა ფესი ვნახოთ, სთქვა ექიმმა, — და დაჭრილობის დანახვის უმაღვე ექიმი შეფიქრიანდა, დიდ ხანს უსინჯავდა ფეხსა.

— საშინელი ჭრილობაა! სთქვა ექიმმა,—მაგრამ არც ერთი ძარღვი კი არ არის გაჭრილი.—შემდეგ თავის ხელით მოჭბანა სისხლი და შეუხვია დაჭრილი ადგილები.

ამ დროს მოასმა ცხენის ფესის ხმა. უკელამ ეური აცქვიტა ექიმ-ალბერტას გარდა, რომელიც შეუშფოთებლად უსმენდა ჭრილობებს.

— თვითონ იმის შიეც წერილი? ჰკითხა დანიელმა პედროს.

— დიაღ, ბატონო, თვითონ იმასა.

— აბა, გადი სახე. ეს სწორედ ჩემი მოსამსახურეა. თუ არ ის, ამ დროს სხვა ვინ იქნება?!... ბატარა ხანს უკან ბედრომ შემოიყვანა თვრამეტის თუ ოცის წლის ემაწვილი-კაცი.

— სომ ყველაფერი მოიტანე, ფერმინ? ჰკითხა მას დანიელმა.

— მგონია ყველაფერი მოვიტანე, ბატონო, მიუგო მოსამსახურემ, და დასდო ბოხჩა სკამზედ. დანიელმა იმავ წამსვე გახსნა იგი და ამოიღო ედუარდოსთვის საცვალი ჯ ტანისამოსი. ამის შემდეგ ედუარდო სელიდამ აიყვანეს და ლოგინში ჩაწვინეს.

— დანიელ ბედრომთან და ფერმინთან ერთად შეკიდა ბირის-საბან ოთახში, დაიბანა სელ-ბირი და ტანისამოსი გამოიცვალა. თან უბძანა, რომ ეს ამბავი არავისთვის არ ეთქვათ და გასისლიანებული ტანისამოსი ტეტლში დაეწვათ.

ედუარდო ამ დროს ალკორტას თავის თავ-გადასავალს უამბობდა ჯ ექიმიც დაურდნობილი-იყო მის ბალიშზედ ჯ ყურს უგდებდა.

— თქვენი სახელი ხომ არ იცის მერლომ, როგორ ჰქვიან? ჰკითხა ექიმმა ედუარდოს.

— არ ვიცი სწორედ, ჩემს მეგობრებს ჩემი სახელი იმასთან უსხენებიათ თუ არა, თუ არ უსხენებიათ, არ ეცოდინება, ამისთვის, რომ გზის ჩვენებაზედ მოლაპარაკება მარტო იმასა და ოლიდენს შუა იყო.

— ეს გარემოება მე ცოტა არ არის მაწუხებს, სთქვა დანიელმა, როდესაც ედუარდოს ლაპარაკი გაიგონა, — ხვალ გაგიგებთ ყველაფერს.

— აქ დიდი სიფრთხილე გმართებთ, მეგობრებო, სთქვა ალკორტმა, — მოსამსახურეებს ნუ ენდობით, თორემ ამ ამბავს ბევრი სხვა ამისთანა ზედ მოჰყვება.

— იმედი მაქვს არაფერი მოხდეს, უთხრა დანიელმა: თუ განგებამ იქ მიმიყვანა, სადაც ედუარდო კინალამ არ მოჰკლეს, განა იგივე განგება არ შემეწევა ეს საქმე კეთილად დავაბოლოვო?!

— გვწამდეს სიმართლე და გვჯეროდეს რომ საუკეთესო მომავალს მოვესწრებით! სთქვა ალკორტამ და ჯერ ედუარდო ბელგარნოს შეხედა და მერე დანიელ ბელოს, რომელნიც ამ სამის წლის წინად იმის საყვარელი მოწაფეები იყვნენ უნივერსიტეტში. ესლა ცხადად სედავდა, რომ იმისმა სწავლამ კეთილი ნაყოფი მოიტანა.

— ესლა ედუარდოსთვის მოსვენებაა საჭირო. გათენებისას გაიცვებს, როგორც ამისთანა დროს ყოველთვის მოხდება ხოლმე. ხვალ ორმეტს საათზედ კიდევ მოვალ აქა, დაუმატა ექიმმა და ედუარდოს შუბლზედ ხელი გადუსო.

ალკორტა გამოვიდა ედუარდოს ოთახიდამ; დანიელიც თან გამოჰყვა.

— ხომ არა უშავს-რა ედუარდოს? სწორედ მითხარით.

— არა, არაფერი უშავს, მაგრამ გვიან კი მორჩება, ალკორტა და დანიელ ზალაშიკე შებრუნდნენ.

ამალია ისევ სელზე იჯდა ჩაფიქრებული.

— ეს ქალი, ბატონო, ჩემი ბიძა-შვილია, დე-ოლაბრიეტა.

— ნათესავი უნდა იყოს, რადგან ძალიან ჰგავხართ ორნივ ერთმანერთს, როგორც გარეგანის შეხედულობით, ისე ხასიათებით. თქვენც ისეთივე შემბრალებელი გული გაქვსთ, როგორც ამალიას.

ალკორტამ დაარიგა ამალია, როგორ უნდა მოეკლო ედუარდოსთვის. დანიელ შეკიდა თავის მეგობართან.

— მე უნდა ალკორტა გავაცილო, ედუარდო. ბედრო შენ-

თან დარჩება და ყოველს სამსახურს ის გაგიწევს. მე სვალ-ლამ დავბრუნდები. მთელი დღე ქალაქში მინდა დაყარჩე, მაგ-რამ ჩემს მოსამსახურეს კი გამოვგზავნი შენის ამბის საკითხავად. ნებას მომცემ შენს მოსამსახურეს ცოტა რამ დარიგე-ბა მივცე?

— დარიგე, როგორც გინდა, დანიელ, მხოლოდ ჩემს საქ-მეში კი ნურავის გახვევ.

— შენ კიდევ შენსას ამბობ! ჩემზე ჭკვიანი სარ ედუარდო, მაგრამ ზოგიერთი საქმე მე შენზედ კარგად მესმის. მომეცი ნება, როგორც მინდა, ისე მოვიქცე. სომ არა გაქვს-რა სათ-ქმელი?

— არა, არაფერი. გეთაყვა, ამალიან დაამშვიდე.

— ჰმ! შენ როგორღაც ბევრსა ჰფიქრობ ამალიაზედ.

— გეყოფა მასხარობა! უოსრა ედუარდომ,—წადი და შენს თავს გაუფთხილდი.

— მაშ ნახვამდის!

— ნახვამდის!

დანიელმა ანიშნა ჰედროს და ფერმინს თან გაჰყოლოდ-ნენ.

— აიღე ფერმინ ეს ექიმის უფთი და ტანები მოამზადე. ჰედრო, ედუარდოს ჩემს ბიძა-შვილს ამალიას ვაბარებ; თუ რამ მოსდება, იმედი მაქვს იმისთვის შენს სიცოცხლეს არ დაზო-გავ. გინ იცის, იქნება მტარვალის მოხელეებმა გაიგონ ს

მეკვდეს, რიდეს ფიქრი მექნებოდა, როდესაც ჩვენ გვიდეთ, კარები მაშინვე ჩაკეტეთ. ნახვამდის.

— ნახვამდის, ბატონო!

ალეკორტა ამალიას ეთხოვებოდა, როდესაც დანიელ დაბრუნდა ედუარდოს ოთახიდამ.

— წავიდეთ, ბატონო!

— შე კი წავალ, მაგრამ შენ კი აქ დარჩი, დანიელ.

— უკვლრავად, ბატონო, მე ქალაქში საქმე მაქვს და თქვენთან ერთად წასვლა მიჩანს.

— მაშ კარგი, წავიდეთ!

— ერთს წამს მოვიცადეთ, ბატონო.—ამალია, მე უველა საჭირო განკარგულება მოვასდინე. ფერმინს ავალ ედუარდოს ამბის შესატყობლად გამოვგზავნი. ღამის შვიდ საათზედ თვითონ მეც მოვალ. ესლა დაწექ, დაიძინე. ავალ ადრიანად ისე მოიქეცი, როგორც გითხარი. სხვა ანარეკერია საჭირო.

— მე შენთვის და შენის მეგობრისთვის ვშიშობ. უთხრა ამალიამ.

— მჯერა, მაგრამ ტუილად კი შიშობ.

— დანიელ ბოლო გავლენიანი კაცია, ბატონო. უთხრა ალეკორტამ დაცინვით და შესედა თავის მოწაიეს დანიელს.

— საუკარელი კაცი მისის ალმატებულობის ბატონის მინისტრის დონ-ფელიპესი, წევრი რესტავრაციის საზოგადოებისა, წარმოსთქვა დანიელმა ისეთის მედიდურობით, რომ ამალიამ და დოქტორმა გადისარსარეს.

— თქვენ გეცინებათ ბატონებო, მაგრამ მე გამოცდილებით ვიცი, თუ რა დიდ მნიშვნელობა აქვს ამ ტიტულებს იმისთვის, რომ..

— წავიდეთ, დანიელ.

— წავიდეთ, ბატონო. ნახვამდის, ამალია,—ჩამოართვა ხელი ამალიას და დაუკოცნა.

ამალიამ გაიცილა ისინი კარებამდის, სადაც ფერმინი ცხენებით ელოდა.

ამალიამ გადაავლო თვალი იმ ოთახს, სადაც ედუარდო იმყოფებოდა და მერე დაბრუნდა თავის ოთახში.

ალკორტა და დანიელ რომ ქალაქს მიახლოვდენ, განშორდენ ერთმანერთს. დანიელ და ფერმინ ერთის სახლის წინ შედგნენ. ფერმინ გადმოხტა ცხენიდამ, გაიღო ესოს კარები და ორივენი შინ შევიდნენ.

თავი მესამე.

წერილები.

დანიელმა ფერმინს გადასცა ცხენი დასაბინავებლად ⁄ უბძანა არ დაეძინა და როცა დაუძახებდა მსწრაფლად მოსულიყო. მერე გაიღო თავის სახლის კარები და შევიდა.

ახლა ვეცდებით დანიელ გავიცნოთ მკითხველს. ეს იყო ოტ-და-ხუთის წლისა, შუა ტანისა; წაბლის ფერი თმა, მაღალი შუბლი და ბერძნული ცხვირი ამშვენებდენ ხმის გონივრულს სახეს. ეს იყო შვილი მდიდარის ბლანტატორისა. ამის მამა თანა-უკრძნობდა დე-როზასს.

დანიელ, შევიდა თუ არა თავის ოთახში, დაჯდა სამწერლო სტოლთან და დიდ ხანს ჭფიქრობდა.

— დიაღ, დიაღ! უეცრად შეჭვეირა იმან და წამოხტა ზე-

ზედ,—უკეთესს ვერაფერს მოვიგონებ, ამით მე იმათ გზასა და კვალს ავურევ!...

მერე ისევ დაჯდა სტოლთან და დაიწყო შემდეგის წერილების წერა.

5 მაისს. დილით სამის ნახევარზე.

«საყვარელო თლორენსია! შენი ჭკვა-გონება ესლა ჩემთვის ისე საჭიროა, როგორც შენი სიყვარული, ბუტიაობა, ტალჭობა, აღტაცება ჩემის გულისა და გონების დასატკბობელად. ერთხელ შენ მითხარი, რომ ვითომ მე ვიყავი მიზეზი შენის ჭკვა-გონების განვითარებისა. ესლა ვნახავთ, როგორც სარ განვითარებული.

«მე მინდა ვიცოდე, როგორ უამბნიათ დონა ანგუსტინა დე-როზასისთვის და დონა მარია სოზეფისთვის ის შემთხვევა, რომელიც წუსელის მოხდა; სომ არ იციან, ვინცა ყოფილან; ერთის სიტყვით მე მინდა ვიცოდე ყოველისფერი, რაც ამ შემთხვევას შეეხება.

«ხვალ მეორე საათზედ შენთან შემოვიელი და იმედი მექნება, რომ დიპლომატიური მონდობილობა უკვე შესრულებული გექნება.

«დონა მარია-სოზეფს ერიდე; გასაკუთრებით ეცადე არ გააგებინო, რომ შენ ამ საქმის გაგება გსურს; შენ ჩუმად იყავ და ისინი კი ალაპარაკე: აი აქ გამოჩნდება შენი ჭკვა-გონება.

«რასაკვირველია, მიხვდები, ჩემო მშვენიერო, რომ ეს ჩემთვის ფრიად საჭიროა. შენ ჩემზედ თუმცა გაჯავრებული ხარ, მაგრამ ამ ამბავმა არ უნდა დაგიშალოს იმის შესრულება, რაზედაც დამოკიდებულია სიცოცხლე შენის.

დანიელისა.

— საწყალი თლორენსია! სთქვა დანიელმა, როდესაც ეს წე-

რილი ხელმეორედ გადიკითხე,—ვინ რა იცის, იმის თავში რა აზრები ტრიალებს, თუ თვითონ არავის ეტყვის. . ახა ესლა სხვა წერილი დავწეროთ.

დანიელმა დასწერა და წაიკითხა შემდეგი:

5 მაისს 1840 წ. დილის 9 საათზედ.

ბატონს დონ-ფილიპე არანას და სხვ. და სხვ.

«ჩემო პატივ-ცემულო მეგობარო და ბატონო! იმ დროს, როდესაც თქვენ ჩვეულებრივის ენერგიით და დაუცხრომლად ებრძვით იმ კაცებს, რომელნიც ესლანდელის მართებლობის მტერნი არიან, ზოგიერთნი თქვენი ხელ-ქვეგითნი საშმართველონი არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ცდილობენ იდუმალად თქვენს ვნებას.

«მაგალითებრ, პოლიცია უფრო იმასა ცდილობს, რომ ურჩობა გაგიწიოთ, ვიდრე თავის მოვალეობის აღსრულებას.

«თქვენ უკვე უწყით, რომ წარსულს კვირას ორმოცი მეტი კაცი გაიპარა ჩუმად, მიემსრო მტრის ჯარს და პოლიციამ კი ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია მათ. მისმა დიდებულებამ დე-როზასმა თქვენგნით უკვე იცოდა ეს ამბავი, როდესაც მე შეგატყობინე.

«გუშინ, ღამის თორმეტ საათზედ, მანდეილის სასლის პირდაპირ, წყლის ნაპირას დავინახე, რამდენიმე კაცი, რომელთაც, როგორც ვფიქრობ, ნავში ჩაჯდომა ჯ გაპარვა უნდოდათ; დარწმუნებულიცა ვარ, რომ იმათ თავიანთი განზრახვა შეასრულეს. ესლა თქვენი ვალია გადაუხადოთ საშაგიერო ვიკტორიკას და შეატყობინოთ ეს ამბავი მის აღმატებულესობას, რომელმაც იქნება კიდეც იცოდეს, მაგრამ გავბედავ დაგარწმუნოთ, რომ გაქცეულთა რიცხვი არ ეცოდინება. ეს საქმე ესლა გამოცხა-

დებული იქნებოდა, თუ რომ პოლიციას, რომლის მოთავედ ვიკტორიკა გახლავს, ჯეროვანი უურადღება მიექცია.

«დღეს მე თქვენის პირის-პირ ნასვა მელირსება და დაწერილებით მოგასსენებთ ამ საქმეს. ამასთანავე, იმედი მაქვს, რომ თქვენ უპოლიციოდაც გაგებული გექნებათ ყოველივე, რაც წუსელის მოსდა და გეცოდინებათ გაქცეულთა სასელებიც.

«დაუშთები ღრმად პატივის-მცემელი თქვენი უმორჩილესი მონა

დ. ბელო.

— ეს, ჩემო კეთილო დონ-ფილიპე! შეჭეკირა დანიელმა და დაიწყო სარჩარი, როდესაც ეს წერილი გადიკითხა, — შენი ბეკა-გონება და ენერგია ვგონებ ბუმრობითაც კი არავის უქია. მაგრამ ქვეყანაზე გამოუსადეგარი არაფერია, შენ მე ბევრს საქმეში გამომადგები... ესლა მესამე დავიწყოთ!

5 მაისს 1840 წელსა.

ბატონს პოდგოვნიკს სელომანს.

«თანა-მოქალაქეო და მეგობარო! არა მგონია ჩემზე ბეჯითად იყოს ვინმე დარწმუნებული, რომ ფედერაციას თქვენზედ ერთგული დამცველი არავინა ჰყავს და კანონის აღმადგინებელს დე-როზასს—თქვენზე ერთგული მეგობარი. ეი ამისთვის მე ძლიერა მწყინს, როდესაც ზოგიერთნი ჭკიცხავენ სალხს, რომ პოლიციას არა შველისო უნიტარების განდევნაში, რომელნიც იპარებიან ქალაქიდამ და მიდიან აჯანყებულის ლავალეს ჯართან.

«კანონის აღმადგინებელს დე-როზასს ეს რასაკვირველია ძალიან ეწყინება; და მეც, როგორც თქვენი მეგობარი, გირჩევთ დღესვე მიიწვიოთ თქვენს სასლში საუკეთესო ფედერალები ერთის მხრით იმიტომ, რომ შეგატყობინონ, რაც იციან

უკანასკნელ განდეგილებზე, მეორეს მხრით იმიტომ, რომ მოვიღაპარაკოთ იმათ განდეგნაზე და დასჯაზე, რომელნიც გადაგვიდგებიან.

«მეც თვითონ ძლიერ მოსარული ვიქნები დავესწრო ამ კრებაზე და, როგორც უწინ, ეხლაც წარმოვსთქვა სიტყვა ფედერაციის დამცველთა გასამხნევებლად, თუმცა ამის სრულება მარტო თქვენც შეგიძლიანთ.

«თუ ფედერალების კრებას დანიშნავთ, მოიღეთ მოწყალება და შემატყობინეთ თორმეტ საათამდის. დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ მე უოველთვის მზად ვიქნები გემსახუროთ ფედერალურის წმინდის გულით.

დ. ბელო.

—ეს კაჟ-ბატონი იმას იზამს, რასაც მე ვეტყვი, სთქვა დანიელმა, როდესაც წერილი გაათავა,—ესა და სხვა ამისთანა კაცები თვითონვე გაჭგლეჯავდენ დე-როზასს, თუ რომ სამი ჩემისთანა კაცი იქნებოდა: ერთი სოფლის საღსში, მეორე ჯარში. მესამე დე-როზასის გვერდით და მე კი უველგან,—საცა საჭირო ვიქნებოდი... ერთი წერილი კიდევ უნდა დავსწერო, სთქვა დანიელმა და გამოსწია სამწერლო სტოლის საიდუმლო უჯრა, საიდგანაც ამოიღო ნიშნებით დაჯღაბნილი ქაღალდი.

ბუენოს-აირესი, 5 მაისს 1840 წ.

«წუხელის ჩუთს ჩვენს ამხანაგს, როდესაც იგინი ნავში სხდებოდენ, დაესხნენ თავს მტარვალის მოსამსახურენი. ლინჩი, რიგლოსი, ოლიგენი და მაისონი ვგონებ მოუკლავთ; მეხუთე კი რაღაც სასწაულით გადარჩენილა. თუ რომ ეს ამბავი თქვენც გაიგოთ, არამცა და არამც სხვა აღარაის სახელი აღარ ახსენოთ, გარდა ამ წერილში მოხსენებულთა.

მოაწერა ხელი საიდუმლო ნიშნებით, დაბეჭდა და კონვერტზედ დააწერა:

„ბ. დე 23-მონტეკიდეო.

შემდეგ ეს წერილი დანიელმა მეორე კონვერტში ჩასდო, დასდო საწერლის ქვეშ და ზარი დარეკა.

ფერმინი იმავ წამსვე გამოცხადდა.

— საშინელი დრო დაგვიდგა, ფერმინ, უთხრა დანიელმა,— ახლა ყველგან სალდათებსა ჭკრეფენ და მე კიდეც უნდა ვთხოვო გენერალ პინედოს, მოგცეს დათხოვნის ქაღალდი, რასაკვირველია თუ შენი სურვილიც იქნება.

— როგორც გნებავთ, ბატონო! მიუგო ზარმაცად მოსამსახურემ.

— დიად, განაგრძო დანიელმა,—ახლა საქმესახური ადვილი აღარ არის. ჯარს ბევრგან მოუხდება წასვლა და შენ დაჩვეული არა ხარ ქვეკითი სიარული. შენ დაიბადე მამი-ჩემის სახლში და აიზარდე ჩემს ხელში, არაფერი გაჭირვება არ გამოგიცდია. ვგონებ მე ყოველთვის კარგად გექცეოდი.

— კარგად, ბატონო! უთხრა ფერმინმა ლ თვალებში ცრემლები მოერია.

— შენ მე იმისთვის ამოგირჩიე ხელზე-მოსამსახურედ, რომ ყველაფერში გენდობი. სხვა მოსამსახურეებზე შენა ბრძანებლობ, ფულს რამდენსაც გინდა, ხარჯავ და ამისთვის ვგონებ თავის დღეში არ გაგჯავრებივარ.

— არა, არა, ბატონო!

— ჯერ ჩემთვის ისე არავის მოუყვანია ცხენი, რომ შენთვისაც არ მეთხოვნოს. ბუენოს-აირესში ყველას მოსწონთ ის ცხენები, რომლებზედაც შენ ზიხარ ხოლმე.

— მე არ მინდა სამსახურში წასვლა, ბატონო, მე სიკვდილი მირჩევნიან თქვენს მოშორებას.

— და შენ ჩემთვის თავს დასდებ, რომ გამიჭირდეს?

— მაშ არა, ბატონო! მიუგო ფერმინმა გულ-წრფელად.

— მკერა, მკერა, უთხრა დანიელმა. მე რომ მაგაში დარწმუნებული არა ვიოფილვიყავ, ერთს დღესაც არ შეგინასავდი...

— კარგი, ფერმინ, განაგრძო დანიელმა,—შენ საღდათად არ წაგიყვანენ. ესლა გამიგონე რას გეტყვი: სვალ, დილას ცხრა საათზედ, ფლორენსიას ეკვეილების კონა წაიღე, და როდესაც გამოსართმევად გამოვიდეს, ეს წერილიც სელში ჩაუდე. იქიდამ დონ-ფილიპე არანასთან წახვალ და მიუტანე ამ წერილს. იქიდამაც პოლკოვნიკ სელომანთან წასვალ და ამ წერილს გადასცემ. ეცადე კი წერილები არ გადარიო.

— მაგისი ნუ გეფიქრებათ, ბატონო

— გამიგონე: როდესაც წერილებს ეკელას მიუტანენ, მერე მარტელინთან შეიარე.

— ეგ ის არ არის...

— ჰო, ის არის, ის ქალი, რომელიც ჩემთან დღე არ შემოუშვი და კარგადაც ჰქენი. ესლა კი უთხარ იმას, რომ ამ წამში აქ მოვიდეს.

— მესმის.

— ათს საათზედ ისევ შინ მოსვალ და თუ კიდევ მეძინოს, გამაღვიძე.

— მესმის, ბატონო.

— ვიდრე წახვიდოდე, სხვებს უთხარი გამაღვიძონ, თუ ვინმე მიკითხოს.

— მესმის.

— ერთი სიტყვა კიდევ,— და მერე დაიძინე. შენ ვერ მიხვდი ეს რა სიტყვაა?

— დიაღ... მივსვდი, ბატონო! უთხრა ფერმინმა.

— მე ძალიან მოხარული ვარ, რომ შენ ეს იცი, მაგრამ არ დაგავიწყდეს: თუ გინდა რომ მადლობელი ვიყო და დაგასახუქრო. ენა მოკლე იქონიე.

— დარწმუნებული ბძანდებოდეთ, ბატონო.

— კარგი, ესლა წადი და დაიძინე.

ღამის ოთხი საათი იყო, როდესაც დანიელმა ჩაჭკეტა თავის სასლის კარები და დაიძინა.

თავი მეოთხე.

დაგვიანებული სადილი.

ის დრო, როდესაც ეს ამბები ჭსდებოდა, საშინელი და საზარელი დრო იყო. ეს ის დრო იყო, როდესაც გენერალ როზასის დიქტატორობა ან უნდა დარღვეულიყო, ან უფრო საშიშარი და საზარელი გამსდარიყო.

აჯანყებულის სალხის მოთავემ გენერალმა ლავალემ რამდენჯერმე დაამარცხა როზასის ჯარი.

ტუკუმანის წარმომადგენლებმა როზასი დიქტატორად ალარ იცნეს ლ ჩამოართვეს თავიანთ გარეგანის საქმეების წარმოება.

უტაკუმანხა მაგალითს სხვა ქალაქებიც მიჰყვნენ, ასე რომ თოთხმეტის პროვინციისაგან შვიდი გადაუდგა როზასს.

რა საშუალებას არ ხმარობდა როზასი, რომ თავის დიქ-

ტატორობა გაეგრცელებინა! სტანჯავდა, აწვალებდა მოქალაქეებს, რომელნიც იმის გულ-მსურვალე თანამგრძნობნი არ იყვნენ. ვალად დასდო ყველას ან სალდათებად გამსდარიყვნენ, ან შვიდი-რვა სალდათის ფასი გადაესადათ, თუ არა და ციხეებში, კაზარმებში უნდა ურიალიყვნენ.

ამავე დროს ურაგვაის რესპუბლიკამ. არგენტინის განდეგილებმა ლ სიფრანგეთის მთავრობამ როზასის წინააღმდეგ დაიწყეს მოქმედება.

აი ამ გვარს გაჭირვებულს მდგომარეობაში იყო როზასი. ამ მდგომარეობიდამ მხოლოდ ერთს ბრძა ბედს შეეძლო დაესსნა იგი.

ახლა მკითხველს შევიყვანთ ერთს სახლში, რომელიც ალმადგინებელ ქუჩაში იყო და ვაჩვენებთ,—იმ სახლში მეოთვნი რა საშუალებას ხმარობდენ გაჭირვებულ მდგომარეობიდამ გამოსვლისათვის.

ამ სახლის კარებს ათი ინდიელი კაცი იცავდა, რომელნიც ყარაბინის თოფებით და ხმლებით იყვენ შეიარაღებულნი.

ერთს ამ სახლის ოთახში, რომელიც მოშორებული იყო სხვა ოთახებზე, იჯდა ღრმად ჩაფიქრებული კაცი შავის ტანისამოსით. მეორე ოთახში, რომელიც ქონის სანთლებით იყო განათებული, ლოგინში ჩაცმული ქალი იწვა. მესამე ოთახში კიდევ ერთს სტოლს გარშემო ოთხი კაცი უსხდა.

ერთი ამათგანი კარგა მოხუცი იყო, ორმოცის წლისა; ვიწრო მაღალი შუბლი ჭმორნდა და პატარა თვალები. თავზედ ისეთი ვანიერი ხალის შლიაპა ეხურა, რომ, თუ უკან არა ჭმორნოდა გადაწეული, პირის-სახე ალარც კი გამოუჩნდებოდა.

დანარჩენნი სამნი ოტ-ოტ-და-ხუთის ან ოტ და-ათის წლისანი იქნებოდენ. ესენიც შავად იყვნენ ჩაცმულნი.

ჩალის შლიაპიანი კაცი ქალაღდებსა ჭკითხულობდა, დანარჩენები სწერდენ.

ამ ოთახის კუთხეში მოჩანდა ერთი ბერი-კაცი. ეს მოხუცებული სამოცდა-ათის წლისა იქნებოდა.

ჩალის შლიაპიანის კაცის უკან, კედლის ძირას კიდევ ვიღაც მოჩანდა. ეს იყო ჩასუქებული ლ მოუხეშავი კაცი მღვდლის ტანისამოსში. კედლის ძირას ჩამჯდარიყო ლ ძილისათვის მიეცა თავი.

ოთახში სიჩუმე იყო. ერთმა გადამწერმა თავი მაღლა აიღო და კალამი მელანში ჩაწო.

— გაათავე? ჭკითხა ჩალის შლიაპიანმა გადამწერს.

— გავათავე, დიდებულო ბატონო.

— აბა წაიკითხე.

— ტუკუმანის პროვინციაში: მარკო დე-აკელიანედა, ხოზე კოლომბერტი, ბერნაბო ლოპეტ, სოლა.

— სხვა აღარავინ არის?

— აღარავინ, ბატონო. ეს იმ უნიტარების სახელებია, რომელთაც დეკრეტებზე ხელი მოაწერეს.

— ამ აქტებით უნდათ მე ბუენოს-აირესის გუბერნატორობა ჩამომართვან! სთქვა ღიმილით იმ კაცმა, რომელსაც სხვანი დიდებულს ბატონს ეძახდენ და ნამდვილად კი იყო გენერალი დონ-ხუან მანუელ დე-როზასი, არგენტინის დიქტატორი.

— სხვა რაღა ამბავია? განაგრძო იმან.

— კატამარკიდამ გვატყობენენ, რომ იქაც განუზრახავთ გამოსცენ ბძანება, რომელშიაც მტარვალად იქნება მოსსენებული ბრწყინვალე აღმადგინებელი კანონებისა, გუბერნატორი და გენერალ-კაპიტანი ბუენოს-აირესისა დე-როზასი.

— მე იმათ ვაჩვენებ მტარვალს! დაიყვირა დე-როზასმა. მერე მიუბრუნდა მუნდირიას მოსუცებულს.

— გენერალო კორვალანო, მითხარ, რა გითხრა სიმონ ბერეირმა?

— იმან მითხრა, რომ სალდათებისათვის მაუდს უწინდელ ფასად ვეღარ მოგცემთო.

— ერთი იმას უყურე! ხვალ წადი და ჩემს მაგიერად უთხარი, რომ ჩემს ბძანებას დაემორჩილოს. გაიგონე?

— გავიგონე, ბატონო.

— მაშ აბა როგორ ეტყვი.

— ბატონი გუბერნატორი გიბძანებთ დაემორჩილოთ იმის ბძანებასა მეთქი.

— კარგი. ახლა ეს მითხარი გენერალო, რომელ საათზედ მოვიდა ექიმი, რომელიც ახლა აქა ზის?

— დილის თორმეტ საათზედ.

— ხომ არაფერი მოუთხოვნია?

— ერთხელ წყალი ითხოვა და ერთხელაც ტანსაცმელი.

— კარგი. ეს ქალაღდი წაიღე იმას და უთხარი ისე გადასწორონ, როგორც უნდა და აქის შემდეგ უფროსის გასვრეულებას დაემორჩილოს.

— კიდევ გასვათაისუფლო?

— ჰო, გასვათაისუფლე. ისიც კმარა, რომ ამდენს ხანს უსმელ-უჭმელი იყო.

კორვალანი გავიდა რაზასის ბძანების ასასრულებლად იმ კაცის შესახებ, რომელიც, როგორც ვიცით, მარცხენა ოთახში იჯდა ჩაიეიერებული.

— ახლა ბერველი საათის ხთქვა რაზასმა, რადესაც საათი გასინჯა და წამოდგა. თქვენ შეგიძლიანთ წასვიდეთ, მაგ-

რამ ეს ვიდა ეშმაკის! დაიუკირა იმან, როდესაც დაინახა კედლის კუთხეში მძინარე კაცი,—ეი, ვიღაა, თქვენო კურთხევავ, გაიღვიძე!—და დაჭერა მხრებზე ხელი.

ვიღაა ისე დაფეთებული წამოვარდა, რომ როზასმა გადიხარხარა.

ეს საბრალო კაცი იყო როზასის ხუმარა. პატარა ხანს უკან გენერალი კორვალანიც მოვიდა.

— წავიდა ექიმი? ჰკითხა როზასმა.

— დიახ, გიახლათ.

— ხომ არა სთქვა-რა?

— არაფერი.

— ყარაული ხომ სდგას სახლში?

— დიახ, სდგას.

— მაშ კარგი; წადი ახლა კანტორაში.

— პოლიციის უფროსი რომ მოვიდეს?

— რაც გინდა უთხარი.

— ის რომ მოვიდეს..

— თუ გინდ ეშმაკიც მოვიდეს, რაც გინდა ის უთხარი, უთხრა გაჯავრებით როზასმა.

კორვალანი რომ წავიდა, როზასი შეკიდა თავის ოთახში, რომელშიაც ქონის სანთელი ენთო და დაიძინა.

— მანუელა!

— რა გნებავთ, მამა! მოსცა ხმა მეორე ოთახიდამ და ცოტა ხნის უკან გამოვიდა ის ქალი, რომელიც, როგორც ვიცით, გაუსდელი იწვა ლოგინზედ.

ეს იყო ოტ-და-ორის ან ოტ-და-სამის წლის ქალი მოხდენილის ტანისა და მიმზიდველის სახისა. თვალები თუმცა

დიდრონი არა ჭქონდა, მაგრამ მათში სიცოცხლე იხატებოდა და ეშხიც არ აკლდათ. ეს იყო როზასის ქალი.

— შენ, ვგონებ, გძინებია? უთხრა როზასმა. მე შენ სწორედ ვიღუას მიგათხოვებ, რომ სიკვდილამდის ერთად გეძინოთ. მარია-სოზეფა იყო აქა?

— იყო, მამა, მეთერთმეტე საათის ნახევრამდის.

— იმასთან სხვა ვინ იყო?

— დონა პასკუალა და პასკუალიტა.

— ვინ გაგიტანა ისინი?

— მენსილიამ.

— ინგლისელი კი არ მოსულა?

— არა, ბატონო. ამაღამ იმას წვეულება აქვს, რომ ვიღაც გამოჩენილს დამკვრელს ფორტოპიანო დაუკვრეინოს,—სადილს არ მიირთმევ, მამა?

— რატომ, ძალიან კარგი იქნება.

მანუელა წავიდა სუფრის გასაშლელად. მინამდის როზასმა გამოიტანა ტანისამოსი და ჩამოჯდა თავის კრატეზედ. პატარა ხანს უკან მანუელა მოვიდა და უთხრა მამას, რომ სუფრა გაშლილია.

როზასმა ხმა-მაღლა დაუძახა თავის ხუმარას ვიღუას, თვითონ კი სადილის საჭმელად დაჯდა. ვიღუა შემოვიდა.

— დაჯექით, თქვენო კურთხევავ, უთხრა ვიღუას.—ჯერ მაგას თავის კერძი მიართვი მანუელა...

მანუელამ შემწვარი ხორცის ძვლიანი ნაჭერი დაუდო წინ ვიღუას; ამას ეს ნაჭერი არ მოეწონა და გაჯავრებით შეხედა მანუელას. როზასმა ეს შეამჩნია.

— რა იყო ვიღუა? ჩემს ქალს აგრე მრისხანედ რად შეხედე?

— ცარიელი მგალი მოიტა!

— როგორ გაბედე შენ იმ კაცის ასე შეურაცხყოფა, რომელმაც ჯვარი უნდა დაგწეროს? არ არის კარგი, მანუელა, არა, ადექ და მის კურთხევას ხელზედ აკოცე, რომ დანაშაული მოგიტეხოს.

— კარგი, ხვალ ვაკოცებ, სთქვა სიცილით მანუელამ.

— არა, ესლა.

— ეგ არ შეიძლება.

— შეიძლება.

— მაბა!

— თქვენო კურთხევავ, ვიღუაბ, ადექით და ჩემს ქალს ტუჩებში აკოცეთ. ვიღუა წამოდგა და წავიდა მანუელასკენ. მანუელამ ისეთის მრისხანეს თვალით შესედა, რომ ვიღუა ვეღარ გაბედავდა იმის კოცნას, თუ როზასს არ წაექეზებინა. მანუელამ მიიტანა პირზედ ხელები, რომ ვიღუას არ ეკოცნა. ვიღუაც, რომელსაც პურის ჭამა უფრო უნდოდა, ვიდრე კოცნა, აღარ გამოეკიდა და მარტო თავზედ აკოცა გაქონილის ტუჩებით.

— რა ვაგლახი რამა სარ, თქვენო კურთხევავ! უთხრა როზასმა ხარხარით ვიღუას, — განა აგრე ჭკოცნიან ქალებს?.. შენ რაღას ინაზები, მანუელა! აბა ერთი ლამაზ ბიჭს კოცნა, მაშინ ხომ არ გეწუინებოდა.

— თქვენ როგორღაც გესიამოვნებათ ჩემი დამცირება ამისთანა რეგვენის ხალხის წინაშე.

— ეგენი შენი ძაღლები არიან და გეალერსებიან.

— ჩემი ძაღლები! უთხრა მანუელამ, — ძაღლები მე უნდა მემორჩილებოდენ; თქვენთვისაც ძაღლები უფრო სასარგებლონი იქნებოდენ, სინამ ამისთანა ტუტუცები, ამისთვის, რომ ძაღ-

ლი გაერთგულებული მაინც გეულლებოდა და მოგეშველებოდა, როდესაც დადგებოდა ის საშინელი დრო, რომელზედაც ყველანი გადაკვრიან ულაპარაკებიან.

მანუელა გაჩუმდა. როზასს უკანასკნელი სიტყვები არა-ფერად ეჩაშნიკა და მოიღრუბლა.

— ვინ გეუბნება ძაგას? ჰკითხა როზასმა სიჩუმის შემ-დეგ.

— ყველანი, უთხრა მანუელამ,—ყველანი მეუბნებიან, რომ უნიტარები ისეთი გამბედავები არიანო, რომ მამა-შენს ესა-თუოდ მოჰკლავენო.

— შენ ეგრე რადა გგონია?

— იმისთვის, რომ შენ ერთგული მომხრეები არა გყვანან. ის კაცები, რომელნიც შენს ერთგულებად ითვლებიან, სხვასაც ეგრედვე შესწირავენ თავს, როგორც შენ. თუ იმათ ეშინიანთ რისამე, შენის გულისთვის კი არა, თავიანთ გულისთვის უფ-რო ეშინიანთ.

— იქნება მართალს ამბობდე, ძაგრამ ჩვენის ლაპარაკის სა-განს კი გადაუხვიე. შენ იმაზედ გაკვირდი, რომ მის კურ-თხევას შენი კოცნა უნდოდა; ძე მინდა რომ შენ და ვი-ლუა შერიგდეთ.—ახა ვილუა, განაგრძო როზასმა,—მოეხვიე ჩემს ქალს და ორკელ აკოცე, თორემ ძალიან ეკვრობს.

— არა, მამა, არ შეიძლება? დაიუვირა მანუელამ.

— რატომ არ შეიძლება, აკოცე ვილუა.

— ნება მომეცი, გაკოცო, უთხრა ვილუამ მანუელას.

— არა, არ შეიძლება! შეუტია მანუელამ და გაიქცა მეორე ოთახისაკენ.

— დაიჭი, დაიჭი, ვილუა, ჭუკირდა როზასი.

ამ დროს, როდესაც ვილუა ქალს მისდევდა და როზა-

სი სარსარებდა, ქუჩიდამ ცხენების ფეხის ხმა მოისმა და ამან დააშფოთა ყველანი.

თავი მეხუთე.

კაპიტანი კუიტინო.

ცხენები როზასის სასლის წინ დადგნენ ლ რამდენიმე წამის სიჩუმის შემდეგ როზასმა ანიშნა თავის ქალს — გაეგო ვინ იყვნენ. ქალი თმის სწორებით გავიდა მეორე ოთახში.

— ვინ არის, კორვოლანი? ჰკითხა იმან უფროსს ადუტანტს, რომელსაც ტალანში შესვდა.

— კაპიტანი კუიტინო გახლავთ, ბატონო.

მანუელა და კორვოლანი შეავიდნენ როზასთან.

— კაპიტანი კუიტინოა, მოახსენა კორვოლანმა როზასს.

— თან ვინ მოიყვანა?

— ცხენოსნები.

— მე მაგას რადი გკითხავ.

— მარტო თვითონ გასლავთ, დიდებულო ბატონო.

— უთხარ შემოვიდეს.

როზასი ისევ თავის ალაგას იჯდა სუფრაზედ, მარცხენა მხარეს უჯდა მანუელა, რომელსაც ზურგი იმ კარებისკენ ჰქონდა, საიდამაც კორვოლანი გავიდა. ვიღაც სუფრის ბოლოს დაჯდა როზასის პირდაპირ.

ცოტა ხნის შემდეგ კუიტინო შემოვიდა დუზების ჩხარა-ჩხარით.

ეს იყო ერთგული ომა ფედერალიზმისა.

ხელში შლიაპა ეჭირა განიერის წითელის ლენტით ძორ-თული. ეს მგლოვიარობის ნიშანი იყო, რადგანაც როზასს ტოლი ახალი მკვდარი ჰყავდა.

— შემოდი, მეგობარო, უთხრა როზასმა.

— საღამო მშვიდობისა, ბატონო.

— გთხოვ შემობძანდეთ. მანუელა, სკამი მიართვი კაპიტანს. თქვენ წადით, კორკოლან. კუიტინო როზასისა და იმის ქალის შუა ჩაჯდა.

— აბა, რით გამასპინძლოთ?

— უმდაბლესად გმადლობთ. თქვენო დიდებულებავ.

— მანუელა, კაპიტანს ღვინო დაუსხი. როდესაც მანუელა ბოთლს იღებდა, კუიტინომაც აიღო სტაქანი ხელში და მიიტანა მანუელას ბოთლთან, მაგრამ როდესაც მანუელამ სტაქანს დახედა, ისე აუკანკალდა ხელი, რომ ღვინო სუფრაზედ დაღვარა: კუიტინოს ხელი გასისხლიანებული ჰქონდა, როზასმაც მაშინვე შეამჩნია ეს და ჯოჯოხეთის ღიმილით გაიღიმა, თუმცა სახე ოოველთვის მოჯმუხვნილი ჰქონდა. მანუელა მკვდარივით გაფითლებული იყო და თვისდა უნებურად სკამი უკან დაიწია.

— თქვენო დიდებულებავ! ღმერთმა თქვენა და თქვენი ქალი გაადიდეგრძელოთ! სთქვა კუიტინომ და დალია ღვინო.

— სხვა, რას აკეთებთ, კუიტინო! ჰკითხა როზასმა დამშვიდებით.

— თქვენ, გენერალო, გებძანებინათ მოვსულვიყავ თქვენთან შემდეგ ჩემის მოკალეობის ალსრულებისა...

— რა მოკალეობისა?

— მაშ ალარ გახსოვთ, გენერალო, რომ მიბძანეთ...

— ჰო, ჰო, ეინიტარების თაობაზედ. მერლოს შეეტყობი-

ნებინა გიქტორიასთვის, რომ ზოგიერთნი გაქცევას აპირებენ ლავალესთან შესაერთებლადაო... ესლა მეც მაგონდება, რომ შენა გთხოვე თვალ-ყური დაიჭირე მეთქი. ამისთვის რომ, თუმცა ვიქტორიკა, ეჭვი არ არის, კეთილი ფედერალია, მაგრამ სწორედ უნდა გითხრა, ცოტა მძიმე ჯკუისაა და ამასთანავე ზარმაციც.

— მართლსა ბძანებთ.

— თქვენც იქ იყავით, როდესაც უნიტარები აპირობდენ წყალზე გასვლას?

— დიახ, იქ ვიყავ. მერლოტ წინადვე დარიგებული მყავდა, როგორც უნდა მოვქცეულვიყავით.

— და თქვენ ისინი იპოვნეთ?

— დიახ, ისინი და მერლო ერთად იყვნენ და როდესაც მერლომ მანიშნა, თავს დავესხი ჩემს ხალხით.

— თან მოიყვანეთ?

— თან რისთვის უნდა მომეყვანა? განა, თქვენო დიდებულებავ, დაგავიწყდათ რაც მიბძანეთ?

— ჰო, მართლს ამბობ. ამ უნიტარებმა სწორედ ჯკუიდამ გადამრიეს. ღმერთსა ვფიცავ, დავღონებულვარ; ალარ ვიცი რა ვუყო. აქამდის მარტო ციხეებში ვამწყვდევდი და ისე ვექცეოდი, როგორც მამა თავის უძღებს, გზა-აბნეულს შვილებს, მაგრამ მაინც ვერ მოვარჯულე. აკი თქვენც გითხარით, რომ გაგრთხილებულიყავით, თორემ თუ ლავალემ გაიმარჯვა, ცუდად იქნება ჩვენი საქმე მეთქი.

— ეგ შეუძლებელია.

— მე თუ გინდა ახლაგე გადავდგები ჩემის თანამდებობიდამ, რომელიც მხოლოდ იმიტომ მიჭირავს, რომ თქვენ ეგრე გინდათ.

— თქვენო დიდებულებავ, თქვენ ოვედერციის მამა ხართ.

— და თქვენც, როგორც გითხარით, რაც შეგიძლიანთ უნდა დამესმაროთ. რაც გინდათ ის უყავით უნიტარებს, რომელთაც ციხეც კი არ აშენებს. ეხლინ თქვენ ყველას დაგხვრეტენ, თუ დაგვამარცხეს.

— ძალიან კი დაგვამარცხებენ ხი, ბატონო.

— მეც შენ იმიტომ გითხარი, რომ შენც სხვებს შეატყობინო.

— ეგ ყველამ კარგად ვიცით.

— ისინი რამდენნი იყვნენ?

— ხუთნი.

— მერე, შემდეგ თავს დასხმისა, კიდევ გაუშვით ვინმე?

— არა, ბატონო, პოლიციაში წაიღეს, რადგანაც ბერლომ მითხრა, რომ ამის შესახებ პოლიციის უფროსს განკარგულება მოეხდინა.

— ვისი ბრალია? თავიანთ თავს დააბრალონ. მეც არ მიაშება ესა, მაგრამ თქვენ თქვენს მოვალეობას ასრულებთ: თქვენ თქვენს თავს იფარავთ. იმათ რომ გვაჯობონ, ყველას დაგვხვრეტენ.

— ესენი კი ველარას დაგვაკლებენ, თქვენო დიდებულებავ, ჩოანსენა კუიტინომ და იმის სიზიზღარს სასეზედ სიხარულის ღიმილმა გადირბინა.

— სომ ყველანი კარგად დასაჯეთ?

— რომ ალარ გაქცეულიყვნენ, ყველანი დავხოცე.

— ქალლდები სომ არა ჰქონიათ-რა? ჰკითხა როზასმა, რაკი ოინბაზობა ველარ მოახერხა და სახეზედ სიამოვნება დაეტყო.

— იმ ოთხში არც ერთს არა ჰქონდა ქალლდები, შიუგო კუიტინომ.

— ოთახში? აკი შენ მითხარი, ხუთნიო...

— დიახ, ბატონო, მაგრამ ერთი იმათგანი გაიქცა...

— გაიქცა? დაიღრიალა როზასმა და გულმა ღელვა დაუწყო; იმის თვალებში გამოჭვრთა ის ნაბერწკალი მოუდრეკელის შტკიცე სასიათისა, რომლის წინაშე კუიტინოტ კი შეჭვრთა ლ გაქვავდა.

— დიახ, დიდებულო ბატონო, გაიქცა, სთქვა კუიტინომ და ჩაღუნა თავი, რადგანაც როზასის მრისხანე თვალებს თვალი ვერარ გაუსწორა.

— სახელდობრ რომელი გაიქცა?

— არ ვიცი.

— მაშ ვინ იცის?

— მერლომ უნდა იცოდეს, ბატონო.

— სად არის მერლო?

— იმ ღამის შემდეგ აღარ მინახავს.

— ის ერთი როგორღა გაგექცათ.

— არ ვიცი... გავბედავ მოვახსენო თქვენს დიდებულებას, როდესაც იმათ თავს დავესხით, ერთი იმათგანი ხეკისკენ გაიქცა... რამდენიმე სალდათი გამოეკიდნენ, რომ დაეჭირათ, მაგრამ, როგორც სალდათებმა მითხრეს, ხმალი ჭქონოდა ლ იმით ორი ჩვენი სალდათი მოეკლა... შემდეგ გაქცეულს სხვანიც მოშველებოდენ... ეს მოსდა ინგლისის კონსულის სახლის სიახლოვეს.

— კონსულის სიახლოვეს?

— დიახ, იქ, ქალაქის ბოლოს.

— კარგი, მაგრამ მერე?

— მერე როცა სალდათმა შეგვატყობინა უნიტარის გაქცე-

ვა, უველგან გავგზავნე ბუტები მოსაძებნად, მაგრამ ვერავინ ვერ შეიტყო, საით გაქცეულიყო.

— რატომ ვერ შეიტყო? უთხრა როზასმა მწყანეს ხმით და დაუშტერა კუიტინოს მრისხანე თვალები.

— მე სხვებსა ვსოცავდი, მიუგო იმან.

ამ ლაპარაკის დროს ვიღუა ნელ-ნელა იწევდა უკან და ვერ როზასს ლაპარაკი არ გაეთავებინა, რომ ისეთი გადახტა უკან, რომ თავი ქედელს მიახეთქა. საწყალი მანუელა გაუვითლებული იდგა ერთს ადგილას და არ იღებდა მაღლა თავს, რომ არ დაენახა კუიტინოს გასისხლიანებული ხელები და მრისხანე მამის თვალები.

ვიღუას კედეზედ თავის მიხლამ როზასი ცოტათი დაამშვიდა და დამშვიდებით დაუწყებინა ლაპარაკი.

— მე შენ უველა ამას იმიტომ გკითხავ, რომ გაქცეულს უნიტარს ლავალესთან ქალაღდები ექნებოდა და არა იმისთვის, რომ ვითომც მე ძალიან მეწუსებოდეს, რომ ის არ მოგვალით.

— მე რომ ის დამეჭირა...

— სწორედ უნდა დაგეჭირა, უნიტარების დასაჭერად სიმარდე და სიფხიზლეა საჭირო.

— მე იმას უველგან მოვძებნი, თუ გინდ ეოკოსეთშიც იყოს, ოღონდ კი ნება მქონდეს თქვენის დიდებულებისა და თქვენის ქალის მანუელასი.

— მერე რა ღონისძიებას იხმარებ იმის დასაჭერად?

— ყოველს ღონისძიებას, და იმედიცა მაქვს რომ დავიჭერ.

— მეც მინდა, რომ უსათუოდ იპოვნო; იმას საჭირო ქალაღდები ექნებოდა.

— ნუ სწუხდებით თქვენო დიდებულებავ, უსათუოდ ვიპოვნი და მაშინ ვნახოთ როგორღა წამიგა ხელიდამ.

— მანუელა კორვალანს დამიძახე.

— მერლოს ეცოდინება გაქცეულის უნიტარის სახელი და გვარი, უთხრა კეიტინომ.

— შენ თითონ მოელაპარაკე მერლოს... ხომ არა გინდა-რა?

— ჯერ არაფერი, ბატონო. მე ვემსახურები თქვენს დიდებულებას მთელის ჩემის სიტოტხლით და მზადა ვარ თქვენს მტრებს თქვენის გულისთვის ლუკმა-ლუკმა ავეკუწვინო. თქვენ უიმისოდაც ბევრს მოწყალებას გვანიჭებთ, რომ გვფარავთ უნიტარებისაგან.

— ეს, კეიტინო, შენის სახლობისთვის წაიღე.

როზასმა ამოიღო უბიდამ ერთი პაჩკა ბანკის ბილეთები და ჩაუდო ხელში კეიტინოს.

— მივიღებ ამას-იმისთვის, რომ თქვენი დიდებულება მაძლევს.

— ერთგულად ემსახურე ფედერაციას, ჩემო მეგობარო.

— მე ვემსახურები თქვენს დიდებულებას, იმისთვის რომ თქვენი დიდებულება — ფედერაცია არის, აგრეთვე ერთგულად ვემსახურები თქვენს ქალს მანუელიტას.

— მაშ წადი და ღმერთი იყოს შენი მფარველი.

როზასმა კეიტინოს ხელი ჩამოართვა.

— ხელი სისხლში მაქვს გასვრილი, უთხრა კეიტინომ.

— პატივი და დიდება შენ, ჩემო მეგობარო: ეგ სისხლი უნიტარებისაა, და თითქოს დიდს სიამოვნებას ჭამოვებდა-იმის სისხლიანს ხელში, როზასს დიდ ხანს ეჭირა იგი.

— ვიქნები ერთგული მოსამსახურე თქვენის დიდებულებისა უკანასკნელ სულის ამოსვლამდე.

— წადი, კეიტინო.

როდესაც კეიტინო გადიოდა, როზასმა თვალით გა-

ზომა ეს სულთა-მხუთავი კაცი, რომელიც მზად იყო ლუკ-ძა-ლუკმა აეკუწა პატიოსანი და ბრკვიანი, მოხუცი და უმაწვილი, მეომარი, კაცი თუ ქალი, და ეხლა კი ფერხთა-მტვერად უსდებოდა როზასს. ამისთანა საზიზღარი კაცები როზასმა ლაფიდამ ამოათრია, რომ მათის შემწეობით თავისუფლება და სიმართლე დაეთრგუნა.

თავი მეექვსე.

ვიქტორია.

— ღამე-მშვიდობისა, მანუელიტა! უთხრა კუიტინომ როზასის ქალს, როდესაც შეხვდა მას და კორვალანს მიმავალთ როზასის კაბინეტში.

— ძილი-ნებისა! მიუგო ქალმა და მიეკრა კორვალანს, რადგან ეშინოდა მიჰკარებოდა იმ ადამიანის სისხლში ამოსვრილს კაცსა

— კორვალანო, უთხრა როზასმა, როდესაც ისი და მანუელა შეკიდნენ,—ვიქტორიას დამიძახე.

— ვიქტორია ეს-ეს ორის მოვიდა და კანტორაში გახლავთ. იმასაც თქვენი ნასვა უნდა.

— უთხარ მოვიდეს. თქვენ კი შეკეთეთ ცხენზედ, წადით ინგლისის რეზიდენტთან და უთხარით იმასაც ეხლავე ჩემთან მოვიდეს.

— რომ ეძინოს?

— გაიღვიძე.

კორვალანი წავიდა ბძანების ასასრულებლად.

— შენ, ვიდუ, რად შეგეშინდა კუიტინოსი? მოდი სტოლთან ახლო და ობობასავით კუთხეში ნუ იმალები.

— კუიტინოს სულისა შემეშინდა, უთხრა ვიდუამ და მიუახლოვდა სტოლს.

— ვერც შენ მოიქეცი კარგად, მანუელა, უთხრა როზასმა ქალს.

— როგორ, მამა?

— შენც ზიზღით უყურებდი კუიტინოს.

— თვით შენ ნახე რისთვისაც!...

— დიაღ, მე უკეთესი ვნახე.

— მაშ როგორ შეიძლებოდა რომ...

— რატომ არ შეიძლებოდა! გამიგონე, შვილო, იმ გვარ კაცებს, რომელიც ესლა აქედამ გავიდა, არ უნდა აწუეინო.

— მე შემეშინდა, ბატონო.

— შეგეშინდა!... მაგ კაცს მე ერთის შესედვით გავაჭრობდი.

— მე იმისი მეშინოდა, რაც იმას ჩაედინა.

— რაც იმას ჩაედინა, ჩემთვისაც და შენთვისაც საჭირო იყო; გთხოვ კვლავაც სხვას ნურასთერს იფიქრებ. შენ იმათ უნდა მიესალმო, პირველად იმისთვის რომ ეს შენთვისვე საჭირო და მეორედ იმისთვის, რომ მე გთხოვ.—შემოდი ვიქტორიკა, უთხრა როზასმა, რომელსაც დაინახა კარებში მომავალი კაცი.

ვიქტორიკა ორმოცდა-ათის წლის კაცი იყო, შუატანისა, იმის წვრილ თვალებში ცბიერება ისატებოდა.

როდესაც თავი დაუკრა, ვიქტორიკა ჩამოჯდა, როზასის ნება-დართვით, იმ სკამზედ, რომელზედაც წინად კუიტინო იჯდა.

— შენ პოლიციიდამ მოდისარ? ჰკითხა როზასმა.

— ამ ცოტა ხნის წინად იქ გასულდით.

— ახალი ამბავი რა არის?

— იქ დასოტილი უნიტარები შოიყვანეს, რომელთაც წუსელის გაქცევა სდომებიათ,—ესე იგი სამი მკვდარი და ერთიც სულთ-მოხრძავი.

— ცოცხალი კაცი ძლიერ არის დაჭრილი?

— ესლა ისიც მკვდარია.

— ვინ არის?

— ლინჩი.

— სხვების სახელებიც იცით?

— დიახ, ბატონო. ლინჩის გარდა კიდევ ოლიდენია, ხუან რიგლოსი და ახალგაზდა მაისონი.

— იმათ ქალალდები არა ჭქონდათ?

— არაფერი არ გვინახავს.

— დაბეზღების ფურცელზედ მერლოს ხომ ხელი მოაწერინეთ?

— დიახ, ბატონო, ყველა დაბეზღების ფურცელზედ გაწერინებთ ხელს, როგორც თქვენმა დიდებულებამ ბძანა.

— თანა გაქვთ დაბეზღების ფურცელი?

— აი, ბატონო, უთხრა პოლიციის უფროსმა, ამოიღო პორტფელიდამ ქალალდი და გაშალა სტოლზედ.

— აბა წაიკითხე, უთხრა როზასმა.

ვიქტორიკამ წაიკითხა შემდეგი:

«მე ხუან მერლო, ბუენოს-აირესის მცხოვრებელი, ორს მაისს წარვდეგ წინაშე პოლიციის უფროსისა და მოვახსენე შემდეგი: მე გავიგე უნიტარის ოლიდენის მოასლისაგან, რომ ის ოლიდენი გაქცევას აპირობდა მონტევიდეოში. მაშინ მე მივედი ოლიდენთან და ვთხოვე ესესსებინა ჩემთვის ორმოცდ-

და-ათი თუმანი გასაქცევად ამონტევიდეოში, ოლიდენმა მითხრა, რომ იმასაც თავის ოთხის ამხანაგით უნდა გაქცევა მონტევიდეოში და მთხოვა მეშოვნა კაცი, რომელსაც ნავით გაეყვანა წყალში. მეც იმას ავუთქვი გამერიგებინა ეს საქმე და დავუნიშნე ვადა გასაქცევად ოთხს მაისს ღამის, ათს საათზედ.

«ეოველს ამას, მსურს რა დაცვა ფედერაციისა, ვაუწყებ პოლიციას, რომ იმანაც თავის მხრით შეატყობინოს მის დიდებულებას.

«რის დასამტკიცებლად ვაწერ ჩემს საკუთარს ხელსა, ბუენოს-აირესი, მაისის 3-ს 1840 წელსა.

«ხუან მერლო.»

ამ განცხადების შემდეგ ჩემის ბირით თქვენმა დიდებულებამ მოახდინა განკარგულება, რომ მერლომ და კეიტინოს მოელაპარაკათ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

— როდის ელაპარაკე მერლოს?

— დღეს დილით, რვა საათზედ.

— ოლიდენის ამხანაგების სახელი არავისი ახსენა?

— დღეს დილამდის იმას არც ერთის ამხანაგის სახელი არა სტოდნოდა.

— ხომ ეურადღების ღირსი არა მომხდარა-რა იმ ღამეს?

— როგორც მითხრეს, ერთი უნიტართაგანი გაქცეულა და და დამალულა.

— დიახ, ერთი იმათგანი დამალულა, რომელიც ესაეურად უნდა ვიპოვნოთ.

— იმედი მაქვს ვიპოვნით.

— სწორედ ვიპოვნით. როდესაც მართებლობის ხელი შეეხო უნიტარს, უნდა გეცადოთ, აღარ გავუშვათ, რომ დაცინვა აღარ გაბედოს.

— მართალსა ბძანებთ, ბატონო.

— ვიცი რომ მართალსა ბძანებ, მაგრამ ეს კიდევ არა კმარა: მე შევიტყე, რომ დამალულს უნიტარს უბრძოლია და კიდევ კიღაც მოშველებია. მე გთხოვთ, ამისთანა საქმე კვლავ ალარ მოხდეს. ეს ქვეყანა იმიტომ არის ერეულ-დარეული, რომ ველა, ვინც კი შოისურვებს, ხმალს ვღებულობს მართლობის წინააღმდეგ.

— სრულიად მართალსა ბძანებთ! უთხრა ვიქტორიკამ. მე ვგონებ მერლომ უნდა იცოდეს იმის სასელი, რომელიც გაიქცა.

— ჩვენთვისაც ეგ არის საჭირო.

— მე ეხლავე ვიბოვნი მერლოს.

— საჭირო არ არის. სხვა მოელაპარაკება ამას.

— მესმის, ბატონო.

— მე სხვას მივანდე მერლოსთან მოლაპარაკება, და ხვალ დილით გაიგებ—იცის იმან დამალულის უნიტარის სასელი თუ არა.

— დროს ნულარ დაკარგავთ.

— ძალიან კარგი; მაგრამ ვსთქვათ მერლომ არ იცოდეს იმის სასელი, მაშინ რას იზამთ?

— მე?...

— დიალ, თქვენ, ჩემო პოლიციის უფროსო.

— ვუბძანებ პოლიციის კომისარებს და საიდუმლო პოლიციის მოთავეებს, რომ იმათ უბძანონ თავიანთ ხელ-ქვეითებს მოსძებნონ გაქცეული...

— უნიტარი ქალაქს ბუენოს-აირესში! გაუწყვეტინა როზასმა.

— ეჩქარები ხარ, ფიქრა ალარ უნდა! განაგრძო როზასმა, — როგორ ჰგიქრობ, ბუენოს-აირესში ბევრი უნიტარია.

— იქნება ესე...

— დიახ იმდენი, რომ იმათ შეუძლიანთ თქვენ და ყველა ფედერალები ჩამოგაღრჩონ, თუ რომ ყველასთვის მე არა ვზრუნავდე და თქვენს საქმესაც მე არ ვაკეთებდე, ბატონო პოლიციის უფროსო.

— მე რაც შემიძლიან, ვშრომობ, თქვენო აღმატებულებავ.

— მკერა, რომ რაც შეგიძლიანთ, შრომობთ, მაგრამ იმდენს კი არა, რამდენიც საჭიროა. გამიგონე, რას გეტყვი. ქალაქში უნიტარის ძებნა და ზღვაში წვეთისა ერთი და იგივეა. თქვენ კი სელში გიჭირავთ თუ უნიტარის სასელი არა, გზა მაინც იმის საპოვნელად.

— მე? მიუგო ვიქტორიამ.

— დიახ, თქვენ, თქვენ, ბატონო.

— გავუტუდები თქვენს აღმატებულებას, რომ მე ეგ არ მესმის.

— ეგ არის სამწუსარო კიდეც, რომ ყველაფერი მე უნდა გასწავლოთ. კისგან გაიგო მერლომ, რომ უნიტარი ოლიდენი უნდა გაქცეულიყო?

— მოახლისაგან.

— კისთან იყო ის ძოახლე მოსამსახურედ?

— ოლიდენთან, როგორც დაბეზღებიდამ სჩანს.

— უნიტარ ოლიდენთან განა, ბატონო დონ-ბერნარდო ვიქტორიკა?

— დიახ, ბატონო

— კისთან უნდა გაქცეულიყო ეს საზიზღარი დამალული უნიტარი?

— ოლიდენთან და სხვებთან ერთად.

— და შენ გგონია, რომ ოლიდენი გამოიდა ქუჩაში, ან

დაიკვირა: «აბა ვის გინდათ გაქცევაო?!» და მაშინვე გამოუჩნდენ ამსანაგები.

— არა, დიდებულო ბატონო.

— მაშასადამე, ისინი ოლიდენის მეგობრები ყოფილან?

— ეგრე სჩანს, მიუგო ვიქტორიკამ, რომელიც მისდა როზასის ლაპარაკს.

— თუ რომ მეგობრები იყვნენ, უსათუოდ ერთი-ერთმანეერთმანე დაიწყებდენ საარულს.

— უსათუოდ.

— ვინ იყო იმასთან გუშინ, ან ამ საამის დღის წინად?

— დიაღ, ეს იმ მოახლემ უნდა იცოდეს.

— იყვნენ ესენი და ესენი, მოჰკლეს: მაისონი, ლინჩი და რიგლოსი. გაქცეული ვიღა იყო? თუ ასე ვერ იპოვნით, ტყუილად დროს ნუ დაჰკარგავთ.

— თქვენო დიდებულებავ, დიდი გენიოსი ბძანდებით, მე ვიმოქმედებ თქვენის ხელმძღვანელობით.

— უფრო კარგი იქნება, რომ სხვის ხელმძღვანელობა არ გინოდდეთ. თორემ რა სასიამოვნოა ჩემთვის, რომ, რაკი რიგიანი თანაშემწენი არა მყვანან, მე ვიმუშავო ყველას მაგივრად, მიუგო როზასმა.

ვიქტორიკამ ჩადუნა თავი, რაკი ვეღარ შეუძლო როზასის მრისხანე და დამცინავ თვალების ძალას.

— ესლა ხომ იცი, როგორც უნდა მოიქცე?

— ვიცი, ბატონო.

— წუხელისაც ხომ არაფერი მომხდარა?

— ერთმა მკერვალმა ქალმა, დონა-კატალინა კუეტომ, იხიგლა დაიტანზედ, რომ იმან ჩემს შვილს მათრახით სცემა, როდესაც ის ცხენით დასეირნობდაო.

— ქერე ვინ არის ამის შვილი?

— მატემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

— რისთვის ეტყვნა ღაიტანს?

— ღაიტანი მისულიყო იმასთან და ეკითხა, აღვირი რატომ ფედერალის ნიშნით არ გაქვს მორთულიო. უმაწვილს, რომელიც თექვსმეტის ან ჩვიდმეტის წლისა იქნება, მიეგო, რომ ჩემი ცხენი უიმისოდაც კეთილის გულის ფედერალიან და არა საჭიროებს გარეგანს მორთულობასაო. მაშინ ღაიტანს დაეწყო იმისთვის მითრასით ცემა და იმდენი ეცემა ვიდრე ცხენიდან არ ჩამოვარდნილიყო.

— ოჰ, რა უნდა ვუყო ამ ლაწირაკ ენიტარებს, ღმერთმანი! სთქვა როზასმა ცოტა ხნის თეიქრის შემდეგ.

— მე რამდენჯერ მომისმენია თქვენის დიდებულებისათვის, რომ უნიკერსიტეტის და ქალების მორჯულება არ შეიძლება მეთქი. სტუდენტებს ვერას გზით ვერ ატარებინებთ ფედერალურს ნიშანს. ქალებიც ასე ჯიუტები არიან.

— ატარებენ, თუ ის საშუალება ვიხმარე რომელიც მე ვიცი და ვგონებ შენცა, სთქვა როზასმა.

— ამაღამის შესახებ ხომ არაფერს განკარგულებას მოახდენთ?

— არა, შეგიძლიანთ წახვიდეთ.

— ხვალვე ავასრულებ თქვენს ბძანებას ოლიდენის მოახლის შესახებ.

— მე არაფერი მიბძანებია, მე მხოლოდ ის გასწავლეთ, რაც თქვენ არ იცოდით.

— მადლობელი გახლავარ, თქვენო დიდებულებავ.

— მადლობად არა ღირს.

— ვიქტორიკამ დაუკრა როზასს და იმის ქალს თავი და გავიდა.

შემდეგ პოლიციის უფროსის წასვლისა სახლში სიჩუმე ჩამოვარდა. როდესაც როზასი და იმისი ქალი სულ სხვა-დასხვა ფიქრს მიეცნენ, ვიღუას დაედო სტოლზედ თავი ლ ეძინა.

— წადი, დაიძინე, უთხრა როზასმა ქალსა.

— ჯერ არ მეძინება, ბატონო.

— სულ ერთია, — მაინც გვიან არის.

— თქვენ მარტო დარჩებით?

— მე მარტო თავის დღეშიაც არა ვრჩები. ახლა ს

«ქალი-აქვანა» [1]).

(ლეგენდა).

შილდის და ყვარლის საშუალ ვაწა გორა დგას ქუეყრათა,
გაზაეგსულია, მინდვრები ამწვანებულა ტყრეფვთა,
ცხვარი გრილოში იცოსნის, დაყრილა ხის ძირს ჯგუფათა,
ამათი მწყემსიც იქვე წევს, მოლი აქვს ნოხად [2]), სუფრათა.
აგერ, მასლობლად გოგონაც ჰმწყემსავს ოცამდინ კრავებსა.
დანავარდობენ ბატკნები, შავ-თვალა იგრესს კვებსა,
თავს თუ აწონებს ემ მწყემსსა, შიგ თვალში ეურის თვალებსა...
— მგელმა რომ კრავი მოსტაცოს, ნეტა ვის დაებრალებსა?...
ბიჭი აენთო შმაგივით, თვალები დაებრიალა,
წამოჯდა მარჯვედ, სალამურს ჩაჭბერა, ჩაწკრიალა,
ჩაკაკანა ხმა-ტკბილად, სევდის ხმით შეაზრიალა,
შავ-თვალას გული მოუკლა, გონება გაუტიალა!...
მერე უმრავსა დიცსა: «მოდი, აქ დავსხდეთ სწორათა,
გულის ჭირიმე, აქ მოდი, ცხორსაც ცხორი ჭეავს ტოლათა,
მეუო ამდენი ობლობა, ნეულარ დამეგდებ ობლათა,
თავს ვანაცვალებ შენს მზესა, ოღონდ წამომუე ცოლათა!...»

---

[1]) «ქალი-აყვანა» ერთს პატარა გორასა ჰქვიან და შდებარეობს ოელავის მაზრაში, სოფლის შილდისა დი ყვარლის შუა.

[2]) ნოხი—იმერეთში ხალიჩას ეძახიან.

თავი ჩაღუნა გოგონამ, ჩაიღიმილა დარცხვენით,
თავი არიდა ლომ-გულსა, იცქირებოდა მარცხენით,
მერე მიუგო შავ-თვალამ, სიამოვნებით, არ წყენით:
«მეც შენს ცეცხლში ვარ, ბეჩავო, თუ შესძლებ, ამ ჯირს დამსხენი...
თუ ამიკიდებ ზურგზედა, თანაც დაუკრამ სალამურს,
ძოღანდელებრივ ტკბილს ხმასა, გულის სალაღოს, საამურს,
ისე ამიყვან ამ გორზედ, მაშინ მე თავი არა მშურს
შენდა გულისა წამლათა,—შენი ცოლობა მაშინ მწყურს...»
ბიჭმა მოიგდო ზურგზედა, გოგონა, როგორც კრავია,
თან სალამურზედ დაუკრა, რაც ტკბილი დასაკრავია,
დაუკრა გოგოს საამო, ხმა გულის მოსაკლავია,
შეუდგა ბაწა გორასა, არ მოჭდალვია მგლავია...
მიდის და მიდის ნელ-ნელა, უძგერს და უძგერს გულია,
ძალზედ მიიწევს ზეკითა, მუსლებში მოქანცულია,
გაცურდა სვითქში, გადმოსდის ოფლისა ნაკადულია,
შემძიმდა ტვირთი ძვირ-ფასი, უწუსს ობოლი სულია!...
აკიდა წვერზედ, გადმოსვა გოგონა, პირ-მზე, ნათელი,
მაგრამ თვითონ კი ვერ იძვრის, როგორც ნატემი, ნათელი,
როგორც ულონო, უძლური, ველარა ჭსუნთქავს ჯან-მთელი,
გაჭკვარდა სული ბეჩავსა, განქრა როგორც რომ სანთელი!...

იქვე დგას დღესაც ის გორი, თითქოს მინდვრების მცველია,
«ქალი-აუვანა» დაარქვეს, რადგან იმ მწყემსის მკვლელია,
ოქ, ახლო-მახლო სოფლებში სულ უველა ამის მთქმელია,
ასე გაკიბე უგმლასგან ამბავი ძველის-ძველია.

თ. რაფ. ერისთავი.

ისტორიული სურათები

«წინა კაცი უკანა კაცის ხიდია.»

ქართველ კაცს რაიმე უბედურება რომ მოწვევა, ერევა-დაერევა და დაესალმება ცხოვრების გზა; სან მარცხნივ აუხვევს სოდმე მწარე გარემოებათა, სან მარჯვნივ, რომ რა არის როგორმე გამოაგოს გაჭანჭღლული საქმეები; მაგრამ თუ საქმეს თვითონ ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო, მაშინ მიდგს თავის ნაცნობ და მეგობარ კაცთან, ეკითხება და სთხოვს რჩევას, როგორ მოვიქცე, რომ ვისსნა თავი გაჭირვებისაგანაო. «ძმაო! კაცი კაცის წამალიაო» ნათქვამია; «მირჩიე რამეო.» «ძმა ძმისთვის, შავის დღისთვისაო», ეუბნება კვალად იგი.

სწორედ რომ ასეთივე მრჩეველია და წამალი ერისათვის მის მამა-პაპის წარსული ისტორიული ცხოვრებაცა. ისტორია გამამხნევებელია და მსსნელი ერისა გასაჭირს დროს. ის არის მეხი ნუგეში და იმედი. ამისათვის ურიგო არ იქნება შევიტყოთ ჩვენის წინა-პრების მოქმედება იმ დროს, როდესაც იმათ უბედურება კარზე მოადგებოდათ ხოლმე. მით უმეტეს საჭიროა ჩვენის მამა-პაპის ცხოვრების გაცნობა, რომ დღესაც ქართველი ხალხი მაგალითით სცხოვრებს. იმას უუკარს ძველე-

ბური არაკები, ზღაპრები, ანდაზები, გადმონაცემი და ისტორიული მოთხრობები. ვინ არ იცის ჩვენთაგანმა, რომ მოხუცებულნი, მცოდნენი ძველის ამბებისა, ახლაც დიდს პატივში არიან სოფლელთაგან? ასალგაზდა ქართველები გარშემო მოუსხდებიან ხოლმე და ლაპარაკობენ მამა-პაპის წარსულ ცხოვრებაზე. «ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა ამხანაგსა და ჩვეულებასაო», ამბობს ხალხი. მართალია. ახლა ძველებური ზნე და ჩვეულება აღარას გვარგებს; მაგრამ კარგად უნდა გვესოდეს უტუარი ისტორიული ცხოვრების კანონი, რომ «წინა კაცი შკანა კაცის ხიდია.» მამა-პაპის ცხოვრება არის ღარი, რომელშიაც უნდა მიმდინარეობდეს შთამომავლობის ცხოვრება. აქ მხოლოდ საჭიროა, რომ კალაპოტი, რომელშიაც ერის ცხოვრება ჩამდგარა, გაშალაშინდეს, გაირანდოს, გაიწმინდოს ავის ზნისა და ჩვეულებისაგან.

ამ დედა-აზრს მისდევენ ევროპიელნიცა. ევროპის ხალხნი ბეჯითად სწავლობენ თავიანთ მამა-პაპის ზნეს, ჩვეულებას, ტრუ-მორწმუნეობას, ხასიათს, მიმართულებას, არაკებს, ზღაპრებს და გადმონაცემს. მაგრამ უფრო ბეჯითი ყურადღება ისტორიაზე აქვთ მიქცეული. იქ ეძებენ ევროპიელნი მაგალითებს სამშობლო ქვეყნის ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მასში ეძებენ ისეთს პირებს, რომელთაც უშრომნიათ ერის კეთილ-დღეობისათვის, თავი შეუწირავთ სამშობლოს დასაცველად მტერთან ბრძოლაში, გაუმხნევებიათ შთამომავლობა უბედურებაში, ნუგეში უცია თ, წასძღომიან წინ, და ასე, ამ სასით, დაუცავთ ენა, სარწმუნოება და საზოგადო ცხოვრების წეობილება...

თუ ასეთი მნიშვნელობა აქვს ისტორიას და ასე უყურებენ მას განათლებულნი ევროპიელნი, მაშ არ იქნება ური-

გო და არც ვინმე დაგვზრასავს, რომ ჩვენც გამოვიკვლიოთ ჩვენთა წინა-პირთ წარსული და მივცეთ მათს გვამის ნაკლს ღირსეული პატივი. გარდა ამისა არ იქნება უსარგებლო შეკიტუოთ, რა გვარის მოქმედებით დაიცვეს ჩვენმა წინა-პრებმა, თსუთმეტ საუკუნის განმავლობაში თავიანთი ვინაობა, ენა, სარწმუნოება და პოლიტიკური თავისუფლება. მათის ცხოვრების გამოკვლევით ჩვენ შევიტუობით, ერთ მუჭა ქართველებს რა ზნეობითი ძალა ჰქონდათ,—რომ გარშემო აუარებელნი მტერნი ესვივნენ, დღე-და-ღამ მათთან იბრძოდენ, არც ძალი ჰქონდათ, არც მოსვენება, მაგრამ მაინც კისერი არ მოუდრეკეს მტერს და ბოლოს ძლევა-შემოსილნი გამოვიდნენ და შეუერთდენ რუსეთს. ჭეშმარიტად რომ ღირს ამ წინა-პირთა სულის თვისებისა და კვეთების გამოკვლევა! რუსის მწერალი მურავიოვი ამბობს: ქართველ ხალხს იმდენი კეტური ღირსება ჰქონდა, ისეთი შესანიშნავია მის ისტორიული წარსული ცხოვრება, რომ კარგი იქნება არ დაეკარგოს კეტობრიობას გულის ამამღვრეველი მაგალითები ქართველების სულ-გრძელებისა და კეტ-მოუკარებისაო. ძვირად ღირს ამ მაგალითების შეტანა კეტობრიობის ზნეობის საგანძოშიო.

ჩვენა გვსურს ამ სურათებში გამოვიკვლიოთ ჩვენის წინა-პრების ცხოვრება და გავსინჯოთ ჯერ რა მნიშვნელობა ჰქონდა სასულიერო წოდებას საქართველოს ისტორიაში, მერე ქართველ დედა-კაცებს და ბოლოს თავად-აზნაურობას გლეხებითურთ.

I

სასულიერო წოდებაᲜ.

მე-IV საუკუნის დასაწყისში (318 წ.), როდესაც ქრისტიანობამ დაიწყო გავრცელება საქართველოში, ქართველთ პოლიტიკური თავისუფლება, ეროვნება და ენა დიდს განსაცდელში ჩავარდა. ერთის მხრით სპარსელები ემუქრებოდენ საქართველოს პოლიტიკურს არსებობას და სარწმუნოებას, მეორეს მხრით ბერძნები მეცადინეობდენ საძულაძოდ საქართველოს ეკლესია მათის სასულიერო წოდების სელში ეოფილიყო და საეკლესიო ენად—ბერძნული ენა.

მიიღო თუ არა ქართველობამ ქრისტიანობა, მაშინვე მღვდლათა და ეპისკოპოსებად ბერძნები მოიწვიეს. ამ სამღვდელოებას შეადგენდენ ერთი ეპისკოპოსი, ორი მღვდელი და სამი მთავარ-დიაკვანი. ეს ამბავი პირველად მოსსენებული აქეს მწერალს ქრისტიანობაზედ რუფინს, რომელიც მირიანის შვილის ბაქარის მეგობარი ეოფილა და მის სიტყვით პირველად დაუწერია საქართველოს მოქრისტიანების ისტორია. ამისგან გადაუღია შემდეგში ეს ამბავი ისტორიკოსს სოკრატს, სოზომენს და თეოდორიტეს. ეს უკანასკნელი, რუფინის სიტყვით, ამტკიცებს, რომ პირველი ეპისკოპოსი, რომელიც მოვიდა საქართველოში, იყო ევსტათი ანტიოქელი[1]). მაგრამ ქართლის ცხოვრება[2]) ამბობს, რომ პირველი ეპისკოპოსი იოანე იყო,

---

[1]) იხ. Жизнеоп. святыхъ Груз. Цер. соч. Іосел. 1850 г. стр. 45.

[2]) იხ. გვერ. 91.

ამ შემთხვევაში არც ჩვენნი მემატიანენი სცდებიან, არც ისტორიკოსი თეოდორიტე. მსოლოდ საქმე ეს არის, რომ ამ სასულიერო პირთა კრებაში ერთ-ი იოანე ეპისკოპოსიცა, ასე ეწოდებოს საქართველოს ქათალიკოზი ნიკოლაოზ I-ი [1]). ევსტათი ანტიოქელმა პაურთსა იოანე ეპისკოპოსად, დასტოვა იგი რიგის მღვდლითა და სამის მთავარ-დიაკვნით აქ და თვითონ დაბრუნდა საბერძნეთში; საქართველოს ეკლესია მიიღო თავის გამგეობის ქვეშ კოსტანტინეპოლის პატრიარქმა. «უეჭველია, ამბობს იოსელიანი, რომ საქართველოს ეკლესია სულ პირველში კოსტანტინეპოლის პატრიარქს ემორჩილებოდა; შემდეგში კი იგი მიაწერეს ანტიოქიის საპატრიარქოს, იქნება იმისთვის რომ ქართველები ევსტათი ანტიოქელმა დასთლა და უკურთსა პირველი ეპისკოპოსი» [2]).

რადგანაც დროს განმავლობაში ქრისტიანობა უფრო და უფრო ფრცელდებოდა ყოველგან საქართველოში და მრავლდებოდა ეკლესიები, ამისათვის საჭირო იყო მღვდლებისა და ეპისკოპოსების მომატებაც. სად უნდა ეშოვნათ ქართველებს ამ დროს სასულიერო თანამდებობის აღსასრულებლად პირნი, თუ არ ისევ საბერძნეთში? რადგან ქართველები ასლად მოქრისტიანებულნი იყვნენ, რასაკვირველია, ჯერ არ იცოდნენ ზედმიწევნით ასალის სარწმუნოების შინაარსი, და არც შეიძლებოდა ჯერ-ჯერობით მათი კურთხევა სასულიერო თანამდებობაზე. ჯერ საჭირო იყო სისხლად და ხორცად ჭმეოდა ქართველს სწავლა ქრისტესი, რომ სარწმუნოებით გამთბარს გულს მხნედ ემოქმედნა სასარების სწავლის გასავრცელებლად. რადგან

---

[1]) იხ. ქართ. წმ, ცხოვრებაჲ, გამოცემა საბინინისა, გვ. 96.

[2]) იხ. Истор. Груз. Цер. Іосел., стр. 145.

ჯერ ქართველები ამისთანანი არ იყვნენ, ამისთვის, როგორც მოგვითხრობს ისტორია, მღვდლებსა და ეპისკოპოსებს საქართველოს მეფენი საბერძნეთიდგან იბარებდენ. გარდა ამისა, იყო კიდევ სხვა მიზეზი. ქართულს ენაზე საღმთო-წერილი და საეკლესიო წიგნები ჯერ არ იყო გადმოთარგმნილი. მაშასადამე ქართულს ენაზე ჯერ-ჯერობით არც წირვა-ლოცვა შეიძლებოდა.

საეკლესიო წიგნების თარგმნას ჯერ დრო უნდოდა, მერე ბერძნულისა და ასურულის ენების შესწავლა, რომლებზედაც იყო დაწერილი საღმთო წიგნები. ამ უცხო ენების შესწავლისათვის კიდევ საჭირო იყო სკოლები. 342 წლისა და 364 წლებს შუა ასეთი სკოლები დააარსა საქართველოში მირიან მეფის შვილმა, ბაქარმა, როგორც ამბობს იოსელიანი. რადგან იმას შესწავლილი ჰქონდა ბერძნული ენა თავის მეკვლად ყოფნის დროს კოსტანტინეპოლეს [1]) და ბერძნებს უფრო სწყალობდა, ვიდრე სხვა საქრისტიანო სალხს, ამისთვის მასწავლებლები საბერძნეთიდგან დაიბარა. სკოლებში ასწავლიდენ ქართულს, ბერძნულს და ასურულს ენებს. ქართველთ ყმაწვილები საღმთო წერილს რომ შეისწავლიდენ, მეფე ჰგზავნიდა სხვადა-სხვა თემებში დანარჩენ სალხთა მოსაქცევად. მერმე, ცოტა-ოდნად ქრისტიანობა ფესს რომ მოიდგამდა, აშენებდა სამეფო სარჯით ეკლესიებს და აქვე აყენებდა მღვდლად იმ ქართველთა, რომელთაც მოაქციეს ქრისტეს სჯულზე რომელიმე სოფლის სალხი. ასე მოქმედებდენ ბაქარის შემდეგნი მეფენი ცა-მირდატ მე-III, ფარსმან მე-IV, მირდატ მე-IV, არჩილი

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვრება და ბარათაშვილის ისტორია, რვ. II, გვერ. 13.

I ს მირდატ მე-V[1]). ამ საშუალებით მეფენი ნელ-ნელა ცლიდენ ხელიდგან ბერძენთაგან შემდგარს სამღვდელოებას ეკლესიურს უფლებას. ეს ასე იყო 318 წლიდგან ვიდრე 446 წლამდე, როცა საქართველოს ტახტზე აღვიდა ვახტანგ I გორგასლანი.

ეკანასკნელ მეფეების დროს გადმოითარგმნენ ქართულს ენაზე ზოგიერთი საეკლესიო წიგნები. ამათი მთარგმნელნი იყვნენ ქართველნი: დავით, სტეფანე, ზაქარია და თავადი ტატიანე. ეს საქმე მათ დაიწყეს იერუსალიმში, სადაც ტატიანემ მე-V საუკუნეში აღაშენა მონასტერი, დასახლდა აქ, მოუყარა ქართველებს თავი, შეისწავლეს ბერძნული ენა და შეუდგნენ თარგმნას—ამბობს იოსელიანი. მაგრამ ჩემის აზრით, ეს ტატიანე იყო არა უბრალო თავადი, არამედ მეფის ვარაზ-ბაკურის მემკვიდრე შვილი. საქართველოში მას ერქვა მურვანოსი, ქრისტიანული სასელი ტატიანე, და ბერად რომ შედგა, დარქვეს პეტრე. ეს აზრი უფრო მით მარწმუნებელი უნდა იყოს, რომ ჩვენნი მემატიანენი არ იხსენიებენ ამ დროს თავადს ტატიანეს, მხოლოდ მოიხსენიებენ მურვანოსს, რომელსაც, ვამბობ, ქრისტიანული სასელი ბერობის მიღებამდე ტატიანე ერქვა. 393 წელს, როცა 12 წლისა იყო, ის გაგზავნეს საბერძნეთში თეოდოსე მცირესთან მძევლად. საქართველოში ყოფნის დროს, მან კარგად იცოდა ქართული წიგნი და «ყოველივე საღმთო წერილი შეისწავლა.» მერმე საბერძნეთში «მსწრაფლ ისწავა ბერძნული და ასურული და ფილოსოფოსობა სრულიად. მაგრამ მიიღო ბერული მიმართულება, ტახტის მემკვიდრეობაზე ხელი აიღო და იერუსალიმში წავიდა.

[1]) იხ. Ист. Груз. Церк. Іосел. გვ. 23 და 24.

თან ორი კაცი ასლდა. ვინ იყვნენ ეს ორნი, თუ არა დავით და სტეფანე მთარგმნელნი? ანუ მასთან მყოფი საჭურისი იოანე და მისი მოწაფე და ცხოვრების დამწერი ასურელს ენაზე ქართველი ზაქარია? [1]) ამან მოიარა მთელი ეგვიპტე, ნასა ყოველგან მოღვაწე ბერები და განდეგილნი. მერმე მოვიდა იერუსალიმში, ადგილსა აქ მონასტერი და სამუდამოდ დაესახლა. რომელმაც მისი ცხოვრება ასწერა, იმას პეტრე ქართველს ეძახის. მაგრამ ისტორიკოსი ბერონია, რომელსაც ამოუწერია ცნობები ამ პეტრეზე ეკეკლესიის ისტორიიდგან, ამბობს, რომ ეს პეტრე ქართველი ეკეტისიანებმა, შემდეგ სალკიდონის კრებისა, მეიუმა ქალაქის ეპისკოპოსად ამოირჩიესო. ის უკეთესია ამ თანამდებობაზე იერუსალიმის პატრიარქმა, და ყოფილა კაცი ძლიერ ღვთის-მსახური და კეთილ-განმზრახი. ამისათვის ეკლესიას ის წმინდანად შეურაცხყოფ, მაგრამ მე-XVIII საუკუნეში საქართველოს ეკლესიამ ის გამორიცხა წმინდანების რიცხვიდგან, რადგან ერთ დროს მას ეჭირა ეკეტისიანების მწვალებლობა (ერესი)[2]). აი ამ კაცმა დაიწყო წიგნების თარგმნა და მას ჰშველოდენ ამ საქმეში დავით, სტეფანე და ზაქარია. ტატიანეც მას ერჩვა, კიდრე ბერად შესდგებოდა.

ამის შემდეგ, არ გასულა 30 წელიწადი მეფე მირდატ მე-V-მ და მისმა ცოლმა საგდუხტმა შეჰკრიბეს საამშენიერდის ციხეში სწავლულნი კაცნი და ათარგმნინეს წმინდა სახარება [3]). ბრალსეს უნახავს შიო მღვიმის მონასტერში ქართული სახარე-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 103, 104 და 105; აგრეთვე: Жизнеоп. Святыхъ Груз. Церк. Іосел. გვ. 13 და 14.

[2]) იხ. იქვე, გვ. 13 და 14.

[3]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 110.

ბა, რომელიც ამ მეფის შვილმა ვახტანგ-გორგასლანის ნაქონები უოფილა და სიკვდილის დღეს მონასტრისათვის შეუწირავს [1]).

ამ ცნობების მიხედვით ვამბობ, რომ 446 წლამდე, თუ არა უოველი ეკლესიაში სასმარი წიგნი, ბევრი მაინც გადმოთარგმნილი ჰქონიათ ქართველებს. გიორგი მთაწმინდელი, მე-XI საუკუნეში მცხოვრები, ამბობს, რომ წმინდა მამა, ეფთვიმე პირველი როდი იო, რომელმაც დაიწყო თარგმნა სალმთო წერილისა და საეკლესიო წიგნებისა. ისინი ჰქონდათ ქართველებს გადმოთარგმნილი ძველის-ძველადგან; მაგრამ სომხები ჩვენ ბევრს ვნებას გვაძლევდენ და მათგან იო გარეკნილი ძველი თარგმანი სალმთო წიგნებისა. ეფთვიმემ ბევრი გასწორა და თვითონაც გადმოიღო და ახლა ამ საქმეს მე შეეუდექი [2]). რასაკვირველია, რომ გიორგი მთაწმინდელის აზრი მართალი არის; მაგრამ ქართულ ენაზე გადმოღებულ წიგნების გარეკვა შეეძლოთ ჩვენსავე ჭერეთელ ქართველებს და არა სომხებს. ისტორია გვეუბნება, რომ მე-VI საუკუნეში კახეთში ჭერეთლებმა მიიღეს მანიქეების მწვალებლობა. ამაზე ცოტა წინ, როგორც უკვე ზემოთა ვსთქვით, ეკტიხის მწვალებლობა მიიღო ვარაზ-ბაკურის შვილმა მიიუმის ქალაქის ეპისკოზოსმა პეტრე ქართველმაც. აი ამათ შეეძლოთ თავიანთ დოღმატურ სწავლის დასამტკიცებლად გაერეკნათ ქართული სალმთო წიგნები და არა სომხებსა. მართალია, გიორგი ამბობს: რადგან სომხებს ქართველების გადაბირება ეწადათ, ამისათვის «რომელმე წიგნნიცა გვაქვნდეს მათგან თარგმნილი»;

---

[1]) იხ. Ист. Афона еп. Порфирія Успенскаго.

[2]) იხ. ქართველთ წმ. ცხოვ. გამ. სამინინისა, გვ. 447.

მაგრამ არა მგონია, რომ ეს აზრი მართალი იყოს. თუ იმათ ქართველების გასომხება ეწადათ, წიგნებს რაღათღა გადმოსთარგმნიდენ ქართულს ენაზე? გარდა ამისა სომხებს განა ისე კარგად ეცოდინებოდათ ქართული ენა, რომ თარგმნა შესძლებოდათ? არა, მთარგმნელებიცა და წიგნების გამრეკელებიც ჭერეთელი ქართველები იყვნენ, რომლებზედაც კასუშტი ამბობს, რომ სომხის მწვალებლობა ეჭირათო, თუმცა კი ჩვენ გვგონია, რომ ისინი მანიხეების მწვალებლობის მიმდევარნი იყვნენ. ჩვენა გვგონია, რომ სწორედ იმათ უწოდებს გიორგი მთაწმინდელი სომხებს და იმათგან იყო გადმოდებული ზოგიერთი წიგნები, როგორც ამტკიცებს თვითონ გიორგი მთაწმინდელი.

ქართველებს ესწრაფებოდათ თავიანთ ენაზე გადმოღება საეკლესიო წიგნებისა და საღმთო წერილისა, რადგან უნდოდათ მალე მოეშორებინათ თავიდგან ბერძნის მღვდლები, რომელნიც სახალხო და სახელმწიფო საქმეებში ერეოდენ და უფრო თავიანთ სარგებლობისათვის ზრუნავდენ. იმათ მხოლოდ ეს ეწადათ, რომ გაეძლიერებინათ საქართველოში ანტიოქიის პატრიარქის და საბერძნეთის იმპერატორის გავლენა. ამ განზრახვით არ უნდოდათ წირვა-ლოცვის გამართვა ქართულს ენაზე,—რადგან მაშინ იმათი ხელში ეოფნა საჭირო აღარ იქნებოდა. გულითადი სურვილი მათი მხოლოდ ეს იყო, რომ ქართველები მუდამ მორჩილებაში ყოლოდათ და თუ მოახერხებდენ, ქართული ენაც დაეკიწყებინათ. ამ აზრს მიუხვდნენ ქართველები და შეუდგნენ მათ განდევნას საქართველოდგან. ვახტანგ გორგასლანის გამეფებამდე 446 წელს, 128 წლის განმავლობაში ქართველობამ ისე ზედ-მეწყვნით შეისწავლა ბერძნული და ასურული ენები, რომ ქართველს ენა სამშობლო

ენაზედაც შეეძლო წირვა-ლოცვა და ბერძნულზედაც ერთი-სიტყვით მე-V საუკუნის მეორე ნახევარში ქართველები ისე მომზადებულნი იყვნენ, რომ შეეძლოთ თავიანთი სამღვდელოება ჰყოლოდათ. ასე რომ არ ყოფილიყო, ვახტანგ გორგასლანი ვერც მოიწვევდა საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებას ანტიოქიის პატრიარქისა და ბერძნის სასულიერო წოდების დამოკიდებულებისაგან.

სულიერნი მამანი ბერძენთაგანნი ისე ცუდად იქცეოდენ, რომ მათი საქართველოში დაყენება აღარ შეიძლებოდა. ეს დრო ისეთი დრო იყო, რომ მათ ჰქონდათ უფლება სამოქალაქო და სახელმწიფო საქმეებში გარეკოდეს და ბევრგან კადნიერს მძლავრობას იჩენდენ თვით მეფეებზედაც. მაგალითად 457 წელს ვახტანგ გორგასლან რომ დაბრუნდა სპარსეთიდგან, მიქაელ მთავარ-ეპისკოპოსმა, კაცმა თავგასულმა, როცა ვახტანგ ჯვარს ემთხვეოდა, დიდი შეურაცხ-ყოფა მიაყენა. მეფემ ეს ძლიერ იწყინა, დაიჭირა კადნიერი ეპისკოპოსი და გაგზავნა კოსტანტინეპოლში. საქმე კიდევ ამით არ გათავდა. მიქაელის მასთან უკადრისად მოქცევამ მისცა მიზეზი და საბუთი, ეთხოვნა საბერძნეთისათვის საქართველოს განთავისუფლება საბერძნეთის სასულიერო წოდებისაგან. მაგრამ რადგან იმედი არა ჰქონდა, რომ საბერძნეთი დათანხმებოდა ამ თხოვნაზე, ამისათვის ჯერ-ბერძნები დაამარცხა ომში, მერმე შეუთვალა იმპერატორს ლევს დიდს და კოსტანტინეპოლის პატრიარქს, რომ აღარა მსურს ქართველთ ეკლესია ანტიოქიის პატრიარქის ბძანებას ემორჩილებოდესო. იმათ უნებლიად აღასრულეს მეფის წადილი. კერძო კოსტანტინეპოლის კრებამ პატრიარქის თლავიანის დროს გადასწყვიტა, რომ საქართველოში ქართლიკოზად ბერძენი ყოფილიყო, კურთხევა ანტიოქიაში მი-

ელო, მაგრამ ეროვილიეო მეფის მორჩილებაში და არა პატრიარქისა. პირველ ქართლიკოზად საქართველოში მეფის სურვილით დაუყენეს პეტრე ტრაპიზონელი, რომელსაც მეფე ვახტანგ ოცნობდა [1]). მე-VI საუკუნის დასაწყისში ისტორიკოსი პროკოპია სწერს, რომ ჩემს დროს საქართველოშიაც მთავარეპისკოპოსები ქართლიკოზად იწოდებიანო. აგრეთვე ვიღაცა მწერალი ვალსამონი, რომელმაც ასწერა კოსტანტინეპოლის საპატრიარქო, ამბობს რომ საქართველოს ეკლესიაც ავტოკეფალური (ე. ი. თვით-მდგომარე) იყო მე-V საუკუნეშიო. მაგრამ ისტორია არას გვეუბნება იმაზე, რა გვარი ტიტულთ ჭქონდათ ქართლიკოზებს. ვიცით მხოლოდ ის ტიტული, რომელსაც აღმოსავლეთის პატრიარქები ჭსმარობდენ, როცა ეპისტოლეს მოსწერდენ ხოლმე. ესინი ხმარობდენ ტიტულად შემდეგს სიტყვებს: «უნეტარესო, სრულიად ივერიელთ ქვეყნის უპირველესო მღვდელთ-მთავარო, სულისა წმინდისა მიერ საყოვარელო ძმაო ჩვენისა წოდებისაო.» დაწერის შემდეგ ეპისტოლეს ბოლოს სწერდენ: «მშვიდობა უფლისა იყავნ თქვენთა-თანა, უწმინდესო მეუფეაკ და უსაყვარლესო ძმაო თანამსახურო!» [2])

საქართველოს ეკლესია რომ განთავისუფლდა 448 წელს ანტიოქიის პატრიარქის მორჩილებისაგან, მეფე ვახტანგმა გახსნა 35 ეპარქია: 12 ქართლში, 12 კახეთში, 9 სომხითში და 2 იმერეთში, და ამათ ეპისკოპოსებად დანიშნა ზოგში ქართველები, ზოგში ბერძნები [3])

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 124, 125, 126 და 127.

[2]) იხ. Ист. Груз. Церк. Іосел. გვ. 144.

[3]) იხ. იქვე, გვ. 36 და 37.

თუმცა ბერძენთ ჩამომავლობის საქართველოს ქათალიკოსნი კარგად იქცეოდენ, მეცადინეობდენ სალსში განათლების გავრცელებას და სარწმუნოების დამკვიდრებას, მაგრამ ქართველებს მაინც ჭსურდათ ქათალიკოზად ბერძენი არ ჭყოლოდათ, რადგან იგი მაინც ყოველს შემთხვევაში ბერძენთ მსარეს დაიჭერდა. ის ქართველთ მორჩილებას და საბერძნეთის გავლენის ქვეშ ყოფნას უფრო არჩევდა, ვიდრე მათს გაძლიერებას. ამ მიზეზისა გამო, როცა იმპერატორი იუსტინიანე I დაჯდა საბერძნეთის ტასტზე, ქართველებმა ითხოვეს ჯ კიდევაც მიიღეს 553 წელს უფლება ამოერჩიათ ქათალიკოზად ვინმე ქართველთაგანი. «აქედგან არღარა მოიყვანებდეს კათალიკოზსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასსდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავთანი»; ეს ამბავი მოსდა მეფე ფარსმან მე-V-ს დროს 541 წლიდგან 555 წლამდე. მაგრამ კათალიკოზის კურთხევა მაინც ისევ ანტიოქიაში უნდა მომსდარიყო [1]). ამ საქმეში ორჯელ გამარჯვებამ ქართველები ისე წაქეზა, რომ არც ეს იკმარეს. 619 წელსა და 639 წლებს შუა ადარნასე შეუდგა საქართველოს ეკლესიის სრულიად განთავისუფლებას პატრიარქის გავლენისაგან. მოკვდა თუ არა ქათალიკოზი ბართოლომე, ადარნასემ დასვა მის ადგილს იოანე და რადგან ქათალიკოზის კურთხევა ანტიოქიაში სრულდებოდა, გაგზავნა იქ და თან გააყოლა «მონაზონი ერთი მოციქულათცა და საკურთხებლათცა.» ამათვე მიანდო ეთხოვნათ პატრიარქისათვის ნება დაერთო, ამის შემდეგ ქათალიკოზი საქართველოშიგე ეკურთხებინათ ეპისკოპოსთა. თეოფილაქტე პატრიარქმა ჯერ აკურთხა იოანე ქათალიკოზად, მერე მოასდინა ადგილობ-

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 151.

რიგი საეკლესიო კრება. მასზედ დაესწრნენ ასლად ნაკურთხი ჯ ჯერ იქვე მეოთი საქართველოს ქათალიკოზი იოანე და მისი თანა-მსლებელნიცა. ეს ამბავი მოხდა იმპერატორის ირაკლის დროს 610—639*) წლებ შუა. იოანე ქათალიკოზმა და მისმა თანა-შემწემ წარუდგინეს კრებას შემდეგი საბუთები:

1) რადგან საქართველოს ქათალიკოზის კურთხევა არის განწესებული ანტიოქიის პატრიარქისაგან, ამისათვის საქართველოს ეკლესია, ქათალიკოზის გარდაცვალების შემდეგ, ვიდრე ასალი ეკურთხებოდეს, უპატრონოდ რჩება;

2) ოთველთვის ანტიოქიაში მოსვლა ქათალიკოზად საკურთხებლად დიდს ჯაფასა და სარჯს ითხოვს და

3) არაბებსა აქვთ დაჭერილი საქართველოსა და ანტიოქიას შუა ქვეყნები, რის გამო გზები შეკრულია და ეპისკოპოსის ანტიოქიაში გამოგზავნა ქათალიკოზობის საროსხის მისაღებად საქართველოს არ შეუძლიანო.

კრებამ მიიღო მხედველობაში ეს საბუთები და ბძანა: ნება მიგვიცია საქართველოს ეკლესიისათვის, ქათალიკოზი რომ გარდაიცვლება, შეიყარნენ სასულიერო პირნი, თავადაზნაურობა, მთელი ერი და ამოირჩიონ ქათალიკოზად კაცი დირსეული და მეფის დამტკიცებით მიტროპოლიტნი და მთავარ-ეპისკოპოსნი აკურთხებდენ მცხეთის ეკლესიაში. მაგრამ ამის შემდეგ (680 წ.) ეს საქმე განისილა კიდევ მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებამ, დაამტკიცა და ქათალიკოზის სამწესოდ და სელ-ქვეით განაჩინა: «ქართლი, რანი (ელისავეტოპოლის გუბერნია), კახეთი, ჰერეთი, ოვსეთი, რაჭა, სვანეთი ჩერქეზის სამზღვრამდე და სამცხე-ყარაჯეთი,» მაგრამ სადღაც

*) ამ წელს მოკვდა ადარნასე მთავარი, ირაკლი კი მეფობდა 643 წლამდე.

იმერეთი, სამეგრელო, ათსაზეთი, გურია, ქობულეთი და ლაზისტანი? რატომ არ არიან მოსსენებულნი ეს მაზრებიცა? 446 წლისა და 499 წლებს შუა, მართალია, მეფე კასტანგ I გორგასლანმა ეს მაზრები წაართვა ბერძნებს და შემოუერთა სამეფოს, მაგრამ 518 და 527 წლებს შუა საბერძნეთის იმპერატორი იუსტიანიანე დიდი და სპარსელები აიშალნენ: დაიჭირეს ერთმა აღმოსავლეთის საქართველო, მეორემ დასავლეთისა და ჯდა ორი მეფე: ერთი თბილისში, მეორე იმერეთში. პირველი არის სპარსელების მფარველობის ქვეშ, მეორე—ბერძნებისა. ამისათვის საქართველოს ეკლესიაც ორს ეპარქიად გაიყო, დასჯდა ორი მღვდელ-მთავარი: ერთს ერქვა ქართლიკოსი ივერიისა, მეორეს ათსაზ-იმერეთისა. ასლა ცხადია, რისთვისაც არ არის ათსაზ-იმერეთი ივერიის ქართლიკოზის სამწყოდ ჩატანებული. «წარიღეს ბერძენთა საზღვარი საქართველოსი სპერი, ზღვის პირი და ბოლო კლარჯეთისა» [1]). მე-IX საუკუნემდე აქ ინიშნებოდენ ბერძნის ეპისკოპოსები და ემორჩილებოდენ კოსტანტინეპოლის პატრიარქს და არა ქართლიკოსს. მაგრამ მე-XI საუკუნის დასაწყისს შემოუერთდა ქართლიკოზის სამწყოსს.

ეკლესიის განთავისუფლებამ ანტიოქიის გავლენისაგან დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს. ამის შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქა ქართველმა სალხმ.: დაიწყო სხვის დაუკითხავად თავის საქმეების გამგეობა. 639 წლისა და 663 წლებს შუა მეფე სტეფანოზმა მე-II-მ გამოსცა კანონი, რომ ხუთშაბათობით თბილისის ქალაქში საეკლესიო საქმეებზე მო-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 168 და 171; Ист. Груз. Церк. Іосел. стр. 37, 38, 47, 48, 57.

სალაპარაკებლად და ეოველის რიგის გასაწყობად ეოფილიეო საქართალიკოზო კრება, პარასკევობით სახელმწიფო კრება ქვეენის საქმეების კეთილად გამგეობისათვის და შაბათობით ქალაქს მცხეთაში საეპისკოპოსო კრება და წირვის გადასდა აბიბო ნეკრესელისათვის, რადგან საქართველოს მთიულ სალსებში ამან ჯაავრცელა ქრისტიანობა და სიცოცხლე თვისი შესწირა სამშობლოს დაცვას [1]). ამავე დროს ამ მეფემ გასსნა თბილისში ზარაფსანა და მოსჭრა თავის სახელზე ქართული ფული [2]). ამანვე მოასდინა საქართველოში სულთ-ალწერა და ერთი პირი მისი გაგზავნა სპერძნეთში. ქართალიკოზად ამ დროს იუვნენ ჯერ სამოელი, მერე ენოს.

ასე, ამ სახით განთავისუფლდა საქართველოს ეკლესია ბერძენთ შთამომავლობის სამღვდელოთაგან, ანტიოქიის პატრიარქის გავლენისაგან; მიიღო ნება ჭეოლოდა საკუთარი ქათალიკოზი და აგრეთვე სასულიერო წოდება ქართველთაგანვე; დაიწყო ერმა თავისუფლად ნაციონალური ცხოვრება და გაძლიერება.

ამ მოქმედებას ქართველებისას რომ ვაკვირდებით, რომ ვსინჯავთ იმ მიზეზებს, რომელთაც გამოიწვიეს ისინი ეკლესიის განსთავისუფლებლად ანტიოქიის პატრიარქის მორჩილებისაგან, ჭეშმარიტად განცვიფრებაში მოვდივართ... მეფის გარდა, საჭირო იყო—ეკლესიის მმართველად ქართველი კაცი ეოფილიეო ლ არა ჭქონოდა დამოკიდებულება ანტიოქიის პატრიარქთან...

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 168, 169, 170 და 171.

[2]) იხ. Нумизматическіе факты Груз. Царства. стр. 17.

ბერძენი ქათალიკოზი მათთვის უსარგებლოდ იყო და მვანე-ბელიც: იმან არ იცოდა არც ქართველთა ზნე, არც ჩვეულება, არც ენა, არ ხასიათი. იმას არ შეეძლო თავის სამწყსოსთვის რაიმე სიკეთის მოტანა და არც ეჭნებოდა გულითადი სურვილი ემსახურნა ხალხის კეთილ-დღეობისა და თავისუფლებისა-თვის. იგი იყო უცხო ტომის კაცი. იმის სისხლი სხვა იყო, ქართველისა სხვა. ქართველებს ესმოდათ, რომ ბერძენი ქათა-ლიკოზი ემზგავსებოდა იმ დედი-ნაცვალს, რომელსაც თავის მიერ ნაშობი შვილები უყვარს და წინა-მოადგილისა კი იკვ-ლით დასანასავად ეჯავრება. ესმოდათ, რომ იგი იყო განგებ დაქირავებული მწყემსი და აგრე რიგად გული არ დაეწყოდა, რომ «ეშმაკს წარეტაცნა მისი სულიერი შვილი.» არამც თუ ცხოვრთა არ დაიცავდა მგლისაგან, არამედ იხილავდა თუ არა მიმავალს მგელს, მაშინვე დასტოვებდა და გაიქცეოდა, რო-გორც ამბობს სასარება: ის მსახურებდა უცხო სამწყსოში მხო-ლოდ იმისათვის, რომ საჩინო შეეძინა. რა ესაღვლებოდა, თუ კარგს მდგომარეობაში არ იქნებოდა მისთვის მინდობილი უც-ხო ხალხისაგან შემდგარი სამწყსო!

ი ასეთმა ბრწყინვალე შესედულობამ იძულებული ჰყო ძველებური ქართველთ საასულიერო წოდება დაეხსნა საქართვე-ლოს ეკლესია ბერძენთ ბრბყვალთაგან და ჩაეუენებინა ერის გა-ნათლება ეროვნულს კალაპოტში. ამის შემდეგ მაგრად მოს-ჭიდა ხელი ამ უფლებას და აღარ მისცა ბერძნებს ნება, რომ თავიანთ გავლენის ქვეშ ჰყოლოდათ კიდეც ქართველ ხალხის ეკლესია.

ასე კეთილად მეფემან დაწყებული საქმე მოათავეს, და-ამტკიცეს და განაგრძეს ათცამეტთა სირიელთა წმინდა მამათა, რომელთ სახელები არიან: იოანე ზედაზნელი, დავით გარე-

ჯელი, სტეფანე სირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონი მარტყოფელი, იასე წილკნელი, თათე სტეფან-წმინდელი, შიო მღვიმელი, მიქელ ულუმბელი, პირველ ბრეთელი, ელია დიაკონი და დოდო (კასელი). ესენი ეკელესიანი ქართველები—ლაზები იყვნენ. ასე ამბობს პროფესორი ბ. ჩუბინოვი და მისი აზრი მართალიც უნდა იყოს. ისინი რომ ქართველნი არა ყოფილიყვნენ, მეფენი არც შემოუშვებდენ ამ დროს (მე-VI საუკუნეში) საქართველოში, რადგან უცხო ტომის ჩამომავლობის სულიერ პირთ აქედამ ითხოვდენ. გარდა ამისა, ისინი რომ ბერძნები, ანუ აისორები ყოფილიყვნენ, მათგან აშენებულს თორმეტს მონასტერში უცხო ნათესავი დაესახლებოდა, დაეპატრონებოდა და მეფე და ხალხი ამის ნებას არ მისცემდა მათ და არ მოაპოვებინებდა სელმეორედ გავლენას საქართველოს ეკლესიაზე. ისინი რომ ქართველები არა ყოფილიყვნენ, ვერც ქადაგებას დაიწყებდენ სალხში და არც ისე გაცალკევდებოდენ ერთმანერთისაგან. ჩვენ ვიცით რომ ზოგნი მათგანნი კასეთში წავიდნენ, ზოგნი ქართლში, რადგან უცხონი არ იყვნენ ერისათვის. საქართველოში მხოლოდ მაშინ შემოვიდნენ, როცა აქედამ ბერძნები განდევნეს და თუ სულიერნი მამანი აკლდათ ქართველებს, მათდაიჭირეს ეს ადგილი. პლ. იოსელიანი ამბობს: როცა ისინი მოვიდნენ და მოადგნენ მცხეთის მასლობლად მტკვარს, შიგ წყალში გაიარესო, მათ მიეგებნენ მეფე თვარსმანი და ქათალიკოზი კვლავი; მაშინ წმინდა მამანი მიესალამნენ და ქართულს ენაზედ აკურთხეს [1]). ისინი მოვიდნენ ვასუშტის გამოკვლევით 555 წლიასა და 570 წლებს შუა.

---

[1]) იხ. Ист. Груз. Церк. стр. 40.

მაგრამ აქ ერთი რამ არის საკითხავი; თუ ისინი ჩამამავლობით ქართველები იყვნენ, მაშ ეტყობა ამ დროს საქართველო ისე გაუნათლებელი არ იყო, როგორც წარმოდგენილი აქვთ ზოგიერთებს? ჩვენის თვალრით ამ სანებში, თუ არა მთლად ქართველთ ერი, სასულიერო წოდება მაინც განათლებული იყო. იყო ერთი ნაწილი სალსისა, რომელსაც კარგად ჰქონდა შესწავლილი ქრისტიანული სწავლა, რომელიც უურს უგდებდა, რა გვარი სისტემები სარწმუნოებრივის სწავლისა ვრცელდებოდა აღმოსავლეთში. საეკლესიო ისტორია გვეუბნება, რომ გნოსტიკურს სწავლაში, მანისეებისა, ევტიხისა და მონოფელიტების მწვალებლობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეპისკოპოსებმაცაო. ასეთნი იყვნენ მაგალითად: იმერეთის ეპისკოპოსის პალმის შვილი, მარკიონი, რომელიც ჩამამავლობით ქართველი იყო, რომელიც მამამ დასწყევლა მწვალებლობისათვის და რომლის წინააღმდეგაც დასწერა მთელი წიგნი მე-II საუკუნეში ტერტულიანმა[1]). მაიუმის (აზიაში) ეპისკოპოსი პეტრე, იყო ქართველი, შვილი მეფე ვარაზ-ბაქარისა, რომელიც სცხოვრებდა 393 წლიდგან 451 წლამდე; სამცხე-ჯავარეთის ეპისკოპოსი კირი, რომელიც ირაკლი იმპერატორის დროს სცხოვრებდა, მისდევდა მონოფიზიტების მწვალებლობას და ჰქონდა დიდი გავლენა საეკლესიო და დოლმატურ საგანთა გადაწყვეტაზე[2]).

ჩვენ არა გვაქვს სბუთი ვსთქვათ, რომ ეს სახელოვანი ეპისკოპოსიც ქართველი იყოვო; მაგრამ არ უადგილო იქნება ვიკითხოთ: საქართველოს ქათალიკოზი კირიონი ეს კირი ეპის-

---

[1]) იხ. Ист. Груз. Церк. Іосел. გვ. 8.

[2]) იხ. Истор. Христіанской Церкви Смирнова, стр. 321, 322 და 323.

კოპოსი ერთი და იგივე პირი ხომ არ იყო? ამ კითხვას მით უფრო უმეტესად აქვს ადგილი აქა, რომ ქართლიკოზს კირიონსა და სომხების ქართლიკოზს აბრაამს ამ დროს ჰქონდათ ერთმანერში ბასი სარწმუნოებაზე. საეკლესიო კრება, რომელიც მოახდინეს სომხებმა მათსა და ქართველებს შუა სარწმუნოებრივის განსხეთქილებისა გამო, იყო 596 წელს; ხოლო ირაკლი იმპერატორი, ჩვენი ქართლიკოზი კირიონი და სამცხე-კლარჯეთის მღვდელ-მთავარი კირი მოქმედებდენ ერთსა და იმავე დროს. საქართველოს და სომხების ისტორიკოსები ამბობენ, რომ იმპერატორებმა მავრიკიმ ს ირაკლიმ ამ ხალხთა შესარიგებლად მოახდინეს კრებაო, მაგრამ სომხები მაინც ვერ დაარწმუნეს, რომ ისინი სტდებიან სარწმუნოების დოდმატების განხილვაშიო. ამ სახით, ჩვენ ეჭვი შეგვაქვს, რომ თუ მავრიკი მოკვდა 602 წ., ირაკლი მეფობდა 610 წლისა და 643 წლებს შუა, და 596 წლის შემდეგ საქართველოს ქართლიკოზის კირიონის თანხმობით ამათ მოახდინეს კრება, მაშ უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს ქართლიკოზი კირიონი ს ირაკლი იმპერატორის დროს მყოფი კოლხიდის ეპისკოპოსი კირი სხვა-და-სხვა პირნი არ უნდა იყვნენ.

პლ. იოსელიანი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში შენიშნავს, რომ ეპისტოლეთა შორის რომის პაპის გრიგორისა არის შენახული ერთი ეპისტოლე, რომელიც მოუწერიათ საქართველოს ქართლიკოზის კირიონისათვის 603 წელსაო [1]). მივიღებთ რა ყველა ამას მსედველობაში, ჩვენ ვგონებთ, რომ ეპისკოპოსი კოლხიდისა ანუ სამცხე-კლარჯეთისა კირი არის ის კირიონი, რომელიც საქართველოს ქართლიკოზად იყო იმ-

[1]) იხ. გვ. 56.

ჰერაკლიოსის ირაკლის დროს. მით უფრო მართლდება ეს ჩვენი აზრი, რომ ჩვენი მემატიანენი ამბობენ—ქართველიკოზმა კირიონმა სთხოვა იმპერატორებს საეკლესიო კრება მოესდინათ ქართველებსა და სომხებს შორის განსეთქილების მოსასპობლადაო. ამავე დროს მსოფლიო საეკლესიო ისტორია მოგვითხრობს: ამპერატორი ირაკლი და კოლხიდის ეპისკოპოსი კირი მეცადინეობდენ მონოფიზიტებისა და მართლ-მადიდებელთა შერიგებასაო. მართლაც 630 წლის წინად ირაკლიმ ჩაბარა ამ კირს, გამოჭლაპარაკებოდა უველა საქრისტიანო მწვალებლების წარმომადგენლებს და მოესდინათ შერიგება. ჯერ აზრით 633 წელს კირმა გამოაცხადა 9 სარწმუნოებითი მუსლი, რომ ამათზე უველანი დათანხმებულიუკნენ. რადგანაც ეს მღვდელ-მთავარი ერთგულად თანაშემწეობას უწევდა ირაკლის, იმპერიის სალსთა სარწმუნოებრივის განსეთქილების მოსასპობლად, ამისათვის საქართველოდგან ის გადიუვანა პატრიარქად ალექსანდრიაში (ეგვიპტეში).

ჩვენთვის დიდად შესანიშნავი არ არის—კირი ქართველი იყო თუ არა; აგრეთვე კირი და კირიონი ერთი და იგივე პირია, თუ სხვა-და-სხვაა. კირის მოქმედების მოსსენების მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ გვსურს გამოვსტოთ იმ დროინდელ სასულიერო წოდების ჭკუა-გონების მდგომარეობა. თუ საქართველოს ჭეშვანდა იმისთანა მღვდელ-მთავარნი და ეპისკოპოსნი, რომელნიც ისე განათლებულნი იუვნენ, ისეთი სასელი და გავლენა ჭქონდათ, რომ მსოფლიო ეკლესიის დოღმატურს ბაასში მონაწილეობას იღებდენ, მაშ ეტყობა არც საქართველოს ერი იყო გაუსათლებელი. სადაც ამისთანა გონიერნი სულიერნი მამანი იუვნენ, ეჭვი არ არის, რომ იქ სხვანიც ბეკრნი იქნებოდენ ამისთანანი. რომელმა ერმაც ასეთი

განათლებულნი ეპისკოპოსნი გაზარდა, ბევრს სხვა ამის მზგავსსაც გამოზდიდა? უეჭველია რომ ქართველთა ჯკუა-გონება ამ დროს დიდს მოძრაობაში იყო. საქართველოს შვილნი გადიოდნენ სამშობლო ქვეყნიდგან უცხო ქვეყნებში—სირიაში და სებერძნეთში ქრისტიანულს მეცნიერების შესასწავლელად. სად იყვნენ და სად სწავლობდენ მაგალითად ის ცამეტნი წმინდა მამანი, რომელნიც სირიელებად იწოდებიან და მოვიდნენ საქართველოში კარგად მცოდნენი საღმთო წერილისა? ვინ იტყვის, რომ იმათ განათლება არა ჰქონდათ მიღებული «მცირეაზიისა და ანტიოქიის (სირიის) სკოლებში», რომელნიც არსებობდენ ამ დროს ჯ რომლებშიაც სწავლას იღებდენ წმინდანი მამანი. სად შეისწავლა მაგალითად ქრისტიანობა და ბერძნული ჯ ასურული ენები საქართველოს ქათალიკოზმა კირიონმა, რომელიც იყო მესხი [illegible]ოველს ფოცხოვიდგან, თუ არ ამ სკოლებში? სად ისწავლეს აგრეთვე მარკიონმა, პეტრემ, ზაქარიამ სტეფანემ და დავითმა, რომელთაც ასურულისა და ბერძნულის ენიდგან პირველად დაიწყეს თარგმნა ეკლესიურ წიგნებისა, თუ არ ამ სკოლებში?

კიდევ ვიმეორებთ, რომ მე-V ჯ VI საუკუნეში ქართველთ ჯკუა-გონება შეჩერებული არ იყო: იგი იყო განვითარებაში. ამას ამტკიცებს სხვათა შორის ჯკუა-გონების მოძრაობა ჭერეთელ ქართველებისა. ამ საუკუნოებში ჭერეთელმა ქართველებმა მიიღეს მანიხეების მწვალებლობა, რომელსაც საეკლესიო ისტორია ალბანიელთ მწვალებლობას ეძახის [1]). ზოგმა მიიღო ევტიხის მწვალებლობა, ზოგმა მონოფიზიტებისა ჯ ზოგნი მართლ-მადიდებლად დარჩნენ. ამ გვარის მოძრაობისათვის

[1]) იხ. Ист. Груз. Церкв. Іосел. стр. 52.

ცოდნა და განათლება იყო საჭირო და ეს უეჭველია ქართველებს უნდა ჰქონოდათ.

თუ მართლაც საქართველოს სასულიერო წოდება განათლებული იყო დროის შესაფერად, თუ ეპისკოპოსნი და ცამეტნი წმინდანი მამანი ნასწავლნი და განათლებულნი იყვნენ, უეჭველია გულ-ხელ-დაკრეფილნი არ ისხდებოდენ. როგორც ზნისა და ხასიათის დამალვა არ შეიძლება, ისე არ შეიძლება ცოდნისა და სწავლის გულში ამოღრძობა. «უსვიერებისაგან გულისა ბაგენი უბნობენო,» ნათქვამია. ცოდნა და სწავლა ჭკვის ნაყოფი არის, რომელიც უეჭველად გამოჭსეთქვს და გამოაშკარავდება ენის შემწეობით. კაცის გულს არ შეუძლიან დამალოს ის, რასაც მოიგონინასულებს: უთუოდ გამოსთქვამს მას ქალაქდზე, ან პირად საუბარში. მაგრამ ისევ სჯობს ფაქტები მოვნახოთ იმის დასამტკიცებლად რომ ცამეტნი წმინდანი მამანი, მოსულნი საქართველოში, გულ-ხელ-დაკრეფილნი არ ისხდნენ და შეუდგნენ ერის განათლებას.

მოვიდნენ თუ არა საქართველოში, იმათ აღაშენეს თორმეტი მონასტერი, რომელნიც შეიქმნენ ყარაულნი და მცველნი ქრისტიანობისა. სალსზე გაკვლენის მოსაპოებლად, ისინი დასახლდენ სოფლების მასლობლად. იოანე გადასახლდა ზედაზნის მთაზე. აქ იმან საკერპოები დაამხო და დაუწყო სალხს წვრთვნა ქრისტიანულს სწავლაში. აბიბოს ნეკრესელმა ჯერ მოაქცია კახეთის გალმა მხარში მთიული სალხები ქრისტიანობაზე და მერმე მეფის იარსმან მე--V-ს ოსოვნით ეპისკოპოსად ეკურთხა. ამან დაანგრია ალაზნის გალმა მხარში საკერპოები და გააძლიერა ქრისტიანობა სალხში. ისეთი გულმსურვალე სიყვარული გამოიჩინა სამშობლოსადმი, რომ არ მოერიდა სიკვდილსაც. ის მოკვდა სარწმუნოებისათვის სო-

ფელს რესაში, გორის მახლობლად. ის დამარხეს აქვე ერთს მონასტერში, მაგრამ სალსმა ამოიღებინა აქედგან სამღვდელოებას მისი გვამი და დაასაფლავებინა მცხეთის ეკლესიაში. ქართველთ ეკლესიამ დაწესა, რომ ყოველ შაბათობით მცხეთის ეკლესიაში მის სადიდებლად და სასსენებლად წირვა-ლოცვა ეოფილიეო, რადგან მან სამშობლოსთვის გასწირა თავი.

ამ წმინდა მამაზე ნაკლები ღვაწლი არ დასდო საქართველოს აგრეთვე იესე წილკნელმა. ამანაც მეფის ფარსმანის თხოვნით მიიღო ეპისკოპოსობა წილკნის ეპარქიისა. სალსის ჭკუის წარმატებისა და კეთილ-დღეობისათვის არა ჭზოგავდა თავის ძალ-ღონეს. ამ ნეტარმა მამამ თავის სარჯით გაიყვანა რუ-მდინარე ქსნიდგან წილკნის მინდვრების მოსარწყავად. იოსებ ალავერდელმა მოაქცია ინგილოები და დაღისტნის სეობების სალსნი და მერმე სთხოვა ქართლიკოზსა და მეფეს, რომ ეკლესიები აეშენებინათ ყოველგან მთებში. მაგრამ ვერც ესენი და ვერც ანტონ მარტყოფელი ვერ შეედრებიან დავით გარეჯელს. ამან გასსნა თავის მონასტერში სკოლა. მისნი მოწაფენი იყვნენ, მაგალითად, ქართველნი ლუკიანე და დოდო. მართალია, ვინც კი ამ წმინდა მამებთან ალიზარდენ, მეცადინეობდენ სამშობლოს სარწმუნოებისა, ენისა და თავისუფლებისათვის, მაგრამ ისეთი სარგებლობა არც ერთს მონასტერს არ მოუტანია, საქართველოსათვის, როგორც რომ დავით გარეჯის მონასტერმა მოუტანა. მაგალითად, მე-VII საუკუნეში არაბებმა საქართველო რომ დაიპყრეს, მოინდომეს ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ დამკვიდრება და მაჰმადიანობის გავრცელება [1]).

ამ განზრახვით იმათ ააშენეს თბილისში სკოლები: ეგონათ განათლების საშუალებათ ჩვენის სალსის მიზიდვა და გა-

[1]) არაბები პირველად შემოესივნენ საქართველოს 642 წელს.

მაჭმადიანება, მაგრამ სასულიერო წოდებამ შეიტყო თუ არა, რომ არაბებს ეს განზრახვა აქვთო, თვითონაც გახსნა თბილისში ლ სხვაგან ეროვნული სკოლები. ყველაზე უფრო ფიცხლად მოჭკიდეს ამ საქმეს სელი სამშვილდისა და დავით გარეჯის მონასტრების ბერებმა. ამათ არაბულის საარწმუნოების გავლენა ჩვენს სალსზე სრულიად უვნებელი გაჭსადეს. არაბებმა იგრძნეს მათის მოქმედების მაგნე ძალა თავიანთ განზრახვისთვის: დაუწყეს დევნა და ისე შეაწუხეს ბერები, რომ იმათ დასტოვეს ეს მონასტრები და გადასახლდენ სამცხე-ჯავარჯეთში; მაგრამ სელი არ აიღეს თავიანთ წინააღმდეგობაზე. აქ იმათ აღაშენეს მონასტერი ოლთისისა, «თავი და დასაბამი სამღთო და საერო სწავლათა», როგორც ამბობს დ. ჩუბინოვი. ამას გარდა ბაიბურთის ასლოს აღაშენეს კიდევ სხვა მონასტერი—სასულის ღვთის-მშობლისა. ამ ორს მონასტერში ბერებმა მოუყარეს თავი ახალგაზდა ქართველებს და ბეჯითად ასწავლეს ქართულს ენაზე წერა-კითხვა, საღმთო წერილი და საერო მეცნიერება, რაც კი ამ დროს არსებობდა. აქ გამოზდილნი ერმანი გამოისტუმრეს ქართლ-კასეთში სალსისათვის საქადაგებლად, რომ სელი არ აეღო მას თავის საარწმუნოებაზე.

მართლაც, როგორც ფუტკრები ეკავილოკანს ველს სწორედ ისე შემოესივა ნასწავლი ასალგაზდობა ქართლ-კასეთს. ის დაურიდებლად და ჭაბუკურის სიმსნით და გაბედულობით უქადაგებდა სალხს, დაეცვა მას თავისი ეროვნება, ენა, საარწმუნოება; არ ელალატნა მამა-პაპის ცსოვრების გზისათვის და არ გაბალეკურთხებინა წინა-პართა საფლავებზე. იოანე გრძელიძემ ისეთი ცხარე ქადაგებები სთქვა სალსში და ისეთის გასაგონარის მჭევრ-მეტყველობით, რომ ქართველობას თავი

მოსწონდა მის სიტყვა-პასუხის ძლიერებითაო, ამბობს ბარა-თაშვილი. მისებრივ გასაგონს ენაზე და საქმის ცოდნით და-წერილი ქადაგებანი იმ დროს ლათინურს ენაზედაც არ იყო-ვო—ამბობს იგივე.

მაგრამ მარტო ქადაგებით არა გამოვიდოდა-რა, თუ რომ სხვა-და-სხვა შინაარსის თხზულებებიც, ქრისტიანულ მიმართუ-ლებით დაწერილნი, არ გავრცელდებოდენ სალხში. ამ კეთილს საქმეს შეუდგნენ ათონის მთის ბერები: არსენი ნიკო-წმინდე-ლი, იოანე ბოიანელი, იოანე გრძელაძე, იოანე ოქროპირი სა-სულელი ლ ზაქარია შარიტიძე. მაგრამ ამათ იმოდენად კარგად არ იცოდენ ბერძნული ენა და ასურული, რომ შესძლებოდათ თავისუფლად ეთარგმნათ საღმთო წერილი. ამ მიზეზისა გამო 1023 წელს ეპისკოპოსმა არსენი ნინო-წმინდელმა და მღვდელ-მონაზონმა იოანე გრძელიძემ სთხოვეს ათონის მთაზე მყოფს ეფთვიმეს, შესდგომოდა საღმთო წერილის გადმოღებას ქართულს ენაზე, მაგრამ ეფთვიმემ ჯერ-ჯერობით ეს საქმე არ მოიწადინა. მიზეზი ამისი, ვგონებ, ის იყო, რომ იმან იმ დროს ქართული ენა კარგად არ იცოდა. ის სწერდა თხზულებებს ბერძნულსა ლ ასურულს ენებზე. მაგრამ ბერები არ მოეშვნენ, დაუწყეს ხვეწნა, და ჩაგონება, რომ ყოველი კაცი თავის სამშობლოსათვის უნ-და ზრუნავდესო. უთხრეს, რომ საქართველოს ეჭირვება წიგ-ნები და ის მოვალეა შეუდგეს თარგმნას. ამ გვარის ლაპარა-კით შეარყიეს მისი უარ-ყოფა. ასტუდა მის გულში ბრძოლა ორთა აზრთა შუა: სწერო ქართულს ენაზე, თუ არა? რაღა-ცა გაუგებარმა სევდამ გაიტაცა მისი არსება. ეკედრებოდა მხურვალედ ღმერთს, განეკურნა ის ამ სევდისაგან. მაგრამ არ იქნა: იმის გულს შვება არ მიეცა. მისი ავად-მყოფობა, მის ცხოვრების ამწერის სიტყვით, იმისგან წარმოსდგა, რომ ერთ-

სულ გამოეცსადა მას ღვთის-მშობელი როცა იგი ეკედრებოდა და სთხოვდა ლხენას და ასე უთხრა: თუ ქართულს ენაზე არ დაიწყებ წერასა, უნდა გამოესალმო სიტოცხლესაო. მაშინ იმან სული აიღო ათონის მონასტრის წინამძღრობისაგან და ფიცხლად შეუდგა წიგნების თარგმნას. იმას შეეწივნენ სხვა ბერებიცა და მსწრაფულ გადმოიღეს ქართულს ენაზე საღმთო წიგნები, რომელნიც საჭირონი იყვნენ სკოლებში და ეკლესიებში სახმარად. ამის გამო საქართველომ დაიწყო განათლება საშშობლო ენაზე და უფრო და უფრო პოლიტიკურად გაძლიერება.

ეს გარემოება საბერძნეთს ძლიერა სწყინდა. რათა? რისთვის? რა უნდოდა მას ერთ-მორწმუნე საღსისაგან?—ისა, რომ საქართველოს ეკლესიის განთავისუფლება ანტიოქიის პატრიარქისაგან, ქართულს ენაზე წირვა-ლოცვის შემოღება, საღსში განათლების გავრცელება, საღმთო წერილის ქართულს ენაზე თარგმნა და საქეფოს პოლიტიკურად გაძლიერება,—ეს ყველაფერი იყვნენ ნიშნები ბერძნების პოლიტიკურ გაკვლენის საქართველოზე ნელ-ნელა მოსპობისა. ასეთი ფესის ადგმა საქართველოსაგან საბერძნეთის გულში შხამს აწვეთებდა. იმას გულს უკლავდა მისი გაცოცხლება, კეთილ-დღეობა და გაძლიერება. მაგრამ პირდაპირ მტრობის გამოცხადებასაც ერიდებოდა: იმედი არ ჰქონდა, რომ დაამარცხებდა ბრძოლის ველზე. ამისათვის საქართველოს დასაუძლურებლად საბერძნეთმა მიჰყო სული სხვა-და-სხვა სერხსა და ცბიერებას.

პირველად საბერძნეთმა მოიწადინა კლარჯეთის დაჭერა, რადგან აქედგან უფრო ძლიერდებოდა და ვრცელდებოდა საქართველოში სწავლა-განათლება და ეს ქვეყნები შეადგენდენ დასავლეთის მხრით საქართველოსათვის მაგარ ზღუდეს. 1027

წელს ბერძნებმა მიჰყვეს ხელი თავიანთ წადილის აღსრულებას, რადგან ამ წელს გიორგი I მოკვდა და გამეფდა მისი შვილი ბაგრატ მე-IV, რომელიც ამ დროს მხოლოდ ცხრა წლისა იყო. ბერძნებს ეს დრო ძალიან მარჯვე დრო ეგონათ საქართველოს დასამცირებლად. კოსტანტინე იმპერატორს, რომელიც ამ დროს კიზანტიის იმპერატორად იყო, რადგან ტაოკლარჯეთის ხმლით აღება არ შეეძლო, დიდ-ძალი საზინა იხმარა. დიდის წყალობების დაპირებით და საჩუქრების მიცემით გადაიბირა ადგილობრივი თავად-აზნაურობა: პირველად დაიჭირეს იმისი მსარე: აზნაურმა ვაჩე კარიჭისძემ, ბანელ ეპისკოპოსმა, იოანე სარტულარმა[1]) ⁄ აზნაურთა ტაოელთა, რომელთაგან ზოგნი იყვნენ ტიბოვანნი, ზოგნი უტიბონი. ამის შემდეგ 1030 წელს კოსტანტინემ გამოგზავნა ჯარები «ურიცხვითა განძითა» რომ მოესყიდა დანარჩენნი ბაგრატის ერთგულნი თავად-აზნაურნიცა. იმისმა ჯარებმა ჯერ სამცხე-კლარჯეთი აიკლეს, მერმე მოვიდნენ ორიალეთში, მოსთხოვეს ლიპარიტ ორბელიანს მორჩილება, მაგრამ ამან უარი შეუთვალა ⁄ კლდე-კარის ციხის ქვემოთ დაამარცხა თავის ერთგულ აზნაურების თანაშემწეობით. მაშინ მტერმა იხმარა ისევ ფული და ზოგიერთნი შავშეთის დიდებულნი თავადნი გადაიბირა. ესენი იყვნენ: შავშეთის ერისთავი ჩანჩუსა, რომელმაც მიცა მტერს წეფთის პირველი ციხე; ამავე დროს მისმა ნათესავმა ჩანჩუსა ფალელმა მისცა ბერძნებს ციხე გარყლობისა; არჯევან ჭოლოლის-ძემ გადასცა მეორე ციხე წეფთისა. მაგრამ ბერძნებმა არც ეს იკმარეს. იმათ მოიწადინეს სამცხე-კლარჯეთში დიმიტრი ბაგრატიონის გამეფება

[1]) სიტყვა «ხარტულარი» ნიშნავს თანამდებობას. ამას ებარა საეკლესიო ქონების გამგეობა და ეკლესიის არხიგები ქაღალდებითურთ. ბერძნულად ერქვა «ხარტოფილაქსი.»

რომლის მამა, გურგენ, ბიძა, სუმბატ და აგრეთვე სხვა ნათესავნი მისნი ბაგრატ მე-III-მ საქართველოს ერთობისათვის ტუსაღანაში ამოსწყვიტა [1]). ხალხის გადასაბირებლად იმათ გამოატანეს მოღალატე იოანე ბანელ ეპისკოპოზს სარტულარს ეს დიმიტრი, საბერძნეთში გაქცეული და იქ აღზდილი, კითომ და ხალხს ეფიქრა, რომ ბერძნებს არ უნდოდათ იმის ქვეყნის დაპურობა, არამედ ჭსურდათ მთავრად ანუ მეფედ დაესვათ დიმიტრი, როგორც სამდვილი მემკვიდრე ტაო-კლარჯეთისა. დაბალი ხალხი მართლაც მოსტუუვდა და გადავიდა ბერძნების მხარეს. ასე, ამ სახით ბერძნებმა სამცხე-კლარჯეთი თითქმის მთლად გადაიბირეს. სამშობლო ქვეყანას არ უღალატა მხოლოდ არტანუჯის ერისთავმა აბუსერმა. ამის გამო «ქვეყანათა ამათ შინა იქმნეს ბრძოლანი, შეღლნი» და ერთმანერთის მიხდომა და აოხრება.

აი ახლა იყო საჭირო კაცი, რომ ამისთანა გასაჭირს დროს ეშველა საქართველოსათვის და დაეცვა მტრისაგან ხალხის პოლიტიკური ერთობა. ასეთ სახელოვან კაცებად აღმოუჩნდენ ჩვენს ქვეყანას ეპისკოპოსნი საბა მტბევარი და ეზრა ანჩელი. ბერძნებისაგან ატეხილ ღელვის გამო სამშობლო ასე უწყალოდ რომ იგვემებოდა, ეს ორნი ჩინებულნი ეპისკოპოზნი გულზე ხელ-დაკრეფილნი შეჰსტქეროდენ თავიანთ ქვეყნის ბედს და მის დანაკუწებას. როგორც სულიერნი მამანი, ესენი ჯერ სმალს ხელს არა ჰკიდებდენ, ელოდენ ჯერ შველას ერის კაცთაგან; მაგრამ რაკი ნახეს რომ ბევრმა მათგანმა სამშობლოს ღალატა და ვინც ერთგულად დარჩა, იმათგანაც არა ეშველა-რა,—ბერძნებს თუმცა პირად მტრობა არ უჩვენეს, მაგ-

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გ. 213.

რამ ჩუმად დაიწყეს შენება ტბეთის მახლობლად ციხისა და ეკლესიის გარეშემო გალავნისა. ამ გზით უნდოდათ ბერძნებისათვის თავლები აებათ, ვითომ ეკლესიას უბრალო სიმაგრეს უკეთებდენ. ბერძნებმა ვერ შეუტუკეს გულში ჩახვეული განზრახვა და ციხე დაუბრკოლებლივ აშენდა. მას უწოდეს სახელად «სვეტი» უძლეველი, ანუ უფრო უკეთ რომ ვსთქვათ, „სიმაგრე“ ეკლესიის თავისუფლებისა, ბურჯი ქართველთ ერთობისა და „სვეტი“ მტრის დამარცხებისა.

ამის შემდეგ ეპისკოპოზებმა საბა მტბევარმა და ეზრა ანჩელმა დაიწყეს თავიანთ ეპარქიებში სალხის აღელვება ბერძნების წინააღმდეგ. ამათი სამღვდელ-მთავროები მეზობლად იყვნენ ერთმანერთთან. (პირველის საქმეს ეზრა ანჩელი ეპისკოპოზი ეკუთვნოდა, ეზრა ანჩელი ეპისკოპოზი, ეზრა ანჩელი ეპისკოპოზი, ეზრა ანჩელი ეპისკოპოზი

თვალოს ამ მაზრებიდგან, ბერძნები ძლიერ ეცადნენ ტისის აღებას, მაგრამ ვერას გზით ვერ მოახერხეს. სალხს ისე მოეწონა მის სიმაგრე, რომ ასე ამბობდა: «თუ სარ ტისე — შენ, და არა სხვა» [1]).

ამის შემდეგ ბერძნების ხელში დარჩა მხოლოდ ის მიწა-წყლები და ტისე-სიმაგრეები, რომელთ პატრონებიც მათ მიემხრნენ. აქ მათ შემოიღეს თავიანთ მართებლობის წესი, მაგრამ სასულიერო წოდებამ თავის უფლება მაინც არ ეადასტა ანტიოქიის პატრიარქს. აქაურ სულიერ მამებად ისევ ქართველნი დარჩნენ. ისინი არ ემორჩილებიან პატრიარქს. ამ სახით სასულიერო წოდებამ არამც თუ არ დაუთმო ბერძნებს ეკლესიის საქმეების მართველობა, არამედ ამის შემდეგ კიდევაც მეცადინეობდა რომელიმე გზით მიწებიც ჩამოერთმია და საეკლესიოდ დაეწერა. ასე იქცევა ქათალიკოზი მელქისედეკ. ის არის ნამდვილი მწყემსი თავის ერისა და ჭეშმარიტი შვილი სამშობლო ქვეყნისა. ბერძნებმა რომ მოჰკვეთეს ზოგიერთგან სამცხეში, ტაოში ლ კლარჯეთში საქართველოს მეფის უფლება, ამან არ მოიითმინა სამშობლოს ასეთი დამცირება და დაიწყო ზუმ-ზუმად მოქმედება ბერძნების წინააღმდეგ. ის იყო გაზდილი მეფე ბაგრატ მე-III-საგან, მისივე ნათესავი, და გული ეთანაღრებოდა, რომ ხედავდა მის დამცირებას [2]).

ბერძნების გაუგებლად იგი ატლის მათ ხელიდგან ეოველსავე გაგლეჯას სამცხე - კლარჯეთზე. მართალია, სამცხე-კლარჯეთი ასლა იმერეთის საწილს შეადგენს, მაგრამ იქაური

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 219 და 220; გეოგრაფ. კახეთ. გვ. 110, 112 და 114. Гурія и Аджара, соч. Бакрадзе, გვ. 18, 83 и 84.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 212.

ქართველი სალხი სრულიად ვერ იტნობს სპბერძნეთის მოსელლეებს. მელქისედეკის მეცადინეობით სალხი არავითარს საჩივარს არ იწყებს იმპერატორის მოსელლეებთან. ისინი ჩივიან ან ქათალიკოზთან, ან შინაურულად რიგდებიან. ამასთანავე ქათალიკოზი აგროვებს სპბერძნეთშიკე თულებს და ჭყიდულობს სამცხეში, ტაოში და კლარჯეთში მიწა-წყალს, სოფლებს და საეკლესიოდა სწერს. აშენებს მრავალგან ასალ სოფლებს და თავის გამგეობის ქვეშ იყოლიებს. საეკლესიო სოფლების გამგეობასაც თითონ კისრულობს და ბერძნებიც ვერ ერევიან მის საქმეებში. ამ სასით ტაო, სამცხე და კლარჯეთი თუმცა ბერძნებს ეჭირათ, მაგრამ შინაური გამგეობა ქათალიკოზის მელქისედეკის მეცადინეობით ქართველთ ხელში დარჩა—არა ცალადლივ, არამედ დაფარულად. ამ წადილის აღასასრულებლად იგი რამდენჯერმე წავიდა სპბერძნეთში. დაბრუნების დროს თან მოჰქონდა სოფლების გამოსასყიდლად თულები და აგრეთვე ხატები, საეკლესიო წიგნები და სამკაული და არიგებდა სამშობლო ქვეყნის ეკლესიებში [1]).

მღ. დიმ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 218, 220, 221, და აგრეთვე გუჯარი ბ. ჩუბინოვის ისტორიაში, გვ. 203—208, გამოცემა 1863 წლისა.

*
* *

(მიბაძვა.)

წადმა-უკუდმა აბრუნებს
  წუთი-სოფელი ჩვენს ბედსა,
სან ცსარის ტრემლით გვატირებს
  და სან კი გვაძლევს იმედსა.

—

მე კაცისა ეს მაკვირვებს,
  ეს მიშფოთებს გულ-გონებას,
რომ ლხინსა და მწუხარებას
  მალე აძლევს დავიწყებას.

—

ერთი ათრძვევს ცხარე ტრემლებს;
  მაგრამ როს მზე ადმოსდება
და ჩიტიცა დაიმღერებს
  გულს ნადვილი გადეურება.

—

მეორე კი მსიარულობს;
  მაგრამ მასაც დრო უდგება,
როცა გული ადარ ხარობს,
  ლხინი ჭირად შეეცვლება.

—

ჩემს გულს ეს აქვს საწუსარად
  და გონებაც ვერ მიმსვლარა:
სევდა რად არს ჩვენთან მარად
  და ლხენა კი მირბის ჩქარა.

წადმა – უკუღმა აბრუნებს
  წუთი-სოფელი ჩვენს ბედსა,
სან ცსარის ტრემლით გვატირებს
  და სან კი გვაძღევს იმედსა.

ი. ბაქრაძე.

რა არის ერი (ნაციია)? *)

(Qu'est-ce qu'une nation?)

მე მინდა თქვენთან ერთად დავაკვირდე ერთს საგანს, რომელიც, თუმცა ბირველის შესედვით ცხადია, მაგრამ ბევრი ძნიმე შეცდომა გამოუწვევია. კაცთა საზოგადოებას სხვა-და-სხვა სახე ჰქონია ან აქვს და მათი ერთმანერთში შერევა დიდს დაბრკოლებას დაჰბადავს. აი მაგალითები ამ სხვა-და-სხვაობისა: ჩინეთში, ძველს ეგვიპტეში და ძველს ბაბილონში დიდ-ძალი სალხი იყო მოგრეოვილი ერთის უფლების ქვეშე,—არა-ბები ერთს ტომს ეკუთვნიან,—ქალაქი ათინა და სპარტა მარ-ტო თითონ შეადგენდენ სახელმწიფოებს,—რომისა და კარ-ლოს დიდის იმპერია სხვა-და-სხვა ქვეყნებისაგან შესდგებო-და,—ებრაელთა და ტეტონის - თაყვანის - მცემელთ არა აქვთ სამშობლო და მხოლოდ სარწმუნოებით არიან დაკავშირებულ-ნი. დასასრულ მოვიგონოთ საფრანგეთის, ინგლისის ერი და უმრავლესი წილი ევროპის ესლანდელ სახელმწიფოებისა,—

---

*) ეს შესანიშნავი სიტყვა საფრანგეთის გამოჩენილმა სწავლულ-მა ერნესტ რენანმა წარმოსთქვა პარიუის უნივერსიტეტში წრეულს 27 თებერვალს და რამდენსამე ფრანცუზულს ჟურნალში დაიბეჭდა. იმ ეროვნებრივის მოძრაობის გამო, რომელიც მთელს ევროპას მოედო ამ უკანასკნელს ხანს, ეს წერილი ჩვენის მკითხველებისათვისაც საყურად-ღებო უნდა იყოს. რედ.

შვეიცარიის ჩრდილოეთ-ამერიკის კონფედერაციას მოდგმით ანუ ენით ნათესაობა გერმანების და სლავიანებისა.

საფრანგეთის რევოლიუციის დროს ასე ეგონათ, რომ ჩვენისთანა დიდს ერსაც—30—40 მილიონს სულს, სპარტისა და რომისთანა პატარა თავისუფალი ქალაქები მოუსდებოდა. ჩვენს დროში კიდევ უფრო დიდს შეტდომას სჩადიან, როდესაც მოდგმას (რასას) და ერს (ნაციას) ერთმანერთში არ არჩევენ და წარმოდგენილი აქვთ, რომ თუ რომელიმე სალხი ერთის მოდგმისაა, ან ერთის ენით ლაპარაკობს, ერთს სასელმწიფოსაც უნდა შეადგენდესო. ვეცადოთ ამ საგნის საფუძვლიანად გამოკვლევას, თორემ თუ პირველშივე სიტყვების აზრი ავრიე-დავრიეთ, შეიძლება დიდად მავნებელს შეტდომილებაში ჩავცვივდეთ.

საგანი ჩვენის გამოკვლევისა მეტად საძნელოა: ტოტსლებს თითქმის ისე უნდა მოვექცეთ, როგორც მკვდრებს ეპყრობიან—ტოტსლები თითქმის ანატომიურის დანით უნდა დავკუწოთ. ვეცადოთ გულ-ციად და სრულის პირუთვნელობით შევასრულოთ ჩვენი მძიმე საქმე.

რაც რომის იმპერია დ[illegible],—ასე სჯობს რომ ვსთქვათ—რაც კარლოს დიდის იმპერია დანაწილდა,—დასავლეთის ევროპა დაიყო მრავალ ერს შორის, რომელნიც დრო-გამოშვებით სცდილობდენ ერთმანერთზედ პირველი ადგილი დაეჭირათ, მაგრამ დიდ-სნობით ამას ვერც ერთი ვერ ეღირსა. რაც ვერ შესძლო კარლოს მეხუთემ, ლიუდოვიკო მეთოთხმეტემ ან ნაპოლეონ პირველმა, ალბად მომავალში ვერც სხვანი შესძლებენ. ახალის რომის ანუ კარლოს დიდის იმპერიის დაფუძნება შეუძლებელია. ევროპა ასლა ისე წვრილ-წვრილად არის დანაწილებული, რომ თუ ვინმე მოინდომა მთელის ცნობილის

ქვეყნის დაპურობა, მაღე სხვანი შეუერთდებიან ერთმანერთს და დიდების-მოყვარე ერს გარეშემო გარდუვალს წრეს შემოარტყმენ. სანგრძლივად დამკვიდრდა თანაბარობა ევროპაში. საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, რუსეთი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დარჩებიან ისტორიულ სხეულად, რაც უნ- [illegible] ში გზა გამოიარონ; იგინი შეადგენენ თითქო ჭანდოაკის ფიცრის უჯრებს, რომელნიც მრავალ-გვარად იცვლებიან, მაგრამ სრულად კი თავის დღეში არ უერთდებიან ერთმანერთს.

ამ გვარად წარმოდგენილი ერი ახალი რამ არის ისტორიისათვის. ძველ დროში ამათთანა ერი არ იყო: არც ეგვიპტე, არც ჩინეთი,—ერთს ერს არ წარმოადგენდა. ეს იყო ადამიანთ ფარა, რომელსაც წინ მიუძღოდა ძე მზისა, ანუ ძე ზეცისა. ეგვიპტელი მამულის-შვილი, ჩინელი მამულის-შვილი წარმოსადგენად შეუძლებელია. ძველმა დრომ იცოდა რა არის რესპუბლიკა, ერთის ქალაქისაგან შემდგარი სახელმწიფო, სხვადა-სხვა სახელმწიფოთა კონფედერაცია, იმპერია, მაგრამ არ იცოდა, რა არის ერი იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობასაც ჩვენ ვაძლევთ მას. ათინა, სპარტა, სიდონი, ტირი იყვნენ ცენტრნი საკვირველის მამულის-სიყვარულისა, მაგრამ იგინი იყვნენ მსოლოდ ქალაქნი და ფრიად პატარა სივრცე ეჭირათ. გალია, ესპანია, იტალია, ვიდრე მათ რომის იმპერია შთანთქავდა, წარმოადგენდენ წვრილ ხალხთა გროვას, ხშირად ერთმანერთთან დაკავშირებულს, მაგრამ მათ არა ჰქონდათ რაიმე ცენტრალური დაწესებულება, არა ჰყავდათ დინასტია. სამეფო ასირიისა, სპარსეთისა, ალექსანდრე მაკედონელისა არ წარმოადგენდენ ამ სამეფოთა შვილების საერთო მამულს. ასირიელი მამულის-შვილი არ ვიცით რა არის. სპარსეთის სამეფო

იყო გავრცელებული ფეოდალური სამეფოებელო; გერც ერთი ერი ვერ მოსძებნის თვის დასაწყისს ალექსანდრე მაკედონელის ძლიერს სამეფოში, რომლის დაპყრობასაც ფრიად დიდი გავლენა ჰქონდა განათლების საზოგადო ისტორიაზედ.

რომის იმპერია უფრო ჰგავდა საერთო მამულს. რომაელთა ბატონობა პირველში თუმცა ძნელად სასტანი იყო, მაგრამ სალსი შემდეგში შეეწყია მას, რადგან რომაელთა წყალობით ელირსა გამანადგურებელ ომების მოსპობას. რომის იმპერია წარმოადგენდა სალსთა კრებას და მასში დამკვიდრებული იყო წესიერება, მშვიდობიანობა და განათლება. იმპერიის უკანასკნელ წამებში ზოგიერთ განათლებულთ, სწავლულთ და სასულიერო პირთ იგრძნეს რა მნიშვნელობაცა აქვს რომის მშვიდობიანობას შედარებით ბარბაროსთა არეულ ცხოვრებასთან, რომელნიც განათლებას ჩაულაპვას უქადიდენ. მაგრამ იმისთანა იმპერია, რომელიც ქსლანდელს საიერანგეთზედ თორმეტჯერ მაინც უდიდესი იყო, ვერ შეადგენდა სახელმწიფოს ისე, როგორც ჩვენ ეხლა გვესმის. აღმოსავლეთის და დასავლეთის გაცალკევება აუცილებელი იყო. მესამე საუკუნეში გალიის სამეფოს შედგენის ცდამ ამაოდ ჩაიარა. მხოლოდ გერმანთა შემოსევამ ჩასსა ის დედა-აზრი, რომელზედაც დაემყარნენ შემდეგში სხვა-და-სხვა ეროვნებანი.

რა მოიქმედეს მართლაც გერმანთა შემდეგ დიდის შემოსევისა მეხუთე საუკუნეში ვიდრე უკანასკნელად ქვეყნების დაპყრობამდე ნორმანთაგან მეათე საუკუნეში? მათ არ შეუცვლიათ სხვა-და-სხვა მოდგმა; მხოლოდ გაუჩინეს დინასტიები და სამხედრო დიდ-კაცობა სხვა-და-სხვა ნაწილებს დასავლეთის იმპერიისას, რომელთაც მიიღეს სახელი მათის დამპყრობელისა.

ასე წარმოსდგა საფრანგეთი, ბურგუნდია, ლომბარდია და შემდეგში ნორმანდია.

ტოტას სნით ფრანგთა სამეფოს უეცარმა გაძლიერებამ განაასლა ერთობა დასავლეთისა; მაგრამ მეცხრე საუკუნის ნახევარში ეს ერთობა საუკუნოდ დაირღვა. ვერდენის პირობამ გაანაწილა ეს სამეფო და მას შემდეგ საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, იტალია და ესპანია სხვა-და-სხვა გზით, ათასის ტანჯვა-წვალების გამოვლის შემდეგ, მიიღტვიან თავიანთ ეროვნებრივის არსებობისადმი და მიიღებენ იმ სახეს, რა სასითაც დღეს მათა ვხედავთ.

რა არის განსხვავებული ხასიათი ამ სახელმწიფოებისა? ის რომ მათ შეაერთეს, შეადუღეს ერთად სხვა-და-სხვა მათი შემადგენელნი სალსნი. ზემოდ ჩამოთვლილნი სახელმწიფონი სრულებით არა ჰგვანან ოსმალეთს, სადაც ოსმალო, სლავიანი, ბერძენი, არაბი, სირიელი, კურდი დღესაც ისე განირჩევიან ერთმანერთში, როგორც პირველ დაპურობის დროს განირჩევოდენ.

ორი უმთავრესი გარემოება იყო ამის მიზეზი:

პირველი ეს რომ რაკი გერმანნი ლათინებსა და ბერძნებს დაუახლოვდენ, მაშინვე ქრისტიანობა მიიღეს. როდესაც მძლეველნი და ძლეულნი ერთისა ღ იმავე სარწმუნოებისა არიან, უფრო, როცა მძლეველი ძლეულის სარწმუნოებას ითვისებს, მაშინ ვერ მოიგიდებს ფეხს ოსმალური წესი, ე. ი. სახელმწიფო წევრთ სარწმუნოებრივი განსხვავება.

მეორე გარემოება იყო დაგიწყება დამპურობთაგან მათის დედა-ენისა. შვილის-შვილნი კლოვისისა, ალარიხისა და სხვათა გერმანთ მოთავეთა რომანულსა ლაპარაკობდენ. ეს კიდევ სხვა მიზეზისაგან წარმოსდგა: ფრანგებს, ბურგონებს, გო-

ტებს, ლომბარდებს, ნორმანებს ძალიან ცოტა ქალები ჰყავდათ თან თავიანთ მოდგმისა. რამდენიმე ჩამომავლობა გერმანთა თავადნი მხოლოდ გერმანთა ქალებს ირთვენ ცოლად; მაგრამ მათნი საყვარელნი, მათის შვილების ძიძები რომანელნი არიან. საზოგადოდ კი გერმანნი ირთვენ რომანთა ქალებს და ამ რიგად, რაკი ფრანგნი და გოტნი რომანთა მიწაზედ დასახლდენ, ფრანგთა და გოტთა ენებს დღე შეუმოკლდათ. ინგლისში ასე არ იყო: იქ შესულს ანგლო-საქსონებს თან უეჭველია ქალები ეყოლებოდათ ჯ ამას გარდა ინგლისში მცხოვრებნი ბრიტნი მიიოვანტ-მოიოვანტნენ. თუნდ ესეც არ ყოფილიყო, არას დროს ლათინური ანუ რომანული ენა ისე არ იყო გავრცელებული ბრეტანიაში, რომ გერმანთა ენა დაეჩაგრა.

ეს იყო იმის მიზეზი, რომ თუმცა შემოსულნი გერმანნი მეტად აკის ზნისა ჯ ჩვეულებისანი იყვნენ, მაინც მათ მისცეს სასე შთასასულს ერონებას. საფრანგეთი დაერქვა იმ ძველ ენას, რომელშიაც მხოლოდ შესანიშნავად მცირე ნაწილი იყო ფრანგებისა. მეათე საუკუნეში, სასალხო სიმღერებში საფრანგეთის ყველა მცხოვრებნი ფრანტუზებად იწოდებიან. მეოთხე საუკუნის მწერლები აშკარად ლაპარაკობდენ სხვა-დასხვა მოდგმის ხალხებზედ, რომლებითაც საფრანგეთი დასახლებული იყო, მაგრამ მეცხრე და მეათე საუკუნის მწერალთა თხზულებებში ამაზედ სიტყვაც აღარ არის სათქვამი. თავადსა და გლეხს შუა განსხვავება ცხადლივ სჩანს, მაგრამ ეს მოდგმაზედ არ არის დამოკიდებული. ეს არის განსხვავება ვაჟ-კაცობისა, ყოფა-ცხოვრებისა და აღზდისა— გადაცემული მემკვიდრეობით. აღარავის მოსდის თავში რომ ამ გარჩევის დასაწყისი— ძალად შემოსევაში და დაპყრობაშია. ის ცრუ აზრი, რომ ვითომ დიდ-კაცობა მეფისაგან არის ბოძებული იმ სამ-

სასურისათვის, რომელიც დიდ-კაცს მიუძღვის სამშობლოს წინაშე,—ეს ცრუ აზრი მხოლოდ მეცამეტე საუკუნეში შემოკიდა.

ესევე მოვლენა მოჰყვა თითქმის ყოველს ნორმანთა შემოსევას. ერთის ან ორის ჩამომავლობის შემდეგ შემოსულნი ნორმანნი დანარჩენის სალხისაგან არ განირჩევოდენ; მათი ზედ-მოქმედება სალსზედ მაინც ძლიერი იყო: მათ მისცეს დაპყრობილს ქვეყანას დიდ-კაცობა, შეაჩვიეს სამსედრო წესსა და ჩაუნერგეს გულში მამულის სიყვარული, რომელიც წინად არა ჰქონდა.

დაიწყება ისტორიისა. თითქმის ისტორიული შეცდომა აუცილებლად საჭიროა ერის, ნაციის შესადგენად. ამიტომ ხშირად ისტორიის განვითარება საშიშია ეროვნებისათვის. ისტორიული გამოკვლევა ხშირად ნათელსა ჰფენს იმ ძალადობას, რომელიც ამარებულა ყოველ პოლიტიკურ სსეულთა გამონასკვაში, თითქმის იმ სსეულთა დასაწყისშიაც, რომელთაც ფერად კეთილი ნაყოფი მოუტანეს კაცობრიობას. ერთობა ყოველთვის ძალადობით დაარსებულა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის საფრანგეთის გარემოება თითქმის მთელის საუკუნის შიშისა და სისხლის-ღვრის ნაყოფი იყო. საფრანგეთის მეფე, რომელიც სასელმწიფოს სამაგალითო შემაერთებელი იყო, რომელმაც შექმნა უსრულესი ეროვნებრივი ერთობა,—ეს საფრანგეთის მეფე, თუ ასლო გავსინჯავთ მას, დაჰკარგავს თვის ბრწყინვალებას. მისგანვე შექმნილმა ერმა დასწუეელა იგი და ღღეს მხოლოდ განსწავლულნი პირნი ათვსებენ მის საქმესა და ღვაწლსა.

დაპირდაპირებით უფრო ცხადად გამოჩნდებიან დასავლეთ ევროპის ისტორიის კანონნი. რაც საფრანგეთის მეფემ

ზოგი მძლავრობით, ზოგი სამართლიანობით ისე საკვირველად შესრულა, ბევრთა ვერ შესძლეს. ავსტრიის სკიპტრის ქვეშ მაჯიარები და სლავიანები ეგრედვე განირჩევიან ერთიერთმანერთისაგან, როგორც რვაასის წლის წინად განირჩეოდენ. ამ განსხვავებულ ელემენტების შეერთების მაგივრად ჰაბსბურგის დინასტიამ იგინი გან�ლვეა და ხშირად ერთმანერთს უპირდაპირებდა. ბოჰემიაში ჩეხები ნემეცები ისე არიან ერთმანერთთან, როგორც წყალი და ზეთი ერთსა და იმავე სტაქანში.

ოსმალოს წესმა, რომლის ძალითაც სხვა-და-სხვა საღსი განირჩევა ერთმანერთისაგან სარწმუნოებითაც,—უფრო მაგნეტიზმი მოიტანა. მან დაამხო ადმოსავლეთი. აიღეთ თუნდა სალონიქის ან სმირნის ქალაქი. თითოში ხუთი თუ ექვსი საზოგადოებაა, განსხვავებული რჯულით: ყოველს მათგანს თავისი ისტორია ახსოვს და სხვასთან საზოგადო არა აქვს-რა. ყოველის ერისათვის აუცილებლად საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ჰქონდეს ყველას საერთო და ყველამ დაივიწყოს ბევრი რამ თავის ისტორიისა. არც ერთმა საფრანგეთის შვილმა არ იცის, რა არის იგი: ბურგუნდი, ალანი, თუ გისგოტი; ყოველმა საფრანგეთის შვილმა უნდა დაივიწყოს ბართლომეს ღამეს საშინელება და სამსრეთის ხოცვა-ყლეტა მეცამეტე საუკუნეში. მთელ საფრანგეთში ათი ოჯახი არ არის, რომ ფრანგების ჩამომავალნი იყვნენ და თუნდა საბუთებიც წარმოადგინონ, მაინც იმ საბუთებს მნიშვნელობა არა ექნებათ-რა; მას შემდეგ ვინ იცის რამდენჯერ შერეულა სხვა-და-სხვა სისხლი, რომელიც გვარების საუკეთესო გამომკვლეველსაც გზა-ბილს დაუბნევს.

ესლახდელი ერი არის ნაყოფი რამდენისამე ისტორიულ

მოგლენისა, რომელნიც ერთსა და იმავე მხარეს მიიღტეოდენ. ზოგჯერ ერთობა დინასტიის წყალობით დამკვიდრებული, რომლის მაგალითადაც საფრანგეთსა ვხედავთ; ზოგჯერ მკვიდრდებოდა იგი სხვა-და-სხვა მაზრათა მინდობილებით, როგორც ჭოლანდიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში; ზოგჯერ საზოგადოწადილით, რომელიც ბოლოს სძლევდა ფეოდალების კერძობას, როგორც მოსდა მაგალითად იტალიასა და გერმანიაში. ეოველგან და ეოველთვის ერის განკრთებას წინ მიუძღოდა რაიმე ღრმა ისტორიული მიზეზი. ამ გვარ შემთხვევაში დედა-აზრი თავს იჩენს თვით იმისთანა მოუღოდნელს მოგლენაშიაც, რომელიც ბირველის შეხედვით უნდა აბრკოლებდეს მას: ჩვენს დროში იტალია გაერთდა შემდეგ მტრისაგან დამარცხებისა და ოსმალეთი დაღუპა მისმა გამარჯვებამ. ეოველი დამარცხება წინა სწევდა იტალიის საქმეს და ეოველი გამარჯვება ოსმალეთს უეცრო და უეცრო დაბლა სცემდა; ამიტომ რომ იტალიის ხალხი არის ერი და ოსმალეთისა კი მცირე-აზიის გარეთ ერი აღარ არის. საფრანგეთისთვის სახელად უნდა დარჩეს, რომ მისმა რევოლიუციამ ბირველად წარმოსთქვა: ერს თავის საკუთარი არსებობა აქვსო. ჩვენთვის (ფრანცუზებისთვის) კარგია რომ სხვანი ამ საქმეში ჩვენა გვბაძავენ. ეროვნების დედა-აზრი ჩვენი აზრია, მაგრამ ახლა ეს ვიკითხოთ—რა არის ერი? ჭოლანდიელთ რად ჭქვიანთ ერი და ჭანოვერელებს, ან ბარმის დიდ საჭერცეგოს ხალხს კი არა? ფრანცუზები რაღად შეადგენენ ერს მას შემდეგ, რაც მისი წარმოშობი მოგლენა აღარ არსებობს? ხალხი შვეიცარიისა, რომელშიაც სამი ენაა, ორი სარწმუნოება, სამი თუ ოთხი რასა, რად არის ერი და ტოსკანიის ერთ-გვარი ხალხი კი არ არის ერი? ავსტრია მარტო სახელმწიფოა რად არის

და მის სალხს რატომ ავსტრიის ური არა ჰქვიან? ეროვნება რითი განსხვავდება რასის ანუ მოდგმისაგან? აი ამ კითხვების ბასუხის ბოვნა საჭიროა ყველასთვის, ვინც კი უფიქრდება კაცობრიობის ისტორიას. მართალია ისტორია ამ გვარს სკვაზედ არ გაიგლის, მაგრამ ყველასთვის სასურველია გაიგონოს კვალი ამ საგანში და გაჭეანტოს ის ბურუსი, რომელიც უბრალო გამომკვლეველთ თვალ-წინ აჭეარებიათ.

II

ზოგიერთ თეორიკოსებს რომ ეური დაეუგდოთ, ერი არის დინასტია, უწინდელს დროში შემოსეული, ვერ სალხისაგან მიღებული და მერე მიეიწეებული. ამათ აზრით სხვა-დასხვა მაზრების ერთობა, რომელიც რაიმე დინასტიამ დაამყარა ომების, შეეღლების ან ტრაქტატების ძალით, იშლება ამ დინასტიასთან ერთად. სრულიად მართალია, რომ მომეტებული ნაწილი ახლანდელ ერთა წარმოსდგნენ რომელსამე ფეოდალთა ოჯახისაგან, რომელიც დაემკვიდრა მამულზედ და შეიქმნა თითქო შემაერთებელ-ცენტრად. საფრანგეთის სამზღვრები 1789 წელს არ იყვნენ ბუნებრივნი, ან აუცილებლად საჭირონი. კაპეტის დინასტიამ დიდ-ძალი მამული მიუმატა ვიწრო მიწას, რომელიც მას ვერდენის ტრაქტატის ძალით ერგო. ჭვეენების შემოერთების დროს არ ესმოდათ რა არის ბუნებრივი სამზღვარი, ეროვნებათა უფლება, მაზრების ნება. ინგლისის, ირლანდიის, შოტლანდიის შეერთებაც დინასტიის საქმე იყო. იტალიის სალხი დიდ ხანს ვერ გასდა ერთს ერად, იმიტომ რომ ვერც ერთი წვრილი მეფე იტალიის ქვეენებისა ამ

საუკუნემდე ვერ შეიქმნა შემაერთებელ ცენტრად. საკვირველია, რომ საფრანგეთის მტერი და შეუნიშნავმა კუნძულმა, რომელიც თითქმის იტალიას არ ეკუთვნის, მოსცა ამ ქვეყანას სამეფო დინასტია საკოიისა. თვით ჭოლანდიამ თუმცა თავის არსებობა გმირულის თავ-განწირულებით მოიპოვა, მაინც დაუკავშირდა ორანგის სამეფო სახლს და თუ ეს კავშირი დარღვეულიყო, ჭოლანდიაც დიდს შიშში ჩავარდებოდა.

ასლა ვიკითხოთ—ეს კანონი დაურღვეველი კანონი არის? ეჭვველია, რომ არა. არც შვეიცარიას, არც ჩრდილოეთ ამერიკის შტატებს, რომელნიც მაზრების ერთმანერთან შეერთებით წარმოსდგენენ, არა ყავთ არავითარი დინასტია. მე არას ვიტყვი საფრანგეთზედ ამ საგნის შესახებ. ამისათვის მომავლის მწყვდიადში ჩახედვა დაგვჭირდება. ვიტყვი მხოლოდ რომ საფრანგეთის დიდ სამეფო სახლი ისე ძლიერად ერთგნებრივი იყო, რომ მის დამხობის შემდეგ საფრანგეთის ერმა უიმისოდაც შესძლო არსებობა. გარდა ამისა, მეთვრამეტე საუკუნემ ოთხელიმე შესცვალა. ადამიანი, შემდეგ მონობისა საუკუნეთა განმავლობაში, დაუბრუნდა ისევ ძველს სულს, თავის თავისა და თავის უფლებათა ცნობიერებას. სიტყვებმა «მამული და მამულის-შვილი» ისევ ძველებური მნიშვნელობა მიიღეს. ამ სახით შესრულდა უძნელესი საქმე ისტორიაში, საქმე რომელიც შეიძლება შეედარონ ფიზიოლოგიის ცდას—უვნებლად დასტოვონ ცხოველი, რომელსაც ტვინი და გული გამოცლილი აქვს.

მაშ უნდა მივიღოთ რომ ერს შეუძლიან დაარსება უდინასტიოდაც და თვით ის ერნი, რომელნიც დინასტიამ დაარსა, შეიძლება გაშორდენ მას და იცოცხლონ უიმისოდ. უწინ სიმართლე—მთავართა სიმართლე იყო, მაგრამ ესლა მთავართა

სიმართლეს გარდა არის ეროვნებრივი სიმართლე, სიმართლე ერისა. ეს სიმართლე ერისა რა სიბუთზედ უნდა იყოს დამყარებული? რა ნიშნით უნდა იცნობებოდეს? რა ხელ-მოსაკიდი გარემოებაა, რომელიც ერთს ერს განარჩევს მეორესგან?

I ერთნი გვარწმუნებენ: ეს არის რასა ანუ მოდგმა. განგებ შექმნილ განუყოფილებათ, რომელნიც დამყარებულნი არიან ფეოდალიზმზედ, დამოუკრებაზედ, დიპლომატების კონგრესზედ,—თავიანთი დრო მოიკლამეს. ცხოველად დარჩა მხოლოდ სალსთა მოდგმა. ეს არის სიმართლე, სიმართლე კანონისა. ამ თეორიის ძალით გერმანიის მოდგმას ნება აქვს ერთად მოუყროს თავი გაბნეულ ნაწილთ გერმანიის მოდგმისას, თუნდ თვითონაც არ უნდოდეთ მათ ერთმანერთთან დაკავშირება. ამა და ამ მაზრაზედ გერმანიზმის უფლება უფრო ძლიერი უნდა იყოს, ვიდრე მის მცხოვრებლებისა თავიანთ თავზე. ამ გვარად უნდა შექმნან რაღაც ახალი უფლება, მზგავსი ხელმწიფეთა ღვთიურ უფლებისა. ეროვნების პრინციპს უნდა სარჩულად დაუდონ პრინციპი ეტნოგრაფიული. ეს ძლიერი შეცდომაა და მას რომ გაემარჯვა, იქნება ევროპის განათლებაც ძირს დაემხო. როგორც ეროვნების პრინციპი სამართლიანი ჯ კანონიერია, ისე მოდგმაზედ დაფუძნებული პრინციპი შეუსაბამოა და საშიში ნამდვილის წარმატებისათვის.

ძველებურს ტომებში და ქალაქებში, მართალია, მოდგმას პირველი მნიშვნელობა ჰქონდა. ძველის ტომის ხალხი და ქალაქი იყო თითქო დიდი ოჯახი. სპარტასა ჯ ათინაში ყველა მოქალაქენი ერთმანერთის ნათესავნი იყვნენ, ზოგი ახლო, ზოგნი შორეულნი. ასეეე იყო ისრაელებში; ასეეე ეხლაც არაბების ტომებში. ათინიდამ, სპარტიდამ, ისრაელებიდამ გადავიდეთ რომის იმპერიაში. აქ სულ სხვაა. რომის იმპერია

დათუმნდა ჯერ ძალადობით, შერმე არსებობდა სარგებლობისათვის და ამ ძლიერმა კრებამ სრულიად განსხვავებულ ქალაქებისა და თემებისამ დიდი ენება მოუტანა რასის ანუ მოდგმის პრინციპს. ქრისტიანობა თვისის გამთანასწორებელ სასიათით უფრო ძლიერად მისდევდა ამ მიმართულებასა. რომის იმპერიას დაუკავშირდა იგი და ამ ორმა შეუდარებელმა ძალამ გათანასწორებისამ მოაშორა სრულიად კატიბრიობის ისტორიას ეტნოგრაფიული საბუთი საზოგადოების წყობილებისა.

ბარბაროსთა შემოსევამ ერთი ნაბიჯი ვიდევ წინ წაგვადგმევინა ამ საქმეში, თუმცა სხვათერივ კი ჭეონიათ. ბარბაროსთაგან შექმნილ სამეფოთ ეტნოგრაფიულის პრინციპისა არა იცოდენ-რა; იგინი განიყენენ ბარბაროსთა მთავრების ძალისა და სურვილის შესაფერად. ეს მთავარნი მტირედს ყურადღებასაც არ აქცევდნენ, თუ რა მოდგმისა იყო მათგან დაპყრობილი ხალხი. კარლოს დიდმა თავისებურად იგივე მოიქმედა, რაცა ჭქმნა რომმა; ე. ი. შექმნა ერთი იმპერია, შემდგარი სრულიად სხვა-და-სხვა რასისაგან. როდესაც ვერდენის ტრაქტატის შემადგენელთ ორი დიდი ხაზი გაავლეს ჩრდილოეთიდამ სამხრეთამდე, სრულიად არ მიიღეს მხედველობაში, რა რასის ხალხი სცხოვრობდა ამ ხაზების მარჯვნივ ან მარცხნივ. საშუალ საუკუნოებში სამზღვრები რასის მიუხედავად იცვლებოდენ. თუ კაპეტის დინასტიამ ერთად შეჭერიბა საფრანგეთის სახელით ძველის გალიის ადგილ-მამული, ეს იმიტომ კი არ მოხდა რომ ამ პროგინციებს ჭქონდათ სურვილი თავიანთ თანა-მონათესავეებთან შეერთებისა. არც დოფინეს, არც ბრეს, არც პროვანსს, არც ფრანშ-კონტეს არ ასსოვდათ, რომ ერთის ჩამომავლობისანი იყვნენ. მეორე საუკუნეშივე ამოიფხვრა ცნობა

საერთო ძალაზედ და მსოლოდ ჩვენს დროს სწავლულთ გამოიგვლიეს საბუთი გალიის ერთობისა.

ვიტყვით კიდევ, ეტნოგრაფიულ საბუთს არ უმოქმედნია ესლანდელ ერთა შესადგენად. საფრანგეთი ეკუთვნის კელტებს, იბერთა და გერმანთა. გერმანია — გერმანებს, კელტებს და სლავიანებს. იტალიაში ეტნოგრაფია სრულიად არეულ-დარეულია: აქ არეულან ერთმანერთში გალლები, ეტრუსქები, პელასგები, ბერძნები და კიდევ სხვანი, რომელთ თავისა და ბოლოს გაგება შეუძლებელია. ბრიტანიის კუნძულებზედ კელტებისა და გერმანების სისხლი ისე არეულია ერთმანერთში, რომ მეტად ძნელია გაგება რომლის ხალხის სისხლი უფრო მეტია ესლანდელ ინგლისელთა ძარღვებში.

ნამდვილი ეს არის, რომ წმინდა, შეურეველი რასა არსად მოიპოვება და ამიტომ პოლიტიკის ეტნოგრაფიაზედ დამყარება ოცნებაზედ დამყარებაა. ყველაზედ წარჩინებული ქვეყნები—ინგლისი, საფრანგეთი, იტალია იმისთანანი არიან, რომლებშიაც სისხლი უფრო მეტად არეულია. იქნება გერმანია ამ მხრივ განსხვავდებოდეს? იქნება მასში მოიპოვებოდეს წმინდა გერმანიული რასა? რა სათქმელია! მთელი საქართველო გერმანიისა გალიას ეკუთვნოდა; მთელი მისი აღმოსავლეთი, მდინარე ელბიდამ მოკიდებული, სლავიანებით არის დასახლებული; ანიმ ნაწილებში კი წმინდა გერმანები მოსახლობენ, რომელნიც წმინდა გერმანიად მიიჩნიონ? აქ ჩვენ შევხვდეთ იმისთანა საგანს, რომელზედაც საჭიროა, რაც შეიძლება მეტი სათელი მოვეფინოთ და აზრების არევ-დარევა თავიდამ ავიცილოთ.

ბასი რასების თავობაზედ დაუსრულებელ ბასად გადაიქცა, ამიტომ რომ სიტყვა რასა ფილოლოგო-ისტორიკოსებს და ანტროპოლოგო-ფიზიოლოგებს სრულებით სხვა-და-სხვა

მნიშვნელობითა აქვთ მიღებული. ანტროპოლოგებისათვის რასას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ზოოლოგიაში; იგი ანიშნებს ერთს ჩამოძავლობას, ნამდგომლს ნათესავობას. მაგრამ ენების და ისტორიის შესწავლა გვაჩვენებს რომ ადამიანთა ტომი სხვაფერივ უნდა იქმნას კაუოფილი და არ ფიზიოლოგიურად. ფიზიოლოგიურად ადამიანები იყოფებიან მოკლედ გრძელთავიანებად, მაგრამ ამ დაყოფას არა აქვს ადგილი ისტორიასა და ფილოლოგიაში. იმ ადამიანთა დასში, რომელმაც შექმნა არიული ენები და წყობილება, იყვნენ მოკლე-თავიანებიც და გრძელ-თავიანებიც. იგივე უნდა ითქვას იმ დასზედ, რომელმაც სემიტური ენა და წყობილება შეჰქმნა. ერთის სიტყვით, ზოოლოგიურად კაცმა უფრო ბევრით ადრე დაიწყო ასებობა, ვიდრე კულტურულად, ვიდრე შეჰქმნიდა ენას და განათლებას. პირველს არიულს დასს, პირველ სემიტურს დასს, პირველს დასს ტურანულს არავითარი ფიზიოლოგიური ერთობა არა ჰქონიათ. ამ დასთა შედგენა მომხდარა ისტორიის დროს, ვთქვათ 15,000 ან 20,000 წლის წინად. მაგრამ ადამიანის ზოოლოგიური შექმნა ყამთა წყვდიადში იკარგება. ის რასა, რომელსაც ფილოლოგიურად და ისტორიულად გერმანიულს რასას ეძახიან, მართლა რომ განსხვავებული ოჯახობა ადამიანთა წათესავისა, მაგრამ განა ანტროპოლოგიურადაც განცალკევებულს ოჯახობას შეადგენს? სრულიადაც არა. გერმანთა მიიღეს განსხვავებული სახე მხოლოდ ფამდენიმე საუკუნეს წინად ქრისტეს დაბადებისა და ამ დროს გერმანიელნი მიწიდგან ხომ არ იშობებოდენ! ამაზედ წინ იგინი შეადგენდენ სლავიანებთან ერთადერთ დიდ ხალხთა გროვას, რომელსაც სკითებს უწოდებდენ და არ იყვნენ მათში გამორჩეულნი. კაცობრიობაში ეხლა ინგლისელსაც განსხვავებული სახე აქვს, მაგ-

რამ ეს სასე, რომელიც ეკუთვნის ინგლის-საქსონის რასას, არ არის კეისრის დროის ბრეტონელისა, ჭენგისტის დროის ანგლო-საქსონელისა, არც ჯუტის დროის დანიელისა, არც უილიამ დამპყრობელის დროის ნორმანდიელისა; იგია საერთო ნაკოფი ოთხელის მათგანისა. ფრანცუზი არ არის არც გალი, არც ფრანკი, არც ბურგუნდი, იგი თითქო ამოძვრა იმ ქვაბიდამ, რომელშიაც საფრანგეთის მეფის სელმძღვანელობის ქვეშ სდუღდენ სხვა-და-სხვა ელემენტები. ყერსეისა და გერნესეის *) მცხოვრებნი შთამომავლობით იგიგე არიან, რაც საფრანგეთის ნაპირებზედ მცხოვრებნი ნორმანდიელები. მეთერთმეტე საუკუნეში თვით ოთხლად გამოცდილს თვალსაც გაუჭირდებოდა ამათ შორის უბრალო განსხვავების პოვნა. რაღაც შემთხვევით საფრანგეთის მეფე ფილიპე-ავგუსტმა არ დაიპყრა ეს კუნძულები ნორმანდიასთან ერთად, და აი, შვიდასის წლის განმავლობაში განშორებულნი ეს ორი ხალხი არამც თუ უცხონი არიან ერთმანერთისათვის, სრულიად არავითარი მზგავსება არ არის მათ შორის. ამიტომ, როგორც ჩვენ ისტორიკოსებს გვესმის, რასა ბძისთანა რამ არის, რაც შეიძლება შეიქმნას და ბოლოს. რასის გაცნობა ფრიად საჭიროა იმისთვის, ვინც კაცობრიობის ისტორიას იკვლევს, მაგრამ პოლიტიკაში კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ევროპის რუკა ისეა შედგენილი, რომ რასისათვის ყურადღება არ არის მიქცეული და პირველნი ერნი ისინი არიან, რომლებშიაც არეული სისხლი მეტია.

პირველში რასას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ თან-და-თან ეს მნიშვნელობა მისუსტდა. კაცობრიობის ისტორია და ზოოლოგია ერთი როდია. ისტორიაში ყველაფერი

*) ეს ორი კუნძული საფრანგეთის ახლო მდებარეს.

რასაზედ არ არის დამოკიდებული, როგორც ზოოლოგიაში კატებისა და კურდღლების გარჩევის დროს და არავის არა აქვს ნება უსინჯავდეს გამვლელ-გამომავლელს კეკვას, კისერში სწვდებოდეს და ეუბნებოდეს: «შენ ჩვენის სისხლისა ყოფილხარ; შენ ჩვენ გვეკუთვნი.» ანტროპოლოგიურს თვისებას გარდა არის კიდევ სხვა რამ: არის გონიერება, სამართლიანობა, ჭეშმარიტება, რომელიც ყველასთვის ერთი და იგივეა. ეტნოგრაფიაზედ დამყარებული პოლიტიკა სათუოა, თქვენ რომ სხვის საკნებლად მომართოთ იგი, მერე სხვანი თქვენს საკნებლად მოისმარებენ. ნემეცებმა რომ ისე მაღლა ამართეს დროშა ეტნოგრაფიისა, დარწმუნებულნი კი არიან რომ სლავიანებიც არ მოინდომებენ საქსონიის და ლუზიჩის სოფლების სასელების გასინჯვას, არ მოსძებნიან ვილცებისა და ობოტრიტების კვალს და არ შოსთხოვენ ანგარიშს—ჩვენი წინაპრები თქვენმა იმპერატორებმა რად დაჭსოცეს და დაჭყიდესო? ყველასთვის საჭიროა ბეკრის დავიწყება იცოდეს.

მე დიდად მიყვარს ეტნოგრაფია; ამ მეცნიერებას საკვირველი ინტერესი აქვს; მაგრამ მე მინდა იგი იყოს თავისუფალი და პოლიტიკაში არ ერეოდეს. ეტნოგრაფიაშიაც, როგორც ყოველს სწავლაში, სისტემები იცვლება, ეს არის აუცილებელი პირობა წარმატებისა. მაშ სისტემებთან ერთად ერნიც უნდა შეიცვალონ? სასელმწიფოთა სამზღვარნი მეცნიერების ცვლილებას უნდა მისდევდენ? მამულის სიყვარული უნდა რომელსამე მეცნიერულს გამოკვლევაზედ იყოს დამოკიდებული, რომელიც თვითონაც სათუოა? უნდა მისვიდეთ ჯ უთხრათ რომელსამე მამულის-შვილს: «შენ სცდებოდი: შენ ამა და ამ საქმისათვის ღვრიდი შენს სისხლსა. შენ შენი თავი გელტი გაგონა და გერმანი კი ყოფილხარ.» მერე ათის წლის

შემდეგ, იგივე მამულის-შვილი სლავიანად უნდა აღიარონ. ნუ დავაყენებთ ცრუ გზაზედ მეცნიერებას, ნუ გავხვევთ ამ საქმეში, რომელშიაც ამდენი ინტერესებია გადახლართული. დამერწმუნეთ, რომ თუ კისრად დავდეთ მას დაეხმარონ დიპლომატიას, - ხშირად პირფერობაში დამნაშავე აღმოჩნდება იგი. მეცნიერებას სხვა არაფერი საქმე აქვს: მოეთხოვოთ მას მხოლოდ ჭეშმარიტება.

II რაც რასაზედა ვსთქვით, იგივე ითქმის ენაზედ. ენა იწვევს სალხს შესაერთებლად, მაგრამ ძალას კი არ ატანს. ჩრდილოეთის ამერიკის შტატები და ინგლისი, ესპანიულ ამერიკის რესპუბლიკები და ესპანია ერთისა და იმავე ენით ლაპარაკობენ, მაგრამ ერთს ერს არ შეადგენენ. შვეიცარიაში კი, ამ შვეიცარიაში, რომელიც საგანგებო სასელმწიფოს შეადგენს, რადგან თავის სხვა-და-სხვა ნაწილების თანხმობით არის დარსებული,—სამი თუ ოთხი ენაა. ადამიანში არის რაღაც ენაზედ უმაღლესი,—ეს არის სურვილი, სურვილი შვეიცარიელთა ერთად ყოფნისა, მიუსედავად ენათა განსხვავებისა, უფრო შესანიშნავია, გიდრე ენის ერთიანობა, ხშირად ნაყოფი ძალადატანებისა. საფრანგეთისათვის სასასელოა, რომ იგი თავის დღეში არა ცდილობდა ძალდაძალობით უვეღგან ერთის ენის შემოღებას. განა არ შეიძლება, რომ ხალხი ერთსა და იმასვე გრძნობდეს ერთსა და იმასვე აზრობდეს, ერთი და იგივე უყვარდეს სხვა-და-სხვა ენით? ეს არის ესლა ვამბობდით, რომ საშიშია საკმაო-შორებრივი პოლიტიკა ეტნოგრაფიაზე დამყარდესო. არა ნაკლებ საშიში იქნებოდა, რომ იგი შედარებრივს ფილოლოგიაზედ დაგვემყარებინა. დავუტოვოთ ამ შესანიშნავს მეცნიერებას მისი თავისუფლება, ნუ შევურევთ იმისთანა რასმეს, რასაც შეუძლიან მხოლოდ მისი ამღვრევა. ენაც

იმიტომ აძლევენ პოლიტიკურს მხრეშენელობას, რომ იგი ჭეშ-
ნიათ ნიშანი რასის განსხვავებისა. ეს დიდი შეცდომაა. პრუ-
სიაში ებლა მხოლოდ ნემეცურად ლაპარაკობენ, მაგრამ რამ-
დენიმე საუკუნის წინად იქ სლავიანურადაც ლაპარაკობდენ. თუ
უელსის ქვეყანა ინგლისურს ენაზედ ლაპარაკობს, გალია ეს-
პანია ლაპარაკობენ ლათინურის ენის შტოზედ; ეგვიპტე ლა-
პარაკობს არაბულად; ერთის სიტყვით მაგალითები მრავალია.
თვით დასაწყისშიაც ენის მსგავსება რასის მსგავსებას არა ნიშ-
ნავდა. ავიღოთ რომელიმე ტომი პიველ-არიელთა ან პირველ-
სემიტთა. მასა ჭყავდა მოხები, რომელნიც თავიანთ ბატონე-
ბის ენით ლაპარაკობდენ და სშირად სრულიად სხვა რასისანი
იყვნენ. კიტყვით განმეორებით: ეს დაყოფა ინდო-ევროპიულ,
სემიტურ და სხვა ენებისა, ნაყოფი შედარებრივის ფილოლო-
გიისა, სრულიად არ ეთანხმება ანტროპოლოგიისაგან ხალხთა
რასებად დაყოფას. ენები ისტორიას უშობნია და არ ანიშნე-
ბენ რა სისხლისანი არიან ის ხალხნი, რომელნიც მასზედ ლა-
პარაკობენ. მათ არც უნდა იმოქმედონ კაცის სურვილზედ,
როდესაც იგი აპირებს რომელსამე ადამიანთა ოჯახთან საუკუ-
ნოდ, სიკვდილ-სიცოცხლით შეერთებას.

განსაკუთრებულის ყურადღების მიქცევა ენაზედ, რო-
გორც რასაზედ, მავნებელია ეს საშიშარი. როდესაც ამ საგანში
გადაჭარბებენ, ასე ჭეშნიათ ნაციონალურს პოლიტიკას მივ-
დევთო და კმაყოფილნი გარშემო გარდუვალს ზღუდეს იკლე-
ბენ. ანებებენ თავს თავისუფალ ჭაერს, ვრცელს ასპარეზს კაცთ-
მოყვარეობისას ეკედლებიან სულის შემხუთველ ჭაერში თა-
ვიანთ თანა-მგრძნობებს. ამაზედ ცუდი არა არის-რა კაცის
გონებისათვის, არც არაფერი ამაზედ მავნე განათლებისათვის.
ნუ დავიკიწყებთ იმ ძირითად დედა-აზრს, რომ კაცი არის ჯერ

გონიერი და ზნეობრივი არსება, ვიდრე მიიღებდეს იგი ამა ან ამ ენას, გახდებოდეს წევრი ამა და ამ რასისა და გაჭეებოდეს ამა და ამ კულტურას. ოერანტუზულ, ნემეცურ, იტალიურ კულტურის წინად არის კულტურა კაცობრიობისა. მიჭვდეთ აღდგენის დროის დიდთა კაცთა: ისინი არ იყვნენ არც ოერანტუზები, არც იტალიელები, არც ნემეცები. ძველის დროის შესწავლით მათ შეიგნეს სიდუმლო კაცის გონების ნამდვილის გავითარებისა და მიეცნენ მას სულით და ხორცით. როგორ კარგათა ჭვნეს!

III ესლანდელის ერის დამყარებისათვის საკმარ სათუმველს არც სარწმუნოება გვაძლევს. პირველში სარწმუნოება ადამიანთა საზოგადოებაზედ იყო დამოკიდებული და ადამიანთა საზოგადოება იყო გავრცელებული ოჯახი. სარწმუნოება და მისი წესები ოჯახის წესები იყვნენ. ათინის სარწმუნოება იყო თაყვანის-ცემა ათინისა, იმის მითიურ დამფუძნებელთა, მის კანონებისა, მის ჩვეულებათა. ამ სარწმუნოებაში ვერა ნახავდით კვალს დოგმატურის სწავლისას. ეს სარწმუნოება იყო სწორედ სარწმუნოება სასულმწიფოსი. ვინც მას უარ-ყოფდა, ათინელად ვეღარ დარჩებოდა. ეს იყო თაყვანის ცემა განსორციელებულ ავრაპოლისადმი. ვინც მის ტრაპეზზედ შეჭეიცავდა, ეს იყო ნიშანი, რომ მზა იყო მამულისათვის თავის დადებისა. ეს სარწმუნოება ჭეავდა ეხლა ჩვენში წილის-ყრას სამსედრო სამსახურისათვის და დროშის პატივის-ცემას. სარწმუნოების უარ-ყოფას მაშინ იგივე მნიშვნელობა ჭქონდა, როგორც ჩვენში სამხედრო სამსახურისაგან უარის თქმასა აქვს. ეს იქნებოდა ნიშანი ათინელობისაგან ხელის-აღებისა. რასაკვირველია, ამ სარწმუნოებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა ამისთვის, ვინც ათინელი არ იყო. ამიტომ არავეს არ

ატანდენ ძალას მათის რჯულის მიღებისას. თვით მონანიც კი არ მისდევდენ ათინაში ამ სარწმუნოებას. შუა-საუკუნოებშიაც ასე იყო ზოგიერთ მცირე სახელმწიფოებში: კარგი გენერალი არ იყო იგი, ვინც წმინდა მარკოზის სახელით არ ითვიცავდა; კარგი ამალფიტელი არ იყო, ვინც წმ. ანდრიას უგელა სხვა სამეფოების წმინდანებზედ მაღლა არ დააყენებდა. ამ ბატარა საზოგადოებებში მაშინ კანონიერად ითვლებოდა იგი, რასაც მასუკან დაარქვეს სახელი დევნისა, მტარვალობისა,—და ისე არავინ აქცევდა მას უურადღებას, როგორც ახლა არ აქცევენ უურადღებას უქმე დღეებში და ახალ-წელიწადს მილოცვას.

როგორც სპარტაში და ათინაში იყო, ისე არ იყო ალექსანდრე მაკედონელის სამეფლობელოში, ისე არ იყო კიდევ უფრო რომის იმპერიაში. დევნა ანტიოქ ეპიფანის მიერ და მისი სურვილი რომ მთელს აღმოსავლეთში ოლიმპიის იუპიტერის თაყვანის-ცემა გაავრცელებინა; რომის იმპერიის სურვილი ტრუ-სახელმწიფო სარწმუნოების დამკვიდრებისა—იყო შეცდომა, ავ-კაცობა, სრული უგუნურება. ახლა ჩვენი მდგომარეობა ცხადია. ახლა ხალხს ერთგვარი სარწმუნოება რადიოლა აქვს. უგელას ისე სწამს და ისე მოქმედებს, როგორც შეუძლიან, როგორც უნდა. სახელმწიფოს აღარა აქვს სარწმუნოება: შეგიძლიანთ იყოთ ფრანტუზი, ინგლისელი, გერმანიელი და თან კათოლიკე, პროტესტანტი, ებრაელი, ანუ სრულიად ურწმუნო. სარწმუნოება თვითეულის საქმეა, მის გონებას შეეხება. აღარ არის ხალხთა დაყოფა კათოლიკებად, პროტესტანტებად. ამ 52 წლის წინად სარწმუნოებამ დიდი მნიშვნელობა იქონია ბელგიის დაარსებისათვის და უგელას ცნობიერებაში ჩაენერგა, მაგრამ იგი იმისთანა მიზეზებმა გამოიწვიეს, რომელნიც საზღვრავენ ხალხთ ერთმანერთს შორის.

IV. საერთო ინტერესის ქონვა, რასაკვირველია, მეტიერი კავშირია სალხთა შორის, მაგრამ განა მარტო ინტერესს შეუძლიან დაჭბადოს ერი? არა მგონია. საერთო ინტერესის ქონვა ჭბადებს ვაჭრობის ტრაქტატებს. ერთვნებაში გრძნობაც არის. ერთვნობა სულიც არის და სორტიც. ვაჭრობის ტრაქტატებით დაკავშირებულნი სახელმწიფონი (Zollverein) სამშობლოს როდი შეადგენენ.

V. გეოგრაფიას, ანუ როგორც ამბობენ, ბუნებრივს სამზღვრებს, დიდი გავლენა აქვს სალხის ერებად დაყოფაზედ. გეოგრაფია ერთი საფუძველთაგანია ისტორიისა. რასები მდინარეებს გაჭყოლიან და მთებს შეუჩერებიათ. პირველნი შველიდენ ისტორიულს მოძრაობას, მეორენი წინ უდგებოდენ. მაშ ამისათვის უნდა ვირწმუნოთ, როგორც ზოგიერთთა ჭგონიათ, რომ ერის გავრცელების საზღვრები რუკაზედ არიან ალნიშნულნიო და ყოველს ერს ნება აქვს მიითვისოს, რაც კი მის საზღვრებელოს შემოსარგვალებლად საჭიროა; მივიდეს ამა ან ამ მთამდე, ამა და ამ მდინარემდე, რომელიც წინ-და-წინვე ბუნებრივ საზღვრად გვაქვს წარმოდგენილი? არა მგონია, სხვა რომელიმე აზრი ამაზედ უფრო თვით-მნებელობრივი და მაგნებელი იყოს. ამ მსჯელობით შეიძლება გამარტლდეს ყოველივე ძალ-დატანება. მერე რომელია ბუნებრივი საზღვარი? მთები, თუ მდინარეები? მართალია, მთები სალხებს ერთმანერთს აშორებენ, მაგრამ მდინარეები უფრო უახლოვებენ ერთმანერთს. ამას გარდა ყველა მთები სომ ვერ იქმნებიან სასულმწიფოთა საზღვრად. რომელ მათგანთ შეუძლიანთ საზღვრების შედგენა და რომელთ არა? ბიარიციდამ ტორნეამდე იმისთანა მდინარე არ არის, რომელსაც განსაკუთრებული თვისება ჭქონდეს საზღვრად ყოფნისა. ისტორიას რომ მოენდომები-

ნა რეინის მაგიერად შეიძლებოდა ბუნებრივ სამზღვრად ეყოფილიყო ლუარა, რენა, მეზა, ელბა, ან ოდერი, იმ ბუნებრივ სამზღვრად, რომლის გულისათვისაც რამდენჯერმე დაარღვიეს ბუნებრივი უფლება, დაეუმნებული კაცთა ნება-ყოფლობაზედ. მიზეზად კიდევ სტრატეგიული საბუთები მოჰყავთ. მართალია, როდესაც საჭიროება მოითხოვს, დათმობა უნდა, მაგრამ დათმობასაც თავისი სამზღვარი აქვს,—თუ არა, ყველა თავისთვის სამსჯედრო სამზღვრებს მოითხოვს და გაჩნდება დაუსრულებელი ომი. არა, ერი არ არის ნაყოფი არც დედა-მიწისა, არც რასისა. დედა-მიწა იძლევა მსოლოდ ნიადაგს, ველს ბრძოლისა და შრომისას; ადამიანი იძლევა სულს. იმ წმინდა არსების შექმნაში, რომელსაც ხალხი ჰქვიან, ადამიანია თითქმის მსოლოდ ბრიგი მონაწილე. არავითარი ნივთიერი რამ არ არის საკმარისი. ეროვნება არის გონებრივი არსება, ისტორიის მრავალ-სახოვან გარემოებათაგან წარმომდგარი, გონებრივი ოჯახობა ან არა დასი ადამიანთა მიწის უსწორ-მასწორობით ერთად შეკავშირული. ჩვენ გავსინჯეთ, რომ ამ გონებრივ არსების შექმნისათვის არა კმარა არც რასა, არც ენა, არც საზოგადო ინტერესი, არც სარწმუნოების ერთობა, არც გეოგრაფია, არც სამსჯედრო საჭიროება. მაშ რაღაა საჭირო? რაცა ვსთქვი, თითქმის იგივე კმარა ამ კითხვაზედ ბასუსის მისაცემად და დიდ სანტ აღარ მომინდება თქვენის ყურადღების მიზიდვა.

III

ერი არის სული, გონებრივი არსება. ორი რამ შეადგენს ამ სულს, ამ გონებრივს არსებას და ეს ორი რამ თითქმის

ვილი, მისი საჭირო ება. თქვენ მეტყვით რომ ბოლოს ყოველს ერს მოელოდეს დაყოფა, დაწვრილება და ის კანონი, რომელიც აფუძნებს ერის არსებობას კაცის სურვილზედ, რომელიც ხშირად უსაფუძვლოა, არ დაინდობს ამ ხნიერს ორგანიზმებსაცა. მართალია ამ გვარ საქმეში უჯიდურესობამდე მისვლა არ ვარგა. ეს ჭეშმარიტება საზოგადო ჭეშმარიტებაა და მხოლოდ საზოგადო მნიშვნელობა აქვს. ადამიანის სურვილი იცვლება, მაგრამ რა არ იცვლება დედა-მიწის ზურგზედ? ერნი საუკუნო არსებანი როდი არიან. მათ დასაწყისი აქვთ და დასასრულიც უნდა ჰქონდეთ. მათ ადგილს უთუოდ ევროპის კონფედერაცია დაიჭერს. მაგრამ იმ საუკუნის კანონი, რომელშიაც ჩვენა ვცხოვრობთ, ასეთი არ არის. ეხლანდელის დროისთვის ერების არსებობა ასასრგებლოა, საჭიროა. ეს არის ნიშანი თავისუფლებისა. თავისუფლობა დაიმსობოდა, თუ მთელს ქვეყნიერებას ერთი კანონი ჰქონდა და ერთი უფალი ჰყოლოდა.

თავის სხვა-და-სხვა გვარის ნიჭიერ, რომელიც ხშირად ერთი-ერთმანერთს ეწინააღმდეგება, სხვა-და-სხვა გვარი ერი ემსახურება საერთო საქმეს განათლებისას. ყველა აძლევს ბანს იმ დიდს კონცერტში, რომელიც კაცობრიობის უძვირფასესი და უმაღლესი საქმეა. ცალ-ცალკე ყველას თავისი ნაკლულევანება აქვს. მე ხშირად მიფიქრია, რომ რომელს კაცსაც კი ის ნაკლულევანება ექნებოდა, რაც ერის ღირსებად მიახნიათ, ვინც კი სახელს გამოუდგებოდა, ვინც იქნებოდა ერსავით შურიანი, თავის-მოუკარე, მოჩხუბარი; ვინც ყოველს შემთხვევაზედ სმალს მისწვდებოდა,—ამისთანა კაცი მართლა რომ ძნელად ასატანი იქნებოდა. მაგრამ ეს კერძო ნაკლულევანებანი ერთობაში ადვილად სჩანან. საწყალო კაცობრიობა! რამდენი იტანჯე ? რამდენი ტანჯვა კიდევ მოგელის მომავალში. ნეტავი ახლა მაინც

ნათელი ჭკუა წაგიძღვეს წინ და აგაცილოს აურიცხველი საშიშროება, რომლითაც შენი გზა სავსეა.

ვიდრე ჩემს აზრს—კაცი არ არის მონა არც თავის რასისა, არც თავის ენისა, არც თავის სარწმუნოებისა, არც წინაპართა მიმდინარეობისა, არც მაზალის მთების მიმართულებისა, ადამიანების ერთობა, ჭკუით განათლებული და გრძნობით გამთბარი შექმნის ზნეობრივს ცნობიერებას, რომელსაც ჰქვიან ერი. ვიდრე ეს ზნეობრივი ცნობიერება ამტკიცებს თვის ძალას ცალკე პირის თავ-განწირულობით საერთო საქმის გულისათვის, იგი კანონიერია და აქვს არსებობის უფლება. თუ იმის საზღვრების თაობაზედ ლაპარაკი ასტუდეს, ჰკითხეთ საცილობელს მიწაზედ დასახლებულებს. იმათა აქვთ უფლება ამ საქმეში თავიანთ აზრი იქონიონ. ეს გაციანებს მეტადვიდიკაში გამოცდილ პოლიტიკოსებს, ამ შეუცოდველთ, რომელნიც თავიანთ სიცოცხლეს თავის-თავის მოტეუებაში ატარებენ ან რომელნიც თავიანთ ამაღლებულ მსჯელობიდამ ზიზღით დასცქერიან ჩვენს მიწა-მიწა მიარულს. «სალსა ვსთხოვ! რა პასუსია! რა ბავშვობაა! ეს საცოდავი აზრები ფრანცუზებისა უნდა იყოს, რომელთაც უნდათ დიპლომატია და ომი უბრალო ბავშურის საშუალებით გააუქმონ.» მოვითმინოთ, ბატონებო. დეე, ამ პოლიტიკოსებმა მოიჭამონ თავიანთი დრო; ავიტანოთ ზიზღი ძლიერთა. იქნება ბეკრის უნაყოფო წოწიალის შემდეგ ისევ ჩვენ უბრალო საშუალებას დაუბრუნდენ, ზოგჯერ თუ გვსურს, რომ მომავალში ჩვენი აზრი დამკვიდრებულიყოს, უნდა მოვითმინოთ, მისი ყარ-ყოფა აწმყოში.

* *

კაცი ის არის,
ვინც ოთხლს მიწას ღვრის
და დაუდგრომლით, სელით ძლიერით
დედა - მიწასა
და მის წიაღსა
ღვთისა მადლობით, მხიარულებით
აპობს და არღვევს;
დაღალვას არ სდევს,
და მუნით ნაყოფს აღმოაცენებს;
და იმ ტკბილს ნაყოფს
ქვრივ-ობერთ უყოფს
ან უშრობს მშიერთ ობოლთა ცრემლებს.
კაცი ის არის,
ვის გულსაც ესმის
ციური სიტყვა «ძმობა, ერთობა»
და სიყვარულით
აღვსილის გულით
დავრდომილთ მოუკასთ მოუსმარება;
ვინც საქმით ქვეყლით
გონებით, სწავლით
მიასლოვდება მაღალს ღვთაებას;

ვინც ცდილობს მისწვდეს
და ჭკუით მისვდეს
სულმთო განგების იდუმალ ნებას;
გამოიძიოს,
გამოიკვლიოს
დიდი, უსამძღვრო ღვთისა ქმნილება
დაჭვოგოს მასში,
იმ ღვთის დიდს ღვაწლში,
მის საიდუმლო, — ჭეშმარიტება ;
და მის ძლიერით
სიტყვით და აზრით
ვით აბგვარ-აბჯრით მთლად შეიჭურვოს,
და იგი სიტყვა
მღელვი ვით ზღვა
შალლა, უშიშრად ერთა ამსილოს.
ვინც უდგას შორსა,
სიცრუეს, შურსა
ვის არ ეხება ბირ-მოთნეობა,
აქვს სული წრფელი,
სიტყვა ნათელი
გულს უმარხია, ჭეშმარიტება.
ვის არა რცხვენის,
ვის არ ეშინის
იგი მაღალთა მაღლა ასმინოს
და იმ ღვთაებას,—
ჭეშმარიტებას,
არ დაიზოგოს, თავი შესწიროს.

სად არის კაცი;
მე არსად ვიცი;
ვერსად ვერ ვპოებთ მას წმინდა არსსა.
იყო კი ერთი—
ის იყო ღმერთი,
ისიც უგუნურთ კაცთ აცვეს ჯვარსა.

ვ. ო.

შინაური მიმოხილვა.

რა უნდა ჰქონდეს საგნად წესთა ცვლილებასა ჩვენში—საერთველო წესთა ცვლილების კომისია რით არის ჩვენთვის საყურადღებო—ჩვენი შუამდგომელობა—ვინ ითავებს— ჩვენი ღიდკაცობა—კანონიერი სახსარი.

შარშან «ივერიის» მესამე წიგნის «შინაურ მიმოხილვაში» ეს აზრი იყო გამოთქმული: «რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, ს

მოითხოვდა არამც თუ ისტორიული მდინარეობა სამართლიანის აზრისა, არამც თუ შორ-მხედველობა დამჯდარის ჭკუისა, არამედ თვითონ სასულმწიფოს პირდაპირი ინტერესიც. თუ რამ სამდურავი, გულის-ტკენის სმა, ჩიგილი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ ამ ვრცელის იმპერიის სხვა-და-სხვა ადგილებში, ამისი მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა და ეროვნობა, რომელსაც თავის განსაკუთრებულს ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, გულ-სულ-დაკრეფილი იყო და ხმა-ამოუღებლივ სხვის მაყურებელი. რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის აქამომდე აქვს გამოკვლეული, და დადგენილი დედა-აზრი მასზედ თუ—სად თავდება უფლება ეროვნობისა და სად იწყობა სასულმწიფოსი.»

ეს სიტყვები მოგვაგონა იმ გარემოებამ, რომ თ. დუნდუკოვ-კორსაკოვის მობძანებისკენ უმალ ხმა დაკარდა კავკასიას საერთოდ სამართველო ცვლილება მოელისო. ეხლა თვით მთავრობისაგან გამოცხადებულია, რომ ამ ცვლილებისათვის საკუთარი კომისიაც არის დანიშნული. ჩვენ არ კიცით, ამ კომისიას ვალად დაუდეს თუ არა იმ დედა-აზრის აღმოჩენა და დადგენა, რომლის ძალითაც ეროვნობის და სახელმწიფოს არსებითნი მოთხოვნილებანი უნდა ერთმანერთს შეეთავრდოს და თვითეულს მათგანს მისი საკუთარი სარბიელი შემოეხაზოს. ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ თუ კომისიას ეს საგანი ვალად არ დასდეს, მაშინ კომისიას, ჩვენს თვალში, თვისი უალრესი მნიშვნელობა ჩამოერთმევა და მისი მოქმედება ისე საინტერესო და საყურადღებო არ იქნება, როგორც პირველ შემთხვევაში იქმნებოდა. თუ ცვლილების სურვილი აღძრულია იმ მი-

ზეზით, რომ ძველნი წესნი დაწუნებულნი არიან, მაშასადამე ისიც ცნობილი უნდა იყოს, რომ წუნი ძველის წესებისა რაში უფრო მდგომარეობდა. ჩვენის თვიქრით, ერთი არსებითი ლ უდიდესი ნაკლულევანება ძველის წესებისა ის იყო, რომ ერევნობის საჭიროებანი და სახელმწიფოსი ერთმანერთში გარჩეული არ იყო. ყოველისთვრი სახელმწიფოს ანაცვალეს და ერეოვნობას გზა შეუკრეს, თუმცა სახელმწიფოს ჭეშმარიტი ვითარება, კარგად გასინჯული გზა და საჭიროება ამისთანა მსხვერპლს თავის დღეში არ ითხოვს, რადგანაც ერეოვნობა და სახელმწიფო ადვილად მოსათავსებელნი არიან ერთმანერთში და საცილობელი, ერთმანერთის დამაბრკოლებელი არა აქვთ-რა. ამას მარტო ღრმად დაკვირვება უნდა, სალასი გული და მიუდგომელი ჭკუა.

ამიტომაც თუ ქვეყნის სიკეთეს და ბედნიერებას ნიშნად წინ დაუსმენ კამმისიას და განზრახულს ცვლილებას ამაზედ მიმართვენ, მაშინ სწორედ ეგ საგანი—ერეოვნობის და სახელმწიფოს ერთმანერთში მოთავსებისა—უნდა განსაკუთრებით გამოკვლევინონ, ნამეტნავად ჩვენში, და ცვლილების დედა-ბოძად დაადებინონ. ჩვენ ამას წინადაცა ვსთქვით *) და ეხლაც სიტყვა-სიტყვით ვიმეორებთ, რომ «ვიდრე წესების ცვლილებას შეუდგებიან ჩვენში, ჯერ უველაზე უწინარეს გამოცნობილ და აღიარებულ უნდა იქმნას ის თუ—რა თვალით და რა გულით უნდა გვიყურონ ჩვენ; უნდა გამოცნობილ იქმნას, კარგად განსაზღრულ და ბეჯითად განმარტებულ თუ—ვინა ვართ ჩვენ და რანი ვართ, რომ არავინ დაგვწამოს მიდგომით ლაპარაკი, ჩვენ მოვიყვანთ აქ ერთის რუსის მწერლის ნათქვამს

*) «ივერიის № XII «შინაური მიმოხილვა.»

ამ საკანზედ: ჩვენ, რუსებმა, ამბობს იგი: არ უნდა დავიკიწყოთ თავის დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიჭერია; რომ ჩვენ თანასწორნი ძმები ვართ ლ არა მძლავრი ბატონები. ჩვენ არ უნდა დავიკიწყოთ, რომ ქართველნი შემოვბდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ ლ უცხო ჯიშმა, უცხო სარწმუნოებამ და უცხო ჩვეულებამ არ შთანთქას. ამიტომაც ყოველს ქართულს, ყოველსავე ქართველთაგან ისტორიით შეძენილს, ქართველთაგან პატივ-ცემულს ლ წმინდანად აღიარებულს, ყოველსავე განსაკუთრებულს თვისებას ქართველისას იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შევუწყოთ, რამდენადაც ყოველს ფერს ჩვენს საკუთარს რუსულს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მეორეს ძმურად შეეწყოდეს, ერთი მეორეს შეემსგავლოს და არა იმაში, რომ ერთის აღამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაჭყლაპოს. ყოველივე სახე ერისა, ყოველივე ერი ერთ-გვარად ბუნებრივია და ერთ-გვარად კანონიერი, აგრეთვე ყოველივე ჩვეულება და თვისება.»

თუ ამ გრძნობით და ამ სამართლიანის აზრით არ შეუდგებიან ჩვენში ცვლილების საქმეს, ყოველივე ცვლილება სახელდახელო საქმე იქმნება, უსულო, უგულო, უსიტყვო და გამოუსადეგი ქვეყნისათვის ცალკე და სახელმწიფოსთვის საზოგადოდ. მაშინ ცვლილება ჩანოვნიკის ერთის სკამიდან მეორეზედ გადახტუნება იქნება, კანცელიარიების სახელების შეცვლა და ბევრი-ბევრი ორიოდ გროშის გამოზოგვა და სხვა არაფერი.

არ ვიცით, ჩვენი შუამდგომელობა რამოდენად გასწრის, მაგრამ მაინც კიდევ ეგ შუამდგომელობა ჩვენ უნდა ვიკისროთ

და ქვეყანას გავუწიოთ ამ მხრით სამსახური. ჩვენი წმინდა მოვალეობა დღეს ის არის, რომ მთავრობამ ჩვენგანა ჭსცნოს ჩვენი გულის-ტკივილი და ჩვენის ნატვრის საგანი. ახალის მთავარმმართებლის გულ-მტკივნეული სიტყვები ჩვენის ქვეყნის შესახებ, მისი მტკიცედ გამოთქმული აღთქმა, რომ, რაც შესაძლოა, არავითარს ღონისძიებას არ დაიშურებს ჩვენის ქვეყნის აღმატებისათვის, მისი მტკიცედვე გამოთქმული სურვილი, რომ თვითონ საზოგადოებაც მოეშველოს ქვეყნის განწყობის საქმეში, იმედს გვაძლევს, რომ აქაური უმაღლესი მთავრობა სიამოვნებით მიიღებს ყოველსავე რიგიანად გამოკვლეულს, დამტკიცებულ ჭკუით შემუშავებულს აზრს მასზედ თუ—რა გზით და რა განზრახვით უფრო შესაფერია, გამოსადეგი და ნაყოფიერი ცვლილების მოსდენა.

ეს დიდი და წმინდა მოვალეობა, რომელიც დროთ-ვითარებამ ჩვენ ზურგზედ წამოგვიდა, მძიმე ტვირთია და დიდის ყურადღების ღირსი. როცა ჩვენი შვილები ჩვენ, მამებს, განგვიკითხავენ, პირველად ამას გვეტყვიან: ეს ამისთანა შემთხვევა გვონდათ და რა ჭქენით ქვეყნისათვისა ლ თქვენის შვილებისათვისაო. რომ პირ-ნათლად დავხვდეთ ამ განკითხვის დღეს, რომ სირცხვილით პირზედ ხელი არ ავიფარეთ ჩვენთ მომდევართ წინაშე, რომ ჩვენი ხსენება საწყევარად არ გავისადოთ, მაგ მძიმე ტვირთის უნდა ყოველის ჩვენის სულიერის და ხორციელის ძალით ცნობიერად და წინ-დახედვით გავუძღვეთ.

ვინ არის ჩვენში ამისთანა სასახელო საქმის ღირსეული მეთაური? ვინ გამოიდებს თავს? ეი კითხვანი, რომელთაც, ჩვენდა სამწუხაროდ, პასუხი ჯერ ადვილად ვერ მოეპოვება.

ჩვენი დიდ-კაცობა, რომელიც წარჩინებულობით, ხარის-

ხით, ყოფა-ცხოვრებით და შეძლებაძთ ყველაზედ მახლობლად არის უმაღლეს მთავრობასთან და მაშასადამე უმაღლეს მთავრობაძდე სმის მიწვდენის ღონე სულთა აქვს, ამ საქმისათვის მოუმზადებელია. თუნდაც ჭკუით და გონებით მომზადებული იყოს, გულიც იმოდენად გაღვიძებული უნდა ჰქონდეს, რომ საქვეყნო საქმისათვისაც უცემდეს და მოსვენებას არ აძლევდეს. იმოდენად აღმატებული უნდა იყოს ზნეობით, რომ თავის პატივ-მოყვარეობას, სასელსა, დიდებას მარტო ქვეყნისათვის დადებულ ღვაწლში ხედავდეს და მარტო მაგ ღვაწლის სიდიდით ზომავდეს კაცის ადამიანურს ღირსებასა საზოგადოდ და თავის დიდ-კაცობისას ცალკედ. კმაყოფილება ჭეშმარიტის პატივ-მოყვარეობისა მარტო ამისთანა ღვაწლში მოიპოვება და სხვა არათერში. ჩვენდა საუბედურად, ჩვენი დიდ-კაცობა შორს ფანძილზედ არის დარჩომილი ამ მხრით ჩ ქვეყნისათვის დადებული ღვაწლი არამც თუ ადამიანის ღირსების მსოლოობით საწყაოდ მიაჩნია, არამც თუ ჭეშმარიტის პატივ-მოყვარეობის საგნად უღიარებია, არამედ მის ცხოვრების დავთარში სასსენებელადაც მოსსენებული არ არის. არ არის ქვეყანაზედ არც ერთი ერი, რომლის შემძლებელი ნაწილიც ასე გულ-ცრუებული, ასე გულ-ბრილი იყოს საზოგადო საქმეების შესახებ, როგორც ჩვენები �ან. არ არის ჩვენში არც ერთი საზოგადო საქმე, რომ მასში ჩვენს დიდ-კაცობის წარმომადგენელი მოქმედებდეს და იღვწოდეს. თეატრია, გაზეთია, თუ ყურნალი უამათოდ იღვწიან; ღარიბს, ღატაკს თავისი გროშები მოაქვს, რომ როგორმე თეატრი, გაზეთი, ყურნალი შეინახოს და ერთობ საზოგადო საქმეს ხელი როგორმე შეუწყოს და ერთი დიდ-კაცთაგანი კი ყურსაც არ იბღერტამს, თითქო ყოველივე ეს მისთვის სათაკილო საქმე იყოს. ან იქ-

ნება უმეტრებისა გამო ჭგონიათ, რომ ქართული თეატრი, ქართული ჟურნალი, თუ გაზეთი და სხვა ამ გვარი საქმე არავერს არ მოასწავებენ და წვრილ-ფესობის ტუდლუტობათა ჭსთვლიან, ერთიც, მეორეც, მესამეც, რაც უნდა უძლურნი იყვნენ დღეს, ჩვენის ვინაობის დამტველნი და შემნახველნი არიან. ვინც ამათ ზურგს შეაქცევს, თავის საკუთარს ვინაობას უარ-ჭყოფს, თავის ადამიანურს სასეს შეურაცხ-ჭყოფს და არარათა ჭსდის. თუ ადამიანს თავისი ვინაობა არარად მიაჩნია, მაშინ იმ ადამიანში ადამიანური რაღაა? დრო გამოიცვლება, დრო მოვა, როცა თავისის ვინაობიდგან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერის, ხულ იქნება, როგორც ეღირსი, თვითონ იმათგანაც კი, ვინც ესლა სისარულით ამისთანა კაცს შეიკედლებს ხოლმე ლ ულოლოებს. დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება როგორც ორჯერ ორი, რომ თუ კაცი თავისას გადუდგა, სხვისას ვერ უერთგულებს. ეს ჭეშმარიტება დღეს ცოტამ იცის და ხვალე ბევრს ეცოდინება ლ მაშინ კაი თავის ვინაობაზედ გულ-ატრუებულს, გულ-გრილს და სულ-აღებულს!...

მაშ სიდამ რას უნდა გავხდეთო? იკითხავს მკითხველი. ჩვენის თქვენთ, ერთი კანონიერი სახსარი გვაქვს და ამ სახსარს თუ ეერთგანის ცოდნით, სიფთხილით და გონიერებით ჩავეიდეთ ხელი, ჩვენ ჩვენს მოვალეობას მოვერობისა და ქვეყნის წინაშე ბირ-ნათლად გადავისდით. თუ მაინც და მაინც არა გვეშველება-რა, იმის საბუთად მაინც დაგვრჩება, რომ ხმის ამოღების დროს ხმა-გაკმესდილნი არა ვეოფილვართ. ამას მაინც ეტყვიან, იმათაც უფიქრნიათ, უზრუნვიათ ქვეყნისათვისაო. მართალია, ეს დიდი ნუგეში არ არის ქვეყნისათვის, მაგრამ სულ არარაობას მაინც ეგა ჭსჯობია.

ეგ სასსარი ჩვენის გუბერნიების თავად-აზნაურთა კრე-

ბაზ, თბილისისა და ქუთაისისა. ეს კრება წელს უნდა მოხდეს თავ-თავის ადგილს. ჩვენდა სანუგეშოდ ამასაც ვიტუვით, რომ დღეს ოთველი კაცი, დიდი თუ პატარა, ჭეშმარიტობს, რომ ეგ მაგისთანა კრება ჭეშმარიტის სათამაშო ურიდობა არ არის, როგორც აქამომდე იყო. დღეს უველას. ვისაც კი გული გაჭეშმარიტებია ქვეყნისათვის, საზოგადოებისა და ერისათვის, მაგ საქმეს შეჭეურებს სარბის და იმედიანის თვალით. დღეს უველა ფიქრობს,—რომ ეგ კრება როგორმე გამოიყენოს საზოგადო საქმისათვისა. უველანი ამას ამბობენ, რომ ჩვენი ხმა აქედამ უნდა მივაწვდინოთო. ამის ნებას კანონიც გვაძლევს და ქვეყნის უკიდურესი საჭირეობაცა. მართალია, თავად-აზნაურთა კრებას ზოგიერთნი, შინაურნი თუ გარეულნი, პატარა ფარგლით უზომვენ სოლმე მოქმედების მოედანს. ამით ოთველს აზრს და წინადადებას, რომელთაც კი საქვეყნო, საოთველთო ფერი ადევს, ფარგალ გარედ აგდებენ, როგორც არაკუთვნილს საგანს კრებისას, მაგრამ ჭეშტდებიან, ჭეშტდებიან ისინი, ვინც ამ შემთხვევაში გულ-წრფელად იქცევიან. სოლო ბევრნიც იმისთანანი ამოგვიხნდებიან თვითონ კრებაში, რომელნიც ამისთანა ფარ-ხმალს ისმარებენ რაიმე ამაო რიდითა და ანგარიშითა. მაშინ ეგ შეცდომა დანაშაულობათ უნდა ჩაეთვალოს მოქმედსა.

დიაღ, ბატონებო, ჩვენს ვისაობას ჩვენს ცხოვრებაში უსათუოდ გზა უნდა მიეცეს და ამაზედ თავად-აზნაურთა კრებამ თავისი ხმა უნდა ამოიღოს, ხმა კანონიერი, დინჯი, დარბაისლური და მშვიდობიანი. უამისოდ წარმატების გზა შეღობილია. ესეთი ოთვა წარმატების გზისა ერთნაირად საგრძნობელია უველასათვის. ამ ერთს ტალვაში თავადიც იწვის, აზნაუ-

რიც, მღვდელიც და ერიც. თუ განზრახულმა ცვლილებამ ჩვენს ვინაობას არ მოხედა, თუ გვერდზედ აუარა, ამისი ბრალი ჩვენ დაგვედება და მაშინ ნურც მთავრობას დავეშურებით და ნურც ბედსა.

ახალი წიგნები.

«თამარ დედოფალი», სახალხო სკოლებში საკითხავი წიგნი, შედგენილი კ. ბ—შვილისაგან.

ქართველი კაცი არა ასჯამს დათვის, ტურის, ვირის, ცხენის ხორცს; არა სჯამს აგრეთვე დამხრჩვალის პირუტყვისა და ფრინველის ხორცსაც; მაგრამ მეთორმეტე საუკუნეში რამდენიმე წლის განმავლობაში უმოსავლობის გამო ისეთი სიმშილი ჩამოვარდა საქართველოში, რომ ქართველნი «მძოვრსა არა-წმინდისასა ურიდად სჯამდენ» (ის. ქართ. ცხოვ. 337 გვ.). მეთვრამეტე საუკუნეში მოხსენებულ მიზეზისაგან გამო ქართველები «ბალახის კურკას გაახმობდიან, დაიფქვიდიან, და იმას სჯამდიან» (იხ. იქვე ნაწ, II, გვ. 347). აგრეთვე ერთ-დროს ხალხი ისე დამშიგდა, რომ ვირის ხორცი ლიტრობით იყიდებოდა.

სწორედ ამ შიმშილსა ჰგავს ქართველის კაცის ჭკუის მოთხოვნილებაცა. მისი სული გაღატაკდა და დაიმშა უმეცრების გამო. იმას ახლა გაჭდვიძებია მადა კითხვისა და ცნობის-მოყვარეობისა. სკანდაროვები, ასპატელოვები, ტერ-გაბრიელიანცები და ანდღულაძეები მეცადინეობენ თავიანთ ჭუჭყიან ხელით შეაზავონ პრასიათა და პირპილით რამე თხზულება ქარ-

თულს ენაზე ლ გაასალონ სალხში. ჩვენს საწყალ სალხსაც კითხვა უნდა და რომ გერა უშოვნია-რა, დამძაღებულ და დამსრ. ჩვალ ჯკუის ნაწარმოებს ჭკითხულობს. აბა მეტი რა ილაჯი აქვს!

ამ ჯკუის სიმშილით პიხსნება, რომ ჩვენს სალხში იყიდებდა ისეთი ისტორიული წიგნაკები, როგორიც არის «თამარ-დედოფალი.» ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იმას არავინ წაიკითხავდა, თუ რომ ყოფილიყო ამაზე კარგად დაწერილი. მაგრამ დღეს ის სალხმა უნდა იკითხოს, თუნდა რომ ძალიერ ცუდიც იყოს, რადგან ცნობის-მოყვარეობა დაკმაყოფილებას ითხოვს.

ნუ წაიკითხავს რაო, იტყვით; მაგრამ რომ არ შეუძლიან არ იკითხოს! კაცის ბედნიერად სიცოცხლისათვის ამ წუთისოფელში რამოდენადაც საჭმელ-სასმელია სანუკარი, იმოდენად საჭიროა სწავლა და მეცნიერებაც; უკანასკნელი არის სულის საზოვაგე. ცოდნა გონების თვალია. ამას გრძნობს ყოველი გაუნათლებელი კაცი ინსტიქტურად და ქალაქის ცოდნასა და გამოკვლევას. ვერ იპოვით იმისთანა გლეხს, დაკრდომილს გლასაკს, რომ რისამე ცნობის-მოყვარეობა არა ჭქონდეს; არ ჭქონდეს სურვილი შეიტყოს მიზეზი ბუნების მოვლინებათა. უკელას უნდა ამისწვდეს ცასა, ჩაიხედოს ზღვის უფსკრულში, გაარღვიოს დედა-მიწის გული და უკელაფერი დაწვრილებით გამოიკვლიოს.

ასეთი ძალიერი მოთხოვნილება კაცის სულისა ყოველს მწერალს, რომელიც კი კალამს ხელს ჭკიდებს, კარგად უნდა ასსოვდეს. მაგრამ უფრო მომეტებულად იმ მწერალთ უნდა ასსოვდეთ ეს ჯეშმარიტება, რომელნიც ისტორიულ წიგნაკებს სწერენ. ქართველ სალხს ისე არა ესალისება-რა წაიკითხოს ლ

შეიტყოს, როგორც თავის მამა-პაპის წარსული ცხოვრება, მისი ავი და კარგი. ამისათვის ყოველი ქართველი მწერალი ისტორიულ მოთხრობებისა დიდის სიფრთხილით უნდა ლაპარაკობდეს, რომ ტყუილის თქმით არ დაამტიროს ერის საკეთილ-დღეოდ მომქმედნი გმირნი.

მაგრამ საუბედურად არამც თუ ჩვენს ახალ-გაზდა მწერლებს აკიწუდებათ ეს ჯეშმარიტება, არამედ თვით გადარბაისლებულ და მოხუცებულ «დროებასაც.» ამასაც ხანდისხან ნახტომი შეეშლება ხოლმე ჯ სხვა-და-სხვა ახალ წიგნებს უსაფუძვლო ქებით ამკობს. მაგალითად, ამ ახლო ხანში გამოვიდა ისტორიული წიგნაკი, სახელად თამარ დედოფალი», შედგენილი ე. ბ—შვილისაგან «სასალხო სკოლებში საკითხავად» და ამაზე «დროება» ბძანებს, რომ ავტორს კარგად შეუდგენია და კარგის ენითაც დაუწერია. მაგრამ სამწუხაროდ არამც თუ კარგად არ არის შედგენილი და «ტკბილის ენით» დაწერილი, არამედ ტყუილებითაც სავსეა. ეს ისეთი წიგნია, რომელზედაც ლაპარაკიც არა ღირდა, მაგრამ რადგან «სასალხო სკოლების საკითხავად» არის დანიშნული და «დროებაც» აქებს, ამისათვის საჭირო შეიქმნა მისი გადასინჯვა.

არამც თუ არ შეიძლება კისმეს ვურჩიოთ ეს წიგნაკი «თამარ დედოფალი» მიიღოს სკოლებში და აკითხოს ბავშვებს,—არ შეიძლება, რომ ის იკითხონ დიდებმაც, რომელთაც ისტორია არა აქვთ შესწავლული. ჩვენ ვიუარვით მაგალითად მოწამე, რომ ერთმა ლექტორმა ამ წიგნაკიდამ ამოგლეჯა და წარმოსთქვა ეს სიტყვები: «რუს გიორგის სვანელებმა ულზე თოკი მოაბეს და მოჰკვარეს თამარსაო.» თუმცა კი დათოკულიც არ ყოფილა იგი. (იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 297). თუ გსურთ შეიტყოთ, მართალი ეს არის; თამარმა ამას შე-

უნდა ყოველი შეტოდება და «წარგვიდა იგი მეისვე მისსა სვეუბედურსა გზასა» (კონსტანტინეპოლს) და არა თავის ქვეყნისკენ» (რუსეთში), როგორც სტეფეის წიგნაკი. ამის დამწერს უნდა ეფიქრნა, რომ რადგან ქართულს ენაზე ჯერ არ არიან დაწერილნი პატარ-პატარა სასალსო საკითხვად ისტორიულნი მოთხრობანი და სალსს რადგან ძლიერ სწყურიან ამ გვარების კითხვა და ყოველს წიგნს ეტანება,—თამარ დედოფლის ცხოვრება კარგად უნდა შეესწავლნა, ბეჯითად გამოეკვლია ის მატიანე, რომელიც იმას ხელში ჰქონდა, მოეკვანა ცნობები რიგზე და მერმე დაეწერა გასაგონარ ენით მოთხრობა.

სამწუხაროდ არა სჩანს წიგნაკიდგან, რომ ავტორი ერთგულად და ბეჯითად შესდგომოდეს საქმეს. იმას ხელში ჰქონია «ქართლის ცხოვრება», მაგრამ ვერ მოუსმარნია, როგორც რიგია. იმას ვერ გაუგია ისიც, რაც იქ სწერია. ცართალია, ის მეცნიერულ თხზულებას არა სწერს და ჩვენ დასწეროს სალსისათვის მსუბუქად წასაკითხავი მოთხრობა, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც დიდებულის და სახელოვანის თამარის ისტორიული ცხოვრება სწორედ უნდა აეწერა ფაქტიკურად. თუ ასეთი განზრახვა ჰქონდა სახეში, სხვა კითხვების აღსნას აღარ უნდა გამოდგომოდა. მაგრამ ავტორი არ კმაყოფილდება თამარის ცხოვრების აღწერით. იმას ჩვენს აღსნას მნიშვნელობა ასალმწიფო თანამდებობათა, მიზეზნი შფოთისა, არეულობისა, ომიანობისა, თამარის მოქმედებისა, მაგრამ ამ საქმეში გზა ჯ კვალი სრულიად დაბნევია.

მაგალითად წიგნაკის მე-4 გვერდზე ავტორი ამბობს: 1) იმერეთის ეკლესიის მმართველად იყვნენ მთავარ-ეპისკოპოსებიო და თამარის დროს იყო ანტონ ქუთათელიო; მაგრამ აქვე ამბობს: 2) «საქართველოს საეკლესიო საქმეებს განაგებ-

დენ კარგა ხანობით ბერძნების ეპისკოპოსებიო», 3) რამდენიმე სტრიქონის შემდეგ სწერს კიდევ: «მოთავეთ ეკლესიისა ამოირჩიეს კათალიკოზი, რომელიც განარჩევდა სასულიერო წესებსა და საქმეებსა სამღვდელოთა»; მაგრამ ჩაჭუეებს კიდევ ტოტა ძვეით, (მე-5 გვერდზე) და კვლავ ამბობს: 4) «იმერეთს ჭუანდა ქუთათელი ქათალიკოზი, რომელიც პირველად იწოდებოდა მთავარ-ეპისკოპოსად, ქართლსა — ქართველი ქათალიკოზი ჭუანდა და კახეთს—ბოდბელი.» — ეინც გინდა წაიკითხოს ეს სტრიქონები, უკელა ახე იფიქრებს: თამარ მეფემდე ლ მის დროსაც «კარგახნობით» საქართველოს ეკლესიის გამგენი იუვნენ ბერძნების ეპისკოპოსები და იმერეთში იუო ეკლესიის მართველად «მთავარ-ეპისკოპოსი», ქართლში—კათალიკოზი; მაგრამ თამარმა შესტკალა ეს წესი და დაუენა სამი ქათალიკოზი: ერთი იმერთში, მეორე ქართლში, მესამე კახეთში. ასეთი მოაზრება ტხადი შეცდომაა და თუ ავტორს ამის თქმა არ ეწადა, მაშ ვერ გამოუსტავს თავისი აზრი. თამარის დროსაც და მასზე წინადაც, მეთერთმეტე საუკუნიდგან დაწუებული, საქართველოში იუო ერთი კათალიკოზი, და მერე, სამეფო სამად რომ გაიუო, დასვეს ორი — ერთი ათუხაზეთ-იმერეთში, მეორე ქართლ-კახეთში; ბოდბელი ანუ ალავერდელი კი არ იწოდებოდა ქათალიკოზად.

ამ შეცდომის შემდეგ, ავტორი მეორე შემტდარ აზრის თქმას შეუდგება. აქვე მე-5 გვერდზე ის ამბობს: «ამირ-სპასალარი იბარებდა ომიანობის დროს უკელა ერისთავებს თავის ჯარით.» მე-14 გვერდზედ კიდევ სწერს: «მწიგნობართ-უხუცესი სტემდის(?) მონასტრებსა ბრძანებებს და ლაშქრების მოსაწევარ(?) ერისთავებს....» განა გაიგეთ მკითხველო, რომელი იბარებს ერისთავებს თავიანთ ჯარებით: ამირ-სპასალარი,

თუ მწიგნობართ-უხუცესი?... ერისთავებს თავიანთ ჯარებით ამირ-სპასალარი კი არ იბარებდა, არამედ—მეფე სამშობლოს თავისუფლებისა და ქართლიკოზი სარწმუნოების დასაცველად. მაგრამ ბძანებებს სწერდა ყოველგან ეპისკოპოსი ჭყონდიდელი, რომელიც იყო მწიგნობართ-უხუცესი და ლაშქარში რომ მიდიოდა, ჯვარი ხელში ეჭირა და მიუძღოდა წინ; ჯარები რომ გამობრუნდებოდენ, იგი უკან მოექცეოდა და ისე მოსდევდა. იგივე ჭყონდიდელი იყო პატრონი ობოლთა, ქვრივთა, გლახაკთა და დავრდომილთა და მოახსენებდა მეფეს მათს გაჭირვებას.

მარტო ამით რომ თავდებოდეს შეცდომილება ვატორისა, კიდევ არა უშავდა-რა; მაგრამ სუბედურად მრავალი კიდევ სხვა ამ გვარია ამ მცირე წიგნაკში. მე-4 ბგერდზედ ვატორი ამბობს: «მეფის დასაცველად არსებობდა მუდამი ჯარი, რიცხვით ათასი.» საიდგან ამოუღია ეს ცნობა, არა სჩანს. ჩვენ გიცით მხოლოდ ვახუშტის თქმით, რომ მეცამეტე საუკუნემდე მეფეებს ჰყავნდათ 60 ათასი კაცი, და ეს ლაშქარი იწოდებოდა „სეფე-წულად.“ ხოლო იოსელიანი ამბობს, რომ თამარ მეფეს 300,000 ჯარის-კაცი ჰყავდაო. განა ცხადი არ არის აქედამ, რომ ვატორს თავის ოცნებით შეუთხზავს „ათასი?“ ამ სახითვე არის შეთხზული ისიც, რომ ვითომც თამარის მეუღლეს ეთქვას (როცა შეიტყო თავადების ღალატი და რუს გიორგისთვის მიმხრობა) ეს სიტყვები: „მე ვიტყვი ჩემს ოცნებას, რათა ყოველი კაცი ტრუ არს.“ ჯერ ერთი ესა, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის წინასწარ-მეტყველს დავითს, და არა თამარის მეუღლეს დავით სოსლანს, მეორედ ამას ამბობს თავის მხრით მემატიანე და არა დავით სოსლანი, და მესამედ ამ სიტყვებში „ოცნება“ კი არ არის ნასმარი, არამედ—«განტვიფ-

რება», რომელიც ოტნუბას არ ნიშნავს. აგრეთვე სიტყვა მთლად მე-19 გვერდი. რაც აქა სწერია,—ეს უველაფერი თამარის დროს კი არ მოჰქსდა, არამედ მეცამეტე საუკუნეში და კიდევ უფრო შემდეგ, მაგრამ მაშინაც, როგორც ვიცით მატიანეთაგან, „თონეში არავინ მკრებოდა.“ ტუუილია ისიც, ვითომც თამარს თავისი სიზმარი მღვდლისათვის აეხსნევინებინოს (იხ. გვ. 23 და ქართ. ცხოვრ. 311 გვ.). ტუუილია ისიც, ვითომც დასავლეთის ჯვაროსნულ ჯარებმა იმისათვის დაიშერეს სპბერძნეთი ალექსი კომნენის დროს, რომ თამარი გაუდგა ბერძნებს და აღარ მაჯარეველობდა, და, ამ მიზეზით, «ბერძენთ იმპერიას ბოლო მოუღეს» (გვ. 31). ტუუილია ისიც, ვითომც (გვ. 32) «თამარმა ველარ მოითმინა, გაიფოლია შვილი და მიადგა ეარსს. ეს სრულიად ასე არ იყო (იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 326). აგრეთვე ტუუილია შემდეგ სტრიქონებით გამოხატული აზრები: «გადასწერა ჯვარი ოთხ-კუთხივ»(?) (გვ. 38); „და რომ მტრის ცხენოსანთა არ დაეთრგუნათ ქართველების ქვეითა სალხი» (გვ. 39); ტეეები აიღეს(?) და ცხენის ნალებზე დაარიგეს (გვ. 40) (მარტო ერთი ეზენკელი გაიყიდა ცხენის ნალზე და არა უველანი); ანის ქალაქის მელიქთან მივიდა ერთი ვიღაცა მუსულმანი...“ «(ანის ქალაქის მელიქთან კი არ მივიდნენ, არამედ ქალაქის მიანისა ანუ მანას სულტანთან). (იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 331).

ამისთანა ტუუილები კიდევ ბევრია, მაგრამ უველა რომ ჩამოვთვალოთ, შორს წავალ, და არც ღირს მათზედ ლაპარაკი. ისიც კმარა, რაც მოვიხსენიეთ, რომ შეიტყოს მკითხველმა წიგნაკის შინაარსის ავ-კარგიანობა.

ამ ტუუილებით გამოტენილ წიგნაკში არც ისტორიული ფაქტებია რიგ-რიგზე აწერილი. ავტორს რაც სცოდნია, უური

არ უგდია ქორონიკონისათვის, და ისე აურ-დაურევია. მაგალითად მცირე-აზიაში იკონიის სულტანთან ნუქერდინთან თამარს ომი ჰქონდა 1203 წელს; არდებილის სულტანს ებრძოდა ის 1209 წელს; მაგრამ წიგნაკის ავტორმა პირველი მეორის ადგილას ასწერა, მეორე პირველის ადგილას. ამას გარდა თამარისაგან ტრაპიზონის დაჭერა ამ ომის ფაქტის წინარის აწერილი, თუმცა «ქართლის ცხოვრება» ამ შემთხვევას ბოლოში სწერს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ნეტავი დიდებული და სახელოვანი თამარ ისე მაინც ეოთილიეო აწერილი, როგორც მატიანეში სწერია. მატიანე ამბობს, რომ ხალხს ისე უყვარდა თამარ, რომ მისი სახელი ბეჭედზე, სანკალზე, ხმალზე, მოხუცებულთ ჯოხებზე, მემცხვარეთ და მეძროხეთ კომბლებზე ჰქონდათ გამოჭრილიო. «პირსა შინა, ამბობს «ქართლის ცხოვრება», ქართველს პირველ სხვა არა-რა მოაქვნდა, ვითარ თამარ: რამეთუ სახლთა ზედა აკროსტიხურად თამარის შესხმათა დასწერდეს, ბეჭედთა ზედა და დანთა და არგანთა შეამკობდეს, და ზედა თამარის ქებათა დასწერდეს, და ეოველთა პირნი ერთბამად მზა იყვნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებულობასა სიტყვა აღმოთქვან; ერმანი მემრეწლენი, განპებასა შინა ორნატთასა, თამარის ქებათა მელექსეობდიან ერაყს მეოთენი მეებნენი, გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკეობდიან; ფრანგნი და ბერძენნი, ზღვასაშინა მესაკენი ნიან-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტეოდიან“ (იხ. გვ. 336). მაგრამ წიგნაკიდგან არამც თუ ეს არა სჩანს, არამედ თვით თამარიც უბრალო მომაკვდავ, ცრუ-მორწმუნე დედაკაცსა ჰგავს. გლესმა რომ წაიკითხოს ეს წიგნაკი, არასოდეს არ დაიჯერებს, რომ აქ იმ თამარზე სწერენ, რომლის მეფობის დრო

მიაჩნია დროდ ნეტარებისა, ბედნიერებისა და მთელის ერის კმაყოფილებისა.

მაგრამ გავანებოთ ამასაც თავი და გადავიდეთ ახლა ავტორის ენაზე, რომელსაც «დროება» უქებს წიგნაკს. შეიძლება წიგნაკის დამწერს აპატიოს კაცმა ის შეცდომილებანი, რომელნიც მოვიხსენიეთ, მაგრამ სამშობლო ენის უტოდინარობა კი არ არის შესანდობელი არც ერთის ქართველისათვის. აი ნიმუშები იმის ქართულის ენისა. «ერთი საძნაურო(?) საქმე მოჭხდა»; „თამარმა არ დაზოგა ჯარი და მალე შეატყობინა ოსმალთა და სპარსებთა(?) თავისი ძალა კავშირისა და მოყროობისა ურთი-ერთ შორის გაბმისა უარი განაცხადა»; «ქრისტიანეთ მენუგეშე»; «გელაქუნების(?) ჯარები»; «რუს გიორგიმ გაახშირა.... საძაგელი ჭტეკა გარდამეტებულად სპარსეთის ხალხისაგან“; «პიროვანი მეფის თვისებებით მეზობელთ აშინებდნენ და მორჩილების ქვეშ იპურობდნენ“; „მრავალი ერისთავების მიდგომილებით რუსმა გული მოიდგა“; «თავიანთ საკიდრებზე ააკიდებინეს»; მიართვეს ნადალვით ნაშოვნი»; «მუსულმანელები(?) უსისხლო მტერნი ქართველებისა»; «ვეღარ გასძლო იშიშვლა (რა?) ჯ ერთი სილა ჰკრა“;... „შენ ოქროთ შეკჭრებული მეეირეთ მინდობილ ხარ“; „ოსმალებმა შეაბეს ფიცხლავ ჯარებით დატაკება»; «თავგანწირულნი სარდლები ეგერებიან მტერსა ქვეეით»; «ისე გაიმარჯვეს, რომ მტერი გამოიგდეს»; ზანგელებმა თავი მოიხრეს და სარჯი მისცეს»; «უცვლელმა, მამაცმა და გულადმა (ვინ?) სამეფო საქმეებს, არაფერში ულალატა და დააფლა(?) მათ.“

კიდევ ბევრს ვიტყოდი ამისთანა «ტკბილის ენის» გამოშეტეველებს, მაგრამ აღარ მსურს ვისმეს თავი შევაწუინო ამ

უკარგ წიგნაკზე გრძლად ლაპარაკით. კმარა ისიც, რაცა ვსთქვით. მხოლოდ ამას დავუმატებთ, რომ დამნაშავედ უნდა ჩაითვალოს ერის წინაშე იგი, ვინც საჯაროდ აქებს იმისთანა «საბალსო სკოლების საკითხავად» დაწერილ წიგნაკს, რომელსაც შეუძლიან სალხს თავის მამა-პაპის წარსული ისტორიული ცხოვრება შეაზიზღოს. შეუძლიან ათქმევინოს: თუ ნაქებ და სასალოკავან თამარის დროს ქართველის სალხის ცხოვრება ასეთი უნუგეშო იყო, სხვა დროს რაღა იქნებოდა? [1])

მ. დ. ჯ.

---

[1]) იხ. «თამარ დედოფალი» გვ. 19.

სხვა-და-სხვა ამბავი.

— ტყეების გაჩეხას თევზების გაწყობა მიჰყვეს. ამ საუკუნის დასაწყისს რუსეთის ერთს ადგილას ორს ტბას გაუკვალი ტუე ეკრა გარსა. ამ ტბებში მაშინ თევზი უსვად იყო. 50 წლის წინად გასჩეხეს ის ტყეები და სასნავ-სათეს მიწად გადააქციეს. მასუკან ტბებში თევზი ძალიან შემცირდა, თუმცა დაჭერით უწინდელზედ ნაკლებს იჭერდენ. მიზეზი ამ გვარის მოგლენისა ცხადია. გასჩეხეს ტუე და გაწყვნენ ის მწერნიც, რომლითაც ყოველი ტუე სავსეა და რომელიც თევზების უმთავრესს საკვებავს შეადგენს, მეტადრე წვრილის თევზებისას. (Сельскій Вѣстникъ).

— მავთულებით დაჭრილი კაცი. წარსულ თვეში ერთი საზარელი შემთხვევა მომხდარა სოფრანგეთში ქალაქს რუენსა და ამიენს შუა. გზის ყარაულისათვის საშინელ ქარიშხალს მოუსწვრია და იმასაც თავი რკინის გზის ლიანდაგის გვერდით შეუთვარებია. ქარიშხალს ტელეგრაფის ბოძები წამოუქცევია, მავთულები დაუწყვეტია და აქა-იქა მიუთვანტნია. ყარაულსაც შემოხვევია გარშემო რამდენიმე მავთული, მაგრამ იმას უურადღება არ მიუქცევია. ამ დროს გამოიარა თურმე რკინის გზის მაშინამ, რომლის თვლებსაც მავთულები დაჭხვევოდათ ჯ სატოდავი გზის ყარაული აეთრიათ. მგზავრებს შეენიშნათ რომ გაქანებული მაშინა ვიღაც მავთულებზედ გამობმულს კაცს მითრევს და ნაკუწ-ნაკუწად სჭრის. გაეჩერებინათ მაშინა, მაგ-

რაშ გვიან-და იყო: ადამიანის მაგიერად მხოლოდ სორცის ნაგ-ლეკვების სროვა ენასათ. (Journal des Débats).

— ქუჩაში ნაპოვნი მილიონი. პარიკში ოთველ წლიგ 750,000 ფრანგისა იყიდება ქუჩაში აკრეფილი პაპიროზისა ⁄ სიგრების ნამწვავები. ხუთასამდე კაცი მისდევს ამ საქმეს და ოთველი მათგანი დღეში ოთხიდამ ხუთ თერანკამდე შოულობს. ჩვეულებრივ დილით ადრიან გამოიკინება ხოლმე ეს ხალხი ⁄ გულ-მოდგინედ ეძებს ნამწვავებს ბულვარებზე, ქუჩაში, თხრილებში, სანაგვეებში, ერთის სიტყვით ოთველგან. ამ ნამწვებისთვის ბაქო ხუთკერ უფრო იაფად იყიდება, ვიდრე თავი თამბაქო (Journal des Débats).

— ხეხილის ჭიის ახალი წამალი. ავსტრალიაში ერის ერთ-გვარი ხე, სასელად ეკვალიპტუსი, რომელსაც ხესილის მავნებელნი მწერნი არ ეკარებიან. მიწაზედ რომ გაავნიოს კაცმა იმის ფოთლები, მომეტებულ წილს ახლო-მახლო ხესილზედ დაბინავებულ მწერთა ბინა მოეშლებათ და მოსცილდებიან იმ არე-მარეს. თუ ხეს გარშემო ეკვალიპტუსის ქერქი შემოარტყეს, მაშინ ხომ მწერი ამ ხეს სულ არ მიეკარება. (Globe).

— ვენის, ნიცის და სხვა თეატრების დაწვამ, რომელთაც მრავალის ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს, ისეთი შიში დაჭბადა ეოველგან ცეცხლისა, რომ სადაც კი გაისმის სიტყვა „ვიწვით“ მაშინვე კაცი კაცს ეცემა, ძმა ძმას აღარა სცნობს, მამა შვილსა და დიდი პატარას ფეს-ქვეშ გასათელად აღარ ზოგავს. ერთს რუსეთის ქალაქში, აბანოში, ამას წინად ვილაც წამოეძახა: „რა ცხელი ოთოქლია, ვიწვით, ვიწვითო“ ხალხს მარტო უკანასკნელი სიტყვა გაეგონა და დაეძახნა: ცეცხლი გაჩნდაო! ერთს წუთს ეველანი დედი-შობილა კარში გამოცვინულიყვნენ, კაცებისა და ქალების განუოფილებიდამაც.

უბედურება კი არა მომსდარა-რა, მაგრამ ბევრს ქალს გულს შემოურბოდა ⸗ ბევრნი გაცივებულიყვნენ შიშვლად კარზე დგომით რუსეთის ყინვაში. (Заря).

— მთვრალი ძროხები. ბერლინის ახლო ფერმიდამ მიჭქონდათ რძე ოთხელ დილით რამდენსამე რძის მაღაზიაში. ერთს დილით რძის მომტანი ხელ-ცარიელი დაბრუნდა ფერმიდამ. თურმე ყველა ძროხები დამთვრალიყვნენ და არავის უშვებდენ მოსაწველად. წინა-სალამოს ძროხების მომვლელს ბნელაში წყლის დალევინება უნდოდა თურმე და შეცდომით წყლის ბოჩკის მაგივრად სპირტის ბოჩკის კრანი მოეხსნა. ძროხებს სპირტი მოსწონებოდათ, მაგრამ ისე კი მოჭკიდებოდათ, რომ ორს დღესა და ღამეს ასლო ვერავინ უდგებოდა. (Московскія Вѣдомости).

— ბელის ნაკბენის ახალი წამალი. ერთს ექიმს უპოვნია ახალი წამალი გველის ნაკბენის მოსარჩენად. ეს ექიმი ბრაზილიელია, ე. ი. იმ ქვეყნელი, სადაც მრავალი სხვა-დასხვა გვარი გველია და არის იმისთანაც, რომელიც კბენის უმალვე ჭკლავს ადამიანს. ეს წამალი შესდგება მარგანეტისა და პოტაშისაგან და როგორც სწერენ, მალე გამოცდილი იქნება მისი მოქმედება პარიეში გველით ნაკბენ ცხენებზედ. ბრაზილიელ ექიმს უცდია მრავალჯერ ეს საშუალება თვით რვასა ⸗ ათს საათს რომ გაუვლია შემდეგ კბენისა და მოურჩენი კიდეც. (Journal des Débats).

— ჰაერში მოგზაურობა. ყველამ ვიცით, რა არის ბურთი; ვიცით რომ მალლა ასვლა და აქა-იქა ფრენა მას არ უჭირდება, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ეს ფრენა კაცის სურვილზედ არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზედ, საიდამ როგორი ქარი უბერავს. თუ იმისთანა მაშინა გამოიგონეს, რო-

მელიც ჭაერის ბურთს კაცის სურვილისამებრ ამუშავებდეს, აუ-
არებელი ცელილება მოსდება კაცობრიობის ცხოვრებაში. თუ
ერთი ნემეცური ჟურნალი არა სტუეის, ერთს ნემეცს მოუგო-
ნია ამ გვარი მაშინა და მალე გამოსცდიან კიდეცაო. იქნება
ეს ჟურნალი კი სტუეოდეს, მაგრამ თვით ეს ხმები ამტკიცე-
ბენ, რომ არ არის შორს ის დრო, როდესაც ჭაერის ბურთე-
ბი გაუქმებენ რკინის გზებს, ცეცხლის გემებს და თოვლის
ზვავები ველარ დაუბრკოლებენ ერთმანერთს შორის მისვლა-
მოსვლასა. («Голосъ»).

— ტუნელი ინგლისსა და საფრანგეთს შორის. შარშან
მიჭუეეს ხელი ევროპაში ერთს საქმეს, რომელიც წარმოსადგე-
ნადაც კი ძნელია, არამც თუ შესასრულებლად. ინგლისსა და
საფრანგეთსა ჭყოფს ზღვის სრუტე, სიგანით 30 ვერსზე მე-
ტი. ამ ზღვის სრუტეს ქვეშ აპირებენ ტუნელის გაუვანას და
ამ ორის ქვეყნის რკინის გზით შეერთებას. აპირებენ კი არა,
ხელი კიდეც მიუეეიათ, ორივ ნაპირას მოუთხრიათ ღრმად ჭე-
ბი, ვიდრე ზღვის ფსკერამდე დავიდოდნენ, და მერე იქიდამ
ზღვის ფსკერის ქვეშ კიდეც გაუთხრიათ ტუნელისათვის რა-
მოდენსამე მანძილზედ. მუშები და მაშინები ამ ქვესკნელში
ელექტრიულ ლამპების სინათლეზე მუშაობენ და ყოველივე
ზომაა მიღებული, რომ მუშებს სუფთა ჭაერი არ მოაკლდეთ.
იმედი აქვთ, რომ ამ ტუნელს სამს-ოთხს წელიწადს მორჩე-
ბიან. ეხლა პარიესა და ლონდენს შუა ათს-თორმეტს უნდე-
ბიან; რაცა ტუნელი იქნება, ამ მანძილს ხუთს, ექვსს საათში
გაიელიან. ამას გარდა პირდაპირი რკინის გზა იქმება გაუვანი-
ლი და გემში გადასმ-გადმოსმა აღარ დასჭირდებათ. (Голосъ).

— სპილოს გონიერება. ლონდონის ზოოლოგიურს ბაღში
ერთი უშეელებელი სპილო ჭყავდათ. რადგან ხანდისხან გაბრაზე-

ბა შემოიღო, პატრონებმა სპილო ერთს ამერიკელს მიჰყიდეს, მაგრამ წაუვანა მეტად გაძნელდა. სპილოს არ უნდოდა თურმე იმ ადგილის მოშორება, სადაც ოც წელიწადზედ მეტი გაატარა; მოჰსვია ხორთუმი თავის პატრონს ალერსის ნიშნად, დაიჩოქა და მაღლა უკირილს მოჰყვა. ჯერ თურმე ეცადნენ, როგორმე გაეტუოლებინათ და ან თესით მიეყვანათ გემამდე, ან ვაგონში ჩასვათ, მაგრამ ყოველი ცდა ამაო გამოდგა. მასუკან მიეტანათ იმისთანა ბლატფორმა, რომელზედაც შეცდომით ადვილად შეეძლო შედგომა და როდესაც ზედ შედგებოდა, მაშინვე ასწევდენ და წაიყვანდენ, მაგრამ სპილომ გასინჯა ეს ბლატფორმა და ალარც კი მოეკარა. ბოლოს, მრავალ სერსის შემდეგ, როგორც იყო ჩასვეს დიდს უშველებელს ფურგონში და ისე წაიყვანეს ზღვის პირისაკენ; მაგრამ დედა-მიწასაც კი ვერ აეტანა მისი სიმძიმე და ფურგონის თვლები ნახევრამდე მიწაში ჩაფლულიყვნენ. ლონდონის საზოგადოებამ ალბიან დაელონებინა საყვარელის სპილოს მოშორებას, რომელიც ყოველ-დღე ასეირნებდა ლონდონის ბავშვებ მის უზარმაზარ ზურგზე დასხმულებს. (Journal des Débats).

განცხადებანი.

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

«დროება»

გამოვა იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდის გამოდიოდა. რომ გორც გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რო, მუდამ წელიწადს ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისა-და-გვარად-გაეუმჯობესებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს, რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გაუმჯობესოს იმის გამოცემა.

ხელის-მოწერა მიიღება;

თბილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში, გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. ბ. მუსრანსკის სახლებში, ბლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი. Въ Тифлисъ, Въ редакцію газеты «ДРОЭБА».

«დროებაზე» და «ივერიაზე» ორივეზე ერთად ხელის-მოწერა მომავლის წლიდამ არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით	9	მან.
ნახევრის წლით	5	„
სამის თვით	3	„
ერთის „	1	„

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ყველანი ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი-და-გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწეროს.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

ამა 1882 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

«ᲨᲠᲝᲛᲐ»

გამოვა იმავე პროგრამმით და მიმართულებით, როგორც 1881 წელს გამოდიოდა.

გაზეთის პროგრამმა:

I. სტატიები თანამედროვე კითხვებზედ, II. ტელეგრამმები, III. ადგილობრივი ამბები და შენიშვნები, IV. ახალი სალიტერატურო, საზოგადოებრივი და საპოლიტიკო ცნობები, V. ქრონიკა ადგილობრივის თვით-მმართველობისა, VI. შინაგანი და გარეგანი წერილები, VII. საპოლიტიკო მიმოხილვა გარეგანი და შინაგანი, VIII. კრიტიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურისა, IX. ფელეტონი: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა-და-სხვა შენიშვნები, X. ისტორიული მიმოხილვა კავკასიის აქეთა მხარისა, XI. სამსაჯულო ცნობები და შენიშვნები, XII. ცნობათ ფურცელი და განცხადებანი.

გაზეთი გამოვა ოთხშ.ბათობით, საშუალო საგაზეთო ქაღალდის ფურცელზედ, სანდისსან დამატებით.

გაზეთის გამოსაწერი ფასი სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში გაგზავნით: ერთის წლისა—შვიდი მანეთი, ნახევარ წლისა—ოთხი მანეთი, სამის თვისა—ორი მანეთი და ხუთი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება:

ქ. ქუთაისში: 1) გაზეთის რედაქციაში, ნემცების ქუჩაზედ, კნეინა მაჭუტაძის სახლში, 2) ბ. გ. წუწკიძის სტამბაში, თბილისის ქუჩაზედ, ერიქოვის სახლში და 3) ძმების ნიკოლაძეების მაღაზიაში.

ქ. თბილისში: შაგერდოვის გაზეთების საგენტოში.

ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა თავიანთის მოთხოვნილებით პირდაპირ რედაქციას უნდა მიმართონ.

რედაქტორი თ. დიმ. ე. დადიანი.

1-го ЯНВАРЯ 1880 ГОДА
ГАЗЕТА
„КАВКАЗЪ“
ВЫХОДИТЪ ПОДЪ НОВОЙ РЕДАКЦІЕЙ

ежедневно, не исключая понедѣльниковъ, въ количествѣ 345 №№ въ годъ.

Редакція приметъ всѣ зависящія съ ея стороны мѣры, чтобы придать газетѣ возможно большій интересъ, какъ расширеніемъ программы, такъ и полнотою отдѣловъ, причемъ преимущественное вниманіе будетъ обращенв на разработку мѣстныхъ просововъ.

ПРОГРАММА:

Часть офиціальная: Узаконенія, дѣйствія и распоряженія правительства. Высочайшіе приказы Намѣстника, циркуляры Намѣстника и Главнаго Управленія, извѣщенія, разнаго рода правительственныя и служебныя распоряженія.

Часть неофиціальная: I. *Руководящія статьи:* по вопросамъ, имѣющимъ обще-государственное или мѣстное значеніе. Ознакомленіе съ внѣшними политическими событіями, преимущественно въ восточныхъ государствахъ, сопредѣльныхъ съ Кавказомъ.

II. *Мѣстныя извѣстія:* а) Корреспонденціи изъ главнѣйшихъ пунктовъ края. б) Столичная и иностранная пресса о Кавказѣ. в) Туземная пресса: армянская, грузинская, татарская. г) Ходъ городского самоуправленія и вообще городскія дѣла, какъ по Тифлису, такъ и по другимъ городамъ края. д) Новости о событіяхъ русской жизни. е) Тифлисская городская хроника. ж) Судебная хроника. з) Отчеты о засѣданіяхъ мѣстныхъ учебныхъ и другихъ обществъ.

III. *Фельетонъ:* а) Этнографическія статьи, бытовые очерки и путешествія по Кавказу. б) Рецензіи на книги,

выходящія въ Россіи и за-границей, касающіяся Кавказа, в) Обозрѣніе общественной жизни. г) Научное обозрѣніе.

IV. *Смѣсь.* Курьезы, анекдоты и разныя извѣстія.

V. Справочный отдѣлъ.

VI. Казенныя и частныя объявленія.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

	Съ доставкою въ Тифлисѣ		Съ пересыл. иногороди	
	Руб.	Коп.	Руб.	Коп.
На годъ	11	50	13	—
» полгода	6	—	7	—
» три мѣсяца	3	50	4	—
» одинъ мѣсяцъ	1	50	1	75

Подписка принимается въ г. Тифлисѣ, въ конторѣ газеты «*Кавказъ*», на Дворцовой улицѣ, въ домѣ № 5. Иногородные адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ, въ редакцію газеты «*Кавказъ*».

Разсрочка платежа подписныхъ денегъ допускается на слѣдующихъ условіяхъ: *для городскихъ подписчиковъ:* при подпискѣ 5 р., въ концѣ марта 4 рубля и къ 1-му августа 3 руб. *Для иногородныхъ:* при подпискѣ 6 р., 1-го апрѣля 5 р., 1-го августа 3 р.

Редакторъ-издатель Кн. Д. Г. ЭРИСТОВЪ.

ი 383
1882

განცხადება.

ამა 1882 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანეთი.

ვისაც ერთად შემოტანა გაუძნელდება, შეუძლიან ჯერ ოთხი მანეთი შემოიტანოს და დანარჩენი სამი მანეთი პირველს მაისამდე.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთა-წმინდაში, სვეტის ქუჩაზედ, ფარეულის სახლებში № 9 და აგრეთვე შავერდოვის საგენტოში.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი ან ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ
Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»

გისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ, მალე აცნობოს რედაქციას.

რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე ან ი. მაჩაბელი.